საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 ივნისი **ორშაბათი** 2010
№ 149 (13 137) ფასი 60 თეთრი

## 1/4 ფინალი

| 2 ივლისი, პარასკევი. 22:30 | 3 ივლისი, შაბათი. 18:00 |
|---|---|
| **ურუგვაი** | **არგენტინა** |
| **განა** | **გერმანია** |
| იოჰანესბურგი | კეიპტაუნი |

## დარჩენილი მერვედფინალები

| 28 ივნისი, ორშაბათი. 18:00 | 28 ივნისი, ორშაბათი. 22:30 |
|---|---|
| **ჰოლანდია** | **ბრაზილია** |
| **სლოვაკეთი** | **ჩილე** |
| დურბანი | იოჰანესბურგი |
| 29 ივნისი, სამშაბათი. 18:00 | 29 ივნისი, სამშაბათი. 22:30 |
| **პარაგვაი** | **ესპანეთი** |
| **იაპონია** | **პორტუგალია** |
| პრეტორია | კეიპტაუნი |

# ბახრამოვის აჩრდილი

## ანუ რაღა საჭიროა ვიდეორეფერი?







» გვერდი 2

**რა ეშველება ახლა ამ საქმეს?** არც არაფერი - ინგლისის ნაკრები ბარგს ალაგებს და შინ გასამგზავრებლად ემზადება. ეს არ იყო გუნდი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონობის მოგების პრეტენზია უნდა ჰქონოდა, გამომდინარე იმ თამაშიდან, რაც მუნდიალზე ჩატარებულ ოთხ მატჩში აჩვენაო, - დაახლოებით ამგვარი შეფასება გააკეთა ინგლისურმა მედიამ. რა თქმა უნდა, ხაზი გაესვა რეფერისა და მისი ასისტენტის მიერ დაშვებულ შეცდომას (არა მგონია, ზუსტი შეფასება იყოს), მაგრამ ინგლისელები მარცხის მთავარ მიზეზს სხვაგან ეძებენ და მართალიცაა...

ბედის ირონიაა - ისევ ინგლისი-გერმანიის დაპირისპირება, ისევ ხარიხიდან ასხლეტილი ბურთი... მაგრამ მსგავსება აქ მთავრდება. 44 წლის წინ, ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, შვეიცარიელმა არბიტრმა გოტფრიდ დინსტმა ასისტენტ ტოფიკ ბახრამოვთან მოთათბირების შემდეგ საკამათო გოლი ჩათვალა - 101-ე წუთზე ჯეფ ჰერსტის დარტყმა ხარიხას მოხვდა, მიწაზე დაეშვა და... გადაკვეთა თუ არა კარის ხაზი, ამაზე დღემდე არ წყდება კამათი - გერმანელები ამტკიცებენ, რომ არ გადაუკვეთავს, ინგლისელებმა არქივები წამოწიეს და გადაიღეს ფილმი, რომელშიც „ჩანს, რომ ჰერსტის გოლი 100-პროცენტიანია“... მაშინ არ იყო საშუალება, მომენტი სხვადასხვა რაკურსით ენახა კაცს, ამიტომაც გაძნელდა მტყუან-მართლის გარკვევა...

მაგრამ ახლა... შეიძლება ბევრმა ისიც თქვას, რომ ინგლისელებს ცოდვამ უწიათ. მაგრამ რა დააშავეს ინგლისელებმა? ან მაშინ გერმანელებმა? პრობლემა, რა თქმა უნდა, მსაჯებშია. მისი გადაწყვეტა ფიფას ხელშია - ვიდეორეფერის შემოღება, რაც მსოფლიო ფეხბურთის მმართველ, გაცვეთილ დოგმებზე ნაშენებ ორგანიზაციას ცოცხალი თავით არ უნდა. ადამიანური ფაქტორი იკარგებაო, - ერთსა და იმავეს იმეორებს ზეპ ბლატერი. მაგრამ მეხუთე მსაჯი? რომელიც ევროპის ლიგაში გამოცადეს და წარმატებაც უწინასწარმეტყველეს?

კაცმა რომ თქვას, გერმანია-ინგლისის მატჩში ისეთი რამ მოხდა, მის დაფიქსირებას ვიდეორეფერი არც სჭირდებოდა. აი, არგუმენტი, რომელსაც ფიფა ააფრიალებს. მგონი, ამ ყბადაღებული ვიდეორეფერის ამბავი კიდევ დიდი ხნით გადაიდო. ამიტომ ახლა ასე მოხდება - დაისჯება პატივცემული ურუგვაელი არბიტრი ხორხე ლარიონდა თავის ასისტენტიანად (მაურისიო ესპინოსა, რომელიც უპირველესი პასუხისმგებელია ალბათ) და იმავე ბახრამოვის, ბაირონ მორენოს (სამხ. კორეა-იტალია 2002 წელს), ჯამალ ღანდურისა (სამხ. კორეა-ესპანეთი ასევე 2002 წლის მუნდიალზე) და სხვა ოდიოზური კოლეგების გვერდით დაიდებს ბინას საფეხბურთო ისტორიის ნეგატივებში...

პაატა გელაშვილი



## კაპელო გადადგომაზე ფიქრობს

» გვერდი 6




## ახალი ურუგვაელები და... განა

» გვერდი 3



# არგენტინა მიფრინავს

## ოთხი წლის წინანდელი ისტორია: მეოთხედფინალი გერმანიასთან



» გვერდი 2

# ამის არდანახვა შეიძლებოდა?!

## ...მაგრამ ბრწყინვალე გერმანიამ ინგლისს მაინც დამსახურებულად მოუგო!

27 ივნისი. ბლუმფონტეინი. ფრი სტეიტი. 40 510 მაყურებელი

### გერმანია–ინგლისი 4:1

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, მერტეზაკერი, ფრიდრიხი, ბოატენგი - ხედირა, შვაინშტაიგერი - მიულერი (72. ტროხოვსკი), იოზილი (83. კისლინგი), პოდოლსკი - კლოზე (72. გომესი).

**ინგლისი (4-2-2-2):** ჯეიმსი - ჯონსონი (87. რაიტ-ფილიპსი), ტერი, აპსონი, ე. კოული - ლემპარდი, ბერი - მილნერი (64. ჯ. კოული), ჯერარდი - დეფო (71. ჰესკი), რუნი.

**გოლები:** 1:0 კლოზე (20), 2:0 პოდოლსკი (32), 2:1 აპსონი (37), 3:1 მიულერი (67), 4:1 მიულერი (70)

**გაფრთხილება:** ფრიდრიხი (47), ჯონსონი (82)

**მატჩი დაიწყო:** ინგლისი; **დარტყმა:** 17(6)-18(7); **ჯარიმა:** 7-6; **კუთხური:** 4-6; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**არბიტრი:** ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)

#### საინტერესო მომენტები

20' - **მანუელ ნოიერმა** ბურთი თამაშში ძლიერი დარტყმით შეიყვანა, პირდაპირ **მიროსლავ კლოზეს** მიმართულებით. **ჯონ ტერი** პოზიციურად შეცდა და სწრაფმა კლოზემ **აპსონსაც** გაასწრო. ეს უკანასკნელი მიროს მაისურზე კი ექაჩებოდა, მაგრამ ხელი ველარ შეუშალა - გერმანიის ნაკრების თავდამსხმელმა ათი მეტრიდან ბურთს ფეხი წაჰკრა და კარიდან გამოვარდნილი **ჯეიმსი** უკვე უძლური იყო. ეს გახლდათ კლოზეს მე-12 გოლი მსოფლიოს ჩემპიონატებზე და 50-ე საერთოდ ეროვნულ გუნდში.

32' - თორმეტი წუთის შემდეგ გერმანიამ ინგლისს მეორე გოლიც გაუტანა: იოზილმა თამაშში კლოზე ჩართო, რომელმაც ბრწყინვალე პასი მისცა **მიულერს**, ეს უკანასკნელი კი ჯეიმსთან ფაქტობრივად პირისპირ დარჩა, მაგრამ დიდსულოვნად მოიქცა და **პოდოლსკის** უპასა, რომელმაც ბურთი მიიღო, დაამუშავა და მახვილი კუთხიდან უძლიერესი დარტყმით გაიტანა. **ჯეიმსს** ბურთი ფეხებს შუა გაუძვრა!

37' - ინგლისელები თამაშში ბრუნდებიან: **ჯერარდის** ბრწყინვალე, „ინგლისური ჩაწოდება“ საჯარიმოში, **აპსონმა ბოატენგს** საჰაერო ორთაბრძოლა მოუგო, ნოიერი კარიდან იყო გამოვარდნილი და ბურთს ველარ შესწვდა, აპსონის თავური დარტყმა 2:1.

38' - ერთ წუთში ინგლისის ნაკრებს გერმანიის კარში მეორე გოლიც გააქვს, მაგრამ მსაჯები მას არ თვლიან! **ფრენკ ლემპარდმა** 16 მეტრიდან დაარტყა და ოდნავ წინ გამოსულ ნოიერს ბურთი თავზე გადაუგდო. ბურთი ხარიხას მოხვდა და კარი აშკარად, დაახლოებით ერთი მეტრით გადაკვეთა, მაგრამ მსაჯებმა გოლი არ ჩათვალეს! გერმანიას გაუმართლა!

67' - გერმანელთა სწრაფ და უზადო კონტრშეტევას ჯეიმსის კარში გატანილი მორიგი გოლი მოჰყვა: ბოატენგმა სწრაფად უპასა მიულერს, რომელმაც მარცხნივ **შვაინშტაიგერი** მოძებნა. ბასტიანმა კი დრიბლინგი წამოიწყო და მოედნის ცენტრისკენ შეიჭრა, მერე კი იდეალურად გახსნილი მიულერი მოძებნა, რომელმაც 14 მეტრიდან ახლო კუთხეში გაუტანა ჯეიმსს. ინგლისელთა მეკარე ამ სიტუაციაში საკმაოდ ცუდად გამოიყურებოდა.

70' - ბუნდესგუნდის კიდევ ერთი სამაგალითო კონტრშეტევა და მიულერის დუბლი: კლოზეს საოცნებო პასი **იოზილს**, ამან **ბერი** ჩამოიტოვა და ინგლისელთა საჯარიმოში შეიჭრა, საიდანაც მიულერს უპასა, რომელმაც მარტივად გაიტანა - 4:1!

„უემბლის“ გოლი ნომერი ორი; სკანდალი; დაცინვა; შეურაცხყოფა; უსამართლობა; ლაინსმენს თვალების ნაცვლად პომიდვრები ჰქონდა; ჩიპი, გვინდა, ჩიპი... იმას, რაც გუშინ „ფრი სტეიტზე“, მატჩის 38 წუთზე მოხდა, ბევრი რამ შეიძლება ეწოდოს და უამრავი კომენტარი მიესადაგება, მაგრამ რაც არ უნდა ვწეროთ და ვილაპარაკოთ, ინგლისს ამით რა? იმასაც ვიტყვით, რომ **ხორხე ლარიონდას** და მის ალმიან თანამოძმეებს **ფრენკ ლემპარდის** გოლი რომ ჩაეთვალათ, შესაძლოა, მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო - ინგლისი ხომ ანგარიშს ათანაბრებდა, თანაც, გერმანიას ორ წუთში უქაჩავდა ორბურთიან ჩამორჩენას და მერე, სავარაუდოდ, ფსიქოლოგიური უპირატესობა ექნებოდა, მაგრამ საქმეც იმაშია... „შესაძლოში“ და „სავარაუდოში“. ფაქტი კი ის არის, რომ გერმანიამ გაცილებით უკეთ ითამაშა და შედეგიც ლოგიკურია, მაგრამ ის ფაქტი, რომ შეხვედრის შედეგი მაინც გვიტოვებს კითხვის ნიშნებს, „შესაძლოებს“ და „სავარაუდოებს“, ძალიან ცუდი, მეტიც, ამაზრზენია! მაგრამ როგორც ზემოთაც ალვნიშნეთ, ამ საუბრებით ინგლისს რა? არაფერი! ამაშია საქმე.

ფაქტი ისიცაა, რომ გერმანიის ნაკრებმა თამაშში თავისი თავი ინგლისის ნაკრებზე გაცილებით მალე იპოვა და მოედნის ცენტრში სათამაშო უპირატესობას დაეუფლა. გერმანელები უპირატესობას ფლობდნენ მაშინაც კი, როცა ბურთი ინგლისელებს ჰქონდათ - ბუნდესგუნდი ისე კომპაქტურად იდგა, რომ **ფაბიო კაპელოს** ბიჭები იძულებულები იყვნენ, ხსნა უმეტესად გრძელი პასებით ეძებნათ. დაეუფლებოდა თუ არა გერმანია ბურთს, ფლანგის ნახევარმცველები **პოდოლსკი** და **მიულერი** უკან იხევდნენ, ნახევარდაცვაში ჩამოდიოდა ერთადერთი ფორვარდი **მიროსლავ კლოზეც** და ისე გამოდიოდა, რომ მოედნის ცენტრში და ინგლისელთა საჯარიმოს მისადგომებთან გერმანიას თითქმის ყოველთვის რიცხვობრივი უპირატესობა ჰქონდა. შედეგად, ფლეიმეიქერ **მესუთ იოზილს** ხშირად უთავისუფლდებოდა სივრცეები.

**აპსონის** გოლის შემდეგ, ინგლისელები თამაშში დაბრუნდნენ და ზუსტად ერთ წუთში მეორე გოლიც გაიტანეს, მაგრამ მსაჯთა ბრიგადამ „ივაუკაცა“ და ინგლისს თამაშში სრულფასოვნად დაბრუნების საშუალება არ მისცა. არადა, გამეორების ნახვის შემდეგ ინგლისის ნაკრები თვით გერმანელებსაც შეეცოდებოდათ. ყოველ შემთხვევაში, წესით, უნდა შეცოდებოდათ. თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მიუხედავად მაღალი კლასისა, **ჯერარდმა**, ლემპარდმა და **ბერიმ** ბუნდესგუნდის ნახევარმცველებთან ომი პირწმინდად წააგეს და სწორედ ამის შედეგია ის, რომ კაპელოს გუნდმა პირველიდან ბოლო წუთამდე, ერთხელაც ვერ შეძლო **იოახიმ ლიოვის** სამწყსოს რეალური წნეხის ქვეშ მოქცევა.

მიუხედავად ამისა, მეორე ტაიმის პირველ ოც წუთში გერმანიის ნაკრებს მაინც გაუჭირდა, რადგან **შვაინშტაიგერმა** და **ხედირამ** მეტწილად დაცვაზე დაიწყეს ზრუნვა და როცა ბურთს მიიღებდნენ, თამაშის დაწყნარებას არც კი ცდილობდნენ. ერთადერთი გერმანელი ფეხბურთელი, ვისაც დრო გაჰყავდა, მეკარე **ნოიერი** გახლდათ. მაგრამ მერე გერმანიამ ორი გენიალური კონტრშეტევა განახორციელა, ორივე წარმატებით დააგვირგვინა და ინგლისის ნაკრებიც დანებდა.

ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში, გერმანიამ განას მხოლოდ 1:0 მოუგო და ამ მატჩმა ბუნდესგუნდის ქომაგები ცოტათი პესიმისტურად განაწყო, მაგრამ გერმანელებმა ინგლისთან ნაჩვენები ფეხბურთით ყოველგვარი ეჭვი გააქარწყლეს. ლიოვის გუნდს ერთი წუთითაც არ დასტყობია ნერვიულობა - ასეთი თავდაჯერებული გერმანია დიდი ხანია, ალარ გვინახავს!

ლიოვის გუნდი განსაკუთრებით კრეატიული წინა ხაზში იყო, სადაც, თამამად ვიტყვით, მიულერმა, კლოზემ, იოზილმა და პოდოლსკიმ ისეთი კვარტეტი შექმნეს, რომელსაც თითქოს ნებისმიერ დროს შეუძლია გოლის გატანა. ამასთან, შვაინშტაიგერის სახით, ბუნდესგუნდს ძალიან ჭკვიანი ცენტრალური შუახაზელიც ჰყავს.

ინგლისის ნაკრებს, ბევრ რამესთან ერთად, პირველ რიგში სწორედ ასეთი ფიგურა აკლია. არადა, რა ნამუსით ვამბობთ ამას, როცა ინგლისს ჯერარდი და ლემპარდი ჰყავს? მაგრამ ფაქტი ჯიუტია: ზუსტად ისე, როგორც ჯგუფური ეტაპის სამივე მატჩშიც, კაპელოს გუნდი მთელი შეხვედრის განმავლობაში არ იყო იმის მაქნისი, რომ ინიციატივა თავის თავზე აელო და მეტოქე ზეწოლის ქვეშ მოექცია. საერთო ჯამში და მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთისა და იტალიის ნაკრები გუნდებისგან განსხვავებით, ჯგუფიდან გავიდა, უნდა ვთქვათ, რომ ინგლისის ნაკრები ამ მუნდიალის უმთავრესი იმედგაცრუებაა. იტალიას და საფრანგეთს ფავორიტად არც არავინ რაცხავდა... ესეც რომ არ იყოს, გერმანიასთან წაგება კატასტროფა არავისთვისაა, მაგრამ იმასაც ხომ გააჩნია, როგორ ითამაშებ და რა ანგარიშით წააგებ. ამ თამაშსაც რომ შევეშვათ, კაპელოს გუნდი იმედებს ვერც ჯგუფური ეტაპის დროს ამართლებდა. ბოლოს და ბოლოს, არავინ იცის, რა მოხდებოდა რეალურად, ლემპარდის 500-პროცენტიანი გოლი რომ ჩათვლილიყო - ყველას უნდა შევახსენოთ, რომ არც გერმანიის ნაკრებია ისეთი გუნდი, რომელიც იოლად ნებდება. პირიქით!

მოკლედ, ინგლისისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი კიდევ ერთხელ დამთავრდა ძალიან ადრე. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ კითხვის ნიშნის ქვეშაა კაპელოს მომავალიც. არადა, ფაბიოს ბიჭებმა შესარჩევ ციკლში იმდენად ბრწყინვალედ ითამაშეს, რომ ინგლისელებმა იტალიელ მწვრთნელს მუნდიალის დაწყებამდე სიტყვა მიაცემინეს, რომ არსად წავიდოდა და ახალი კონტრაქტიც გაუფორმეს - ორწლიანი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, იტალიელი საკმაოდ კარგ ხელფასს იღებს.

#### საუკეთესო ფეხბურთელი

თომას მიულერი (გერმანია)

**შეგვეძლო, საუკეთესო ფეხბურთელად არნე ფრიდრიხი, ბასტიან შვაინშტაიგერი ან მიროსლავ კლოზე გველიარებინა, მაგრამ თომას მიულერმა, გარდა იმისა, რომ მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ორი გოლიც გაიტანა და სწორედ ამიტომ ვარჩიეთ სხვებს. ეს ბიჭი გვარსაც ამართლებს და ნომერსაც - უბრალოდ, გერდი არ ჰქვია და არც ცენტრფორვარდია, თორემ სხვა, ყველაფერი „ნაციის ბომბარდირისეული“ აქვს...**

#### მატჩის შემდეგ

იოახიმ ლიოვი (გერმანიის ნაკრების მწვრთნელი): **„შესვენებაზე ჩემს შეგირდებს ვუთხარი, მესამე გოლიც უნდა გავიტანოთ-მეთქი. ჩვენ ვიცოდით, რომ ინგლისი შემოგვიტევდა და კონტრშეტევების შანსი მოგვეცემოდა. ისიც ვიცოდით, რომ ინგლისის ნაკრების კონტრშეტევებზე გამოჭერა ძალიან ადვილია, ოღონდ იმ შემთხვევაში, როცა მოკლე პასებით, სწრაფი კომბინაციებით მიდიხარ. ინგლისმა თამაში მართლაც გახსნა და ჩვენ ამით ვისარგებლეთ. მომენტები განმეორებით ჯერ არ მინახავს, ასე რომ, ლემპარდის დარტყმაზე ვერაფერს ვიტყვი. თუ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა, ეს ძალიან სამწუხაროა“.**

ფაბიო კაპელო (ინგლისის ნაკრების მწვრთნელი): **„ლემპარდის გოლის ჩათვლას ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. არ მესმის და ვერასდროს გავიგებ, რატომ მიხდება დღეს, 21-ე საუკუნეში, ამაზე ლაპარაკი? ვფიქრობ, რომ აპსონის გოლის შემდეგ ძალიან კარგად ვთამაშობდით და ტაბლოზე 2:2 უნდა ანთებულიყო. ის, რაც მეორე ტაიმში მოხდა, საშინელებაა, მაგრამ მიზეზი ამასაც აქვს - ჩვენი ფეხბურთელების ინდივიდუალური შეცდომები. გერმანია დიდი გუნდია და კარგად ითამაშა, ჩვენ შეცდომები დავუშვით, მაგრამ ყველაზე დიდი შეცდომა დღეს მსაჯმა დაუშვა. რა ვუყოთ, ასეთია ფეხბურთი!“**

გოტფრიდ ლენცი

**ფაბიო კაპელოს კომენტარი საკუთარ მომავალთან დაკავშირებით მე-6 გვერდზე**



კარლოს ტევესი

# ფიფას ძურში ჯდომა ურჩევნია

27 ივნისი. იოჰანესბურგი. სოკერ სიტი. 84 377 მაყურებელი

### არგენტინა–მექსიკა 3:1

**არგენტინა (4-3-1-2):** რომერო - ოტამენდი, დემიკელისი, ბურდისო, ჰაინცე - მაქსი როდრიგესი (87. პასტორე), მასკერანო, დი მარია (79. გუტიერესი) - მესი - ტევესი (69. ვერონი), იგუაინი.

**მექსიკა (4-4-1-1):** პერესი - ხუარესი, ოსორიო, ფ. როდრიგესი, სალსიდო - დოს სანტოსი, მარკესი, ტორადო, გვარდადო (61. ფრანკო) - ბაუტისტა (46. ბარერა) - ერნანდესი.

**გოლები:** 1:0 ტევესი (26), 2:0 იგუაინი (33), 3:0 ტევესი (52), 3:1 ერნანდესი (71)

**გაფრთხილება:** მარკესი (28)

**მატჩი დაიწყო:** მექსიკა; **კარში დარტყმა:** 12(6)-17(5); კუთხური: 2-5, ჯარიმა: 11-26; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**არბიტრი:** რობერტო როზეტი (იტალია)

#### საინტერესო მომენტები

8' - **კარლოს სალსიდოს** მიერ შორიდან დარტყმული ბურთი არგენტინელთა კარის ხარიხას მოხვდა.

9' - **ანდრეს გვარდადოს** ძლიერი დარტყმა მიზანს ოდნავ ასცდა.

26' - **ოსკარ პერესმა** ბურთი ცხვირწინ მოიგერია, დამატებაზე ყველას **ლიონელ მესიმ** დაასწრო და თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი **კარლოს ტევესი** მოძებნა, რომლის მიერ თავით გატანილი გოლი ჩაითვალა - 1:0.

33' - **გონსალო იგუაინმა რიკარდო ოსორიოს** უხეირობით ისარგებლა, დაეუფლა ბურთს, შეიჭრა საჯარიმოში და ცარიელ კარში გაიტანა - 2:0.

37' - სალსიდოს შორეული დარტყმა **სერხიო რომერომ** მოიგერია.

52' - ტევესმა შორიდან ეფექტურად გაისროლა და ბურთი „ცხრიანში“ დააჭედა - 3:0.

71' - **ხავიერ ერნანდესმა** ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით არგენტინელთა მეკარეს ბურთი ახლო მალალ კუთხეში გაუტანა - 3:1.

79' - მესის „მოჭრილი“ დარტყმა მეკარემ გაჭირვებით მოიგერია.

მექსიკის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატს ზედიზედ მეხუთედ გამოეთიშა მერვედფინალიდან. მექსიკელები წინა მუნდიალის მერვედფინალშიც არგენტინელებს გადაეყარნენ და მაშინ დამატებით დროში დამარცხდნენ, ამჯერად კი უფრო იოლად დაყარეს ფარ-ხმალი.

იმის მიუხედავად, რომ არგენტინელებმა გუშინ ჩინებულად ითამაშეს, მათი მეტოქის მარცხში იტალიელმა არბიტრმა **რობერტო როზეტიმ** და მისმა ასისტენტმაც შეიტანეს წვლილი. ასეთი გამოდგა გუშინდელი დღე - ორივე მერვედფინალში მსაჯებმა უხეში შეცდომები დაუშვეს და უმაღლესი რანგის მატჩებს ჩრდილი მიაყენეს, გამარჯვებულებს კი (რომლებმაც მეოთხედფინალში გასვლა უდავოდ დაიმსახურეს) საქმე საგრძნობლად გაუიოლეს. მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ **კარლოს ტევესმა** ანგარიში ერთმეტრიანი თამაშგარიდან გახსნა.

როზეტი და თანამსაჯი დაახლოებით ორ წუთს მსჯელობდნენ, ჩაეთვალათ თუ არა გოლი. ფიფა ვიდეოგამეორების დანერგვას ეწინააღმდეგება, აქაოდა, ეს პროცედურა მატჩის მსვლელობას შეაფერხებსო. არადა, რაგბის, ჰოკეის, ძიუდოსა თუ სხვა ტელერეპორტაჟისას ხშირად გვინახავს, ტექნიკის საშუალებით რაოდენ ოპერატიულად ახერხებენ მსაჯები სიტუაციაში გარკვევას. განა საფეხბურთო ეპიზოდის განმეორებით ნახვასაც იგივე დრო არ სჭირდება? შეფერხებით კი როზეტიმ ისედაც შეაფერხა თამაში, თანაც ისე, რომ ვერც ვერაფერში გაერკვა და შესაბამისად, მცდარი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. სამწუხაროა, რომ უსერიოზულესი შეცდომები დაუშვეს ისეთი საფეხბურთო ქვეყნების წარმომადგენლებმა, როგორებიცაა იტალია და ურუგვაი, სამაგიეროდ, ფაქტობრივად უშეცდომოდ მოქმედებენ ის არბიტრები, რომლებიც აქამდე ნაკლებად იყვნენ ცნობილნი - მაგალითად, უზბეკი **რავშან ირმატოვი...**

ასე იყო თუ ისე, არგენტინის ნაკრებმა მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა, მეოთხედფინალში დამსახურებულად გავიდა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სამართლიანად მიიჩნევა მუნდიალის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად. „ალბისელესტემ“ მშვენივრად შეირგო მსაჯის საჩუქარიც, აჭრილ მექსიკას სწრაფად გაუტანა კიდევ ერთი გოლი და ამით საქმე მოამთავრა. არადა, ანგარიშის გახსნა მექსიკელებს შეეძლოთ...

პირველი ტაიმის დასრულებისთანავე მოედნის კიდესთან გუნდური ჩხუბი გაჩაღდა, მეორე ტაიმის დებიუტი და ტევესის ეშხიანი გოლი კი ერთი იყო. გასაკვირი არ იყო, რომ **დიეგო მარადონამ** ტევესის ნაცვლად **ხუან სებასტიან ვერონი** შეუშვა და თამაშის ტემპიც დაეცა. **ხავიერ აგირეს** ფეხბურთელებმა ბოლოჯერ გაიბრძოლეს და პრესტიჟის გოლიც გაიტანეს, თამაშში გარდატეხის შესატანა კი ზღაპარი იყო - მექსიკას საამისო რესურსი არ ჰქონდა.

მატჩის ერთ-ერთი ინტრიგა ისიც იყო, გახსნიდა თუ არა საგოლე ანგარიშს **ლიონელ მესი**. არგენტინელთა უმთავრესმა იმედმა ცდა არ დააკლო, მაგრამ საწადელს ვერც ამჯერად მიაღწია. ლეომ გუშინაც მაღალ დონეზე ითამაშა, თუმცა მისგან მაინც მეტს ელიან და ვნახოთ, რას იზამს გერმანიასთან დაპირისპირებაში. **გონსალო იგუაინი** კი ამასობაში 4 გოლით ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა. კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფაქტი: მას მერე, რაც 1990 წლის მუნდიალის მერვედფინალში არგენტინამ ბრაზილიას 1:0 სძლია, „ალბისელესტემ“ მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი ოფის მატჩი ძირითად დროში პირველად მოიგო...

#### საუკეთესო ფეხბურთელი

კარლოს ტევესი (არგენტინა)

**არგენტინელთა ფორვარდები შესანიშნავ ფორმაში არიან, გუშინ ყველაზე ეფექტური კარლოს ტევესი იყო. თამაშგარედან გატანილ გოლს მან მეორე ტაიმში ბრწყინვალე შედეგიანი დარტყმა მიაყოლა და თავის გუნდს მეოთხედფინალი დაუბევა. ტევესი მხოლოდ გოლებისას არ ყოფილა შესამჩნევი, მოედანზე გატარებული 69 წუთის განმავლობაში იგი უაღრესად სასარგებლო იყო.**

ლევან ჯანეზაშვილი

#### ბომბარდირები

4 - **იგუაინი** (არგენტინა); 3 - **ვილია** (ესპანეთი), **მიულერი** (გერმანია), **სუარესი** (ურუგვაი), **გიანი** (განა), **ვიტეკი** (სლოვაკეთი), **დონოვანი** (აშშ).

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებსა და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ახალი ურუგვაელები

26 ივნისი. პორტ ელიზაბეთი. ნელსონ მანდელა ბეი. 30 597 მაყურებელი.

## ურუგვაი–სამ. კორეა 2:1

**ურუგვაი (4-3-1-2):** მუსლერა - მ. პერეირა, ლუგანო, გოდინი (46. ვიქტორინო), ფუსილე - დ. პერესი, რიოსი, ა. პერეირა (74. ლოდეირო) - ფორლანი - სუარესი (84. ა. ფერნანდესი), კავანი.

**სამხ. კორეა: (4-2-3-1):** სუნ-რიონ იუნგი - დუ-რი ჩა, იონ-ჰიუნ ჩო, ჯუნ-სუნ ლი, იონ-პიო ლი - სუნ-იონ კი (85. კი-ჰუნ იეომი), ჯუნ-ვაო კიმი - ჩუნ-იონ ლი, ჯეისუნ კიმი (61. დონგ-გუკ ლი), ჯი-სუნ პარკი - ჩუ-იუნ პარკი.

**გოლები:** 1:0 სუარესი (8), 1:1 ჩუნ-იონ ლი (68), 2:1 სუარესი (80).

**გაფრთხილება:** ჯუნ-ვაო კიმი (38), დუ-რი ჩა (69), იონ-ჰიუნ ჩო (83)

**მატჩი დაიწყო:** სამხ. კორეა; **დარტყმა:** 14(8)-15 (5); **ჯარიმა:** 12-12; **კუთხური:** 3-3; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

### საინტერესო მომენტები

5' - **ჩუ-იუნ პარკმა** 25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა შეასრულა - ბურთი ურუგვაელთა კარის ძელს მოხვდა.

6' - ურუგვაელთა მრავალსვლიანი კომბინაცია **დიეგო ფორლანის** დარტყმით დამთავრდა, მაგრამ **სუნ-რიონ იუნგმა** პოზიცია სწორად შეარჩია.

8' - 1:0 ფორლანმა მარცხენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა გააკეთა, სადაც მცველების და მეკარის შეუთანხმებელი მოქმედებით ჩინებულად ისარგებლა **ლუის სუარესმა** და მახვილი კუთხიდან ანგარიში გახსნა.

27' - სუარესი ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ მსაჯებმა... არარსებული თამაშგარე დააფიქსირეს.

32' - ჩუ-იუნ პარკის საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ურუგვაელთა კარს მცირე მანძილით ასცდა.

39' - ფორლანის პასის შემდეგ სუარესი მეტოქის კარში ბურთს თავით გზავნიდა, მაგრამ სუნ-რიონ იუნგს ამჯერად ვეღარ აჯობა.

41' - **დუ-რი ჩას** შორეული დარტყმა ურუგვაელთა კარს ზემოდან გადაევლო.

42' - **მაქსი პერეირას** დარტყმის შემდეგ ბურთი **ჯუნ-სუ ლის** ხელზე მოხვდა, მაგრამ არბიტრმა სამხრეთკორეელთა კარში პენალტი არ დანიშნა.

45' - დუ-რი ჩას კიდევ ერთი შორეული დარტყმა - კვლავ არაზუსტად.

49' - სუარესი მეტოქის საჯარიმოს მისადგომებიდან ურტყამდა - სამხრეთ კორეელთა მეკარემ ბურთი მოიგერია.

51' - სამხრეთკორეელთა სახიფათო შეტევა **დიეგო ფუსილემ** განმუხტა.

55' - ჩუ-იუნ პარკი მახვილი კუთხიდან ცდილობდა ანგარიშის გათანაბრება - ბურთი ურუგვაელთა კარს ოდნავ ასცდა.

58' - **ჯი-სუნ პარკის** თავური დარტყმა **ფერნანდო მუსლერამ** მოიგერია.

68' - 1:1 ურუგვაელთა მეკარისა და მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით **ჩუნ-იონ ლიმ** ისარგებლა და თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

71' - ჯი-სუნ პარკის პასის შემდეგ ჩუნ-იონ ლის „დუბლის" შესრულება შეეძლო.

73' - სუარესი მახვილი კუთხიდან ურტყამდა - მეტოქის მეკარემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

74' - სუარესი ახლო მანძილიდან თავით ცდილობდა გოლის გატანას - დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოუვიდა.

80' - 2:1 სამხრეთკორეელთა კარში დანიშნული კუთხურის შემდეგ სუარესმა ბურთი მეტოქის საჯარიმოსთან მიიღო და მოჭრილი დარტყმით ეფექტური გოლი გაიტანა.

88' - **დონგ-გუკ ლი** ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ მუსლერამ ბურთის მოგერიება შეძლო.

და აი, პირველი მეოთხედფინალისტიც გამოვლინდა: **ოსკარ ტაბარესის** დამოძღვრილმა ურუგვაის ნაკრებმა ეს პატივი ნამდვილად დაიმსახურა! ურუგვაის ნაკრებმა ჯგუფურ ეტაპზეც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა და ახლაც, მერვედფინალში სამხრეთ კორეასთანაც დამსახურებულად გაიმარჯვა. ურუგვაელები მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები არიან, მაგრამ მუნდიალებზე ბოლოს მეტ-ნაკლებად წარმატებულად 1970 წელს იასპარეზეს, როდესაც ნახევარფინალში გავიდნენ და მომავალ გამარჯვებულ ბრაზილიასთან დამარცხდნენ.

აი, იმის შემდეგ 40 წელიწადი გავიდა და ურუგვაელებს მუნდიალებზე ღირებული არაფერი გაუკეთებიათ - ხუთ შემთხვევაში სულაც შესარჩევი ეტაპი ვერ გადალახეს. და აი, ის რაც ვერ მოახერხა **ენცო ფრანჩესკოლის, ალვარო რეკობას, კარლოს აგილერასა და პაოლო მონტეროს** თაობამ, **დიეგო ფორლანისა და ლუის სუარესის** მართლაც შთამბეჭდავმა „დუეტმა" შეძლო. რა თქმა უნდა, მხოლოდ ორი კაცით სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფორლანისა და სუარესის საშემსრულებლო ოსტატობის ხარჯზე ურუგვაელებს მეტოქეებთან შედარებით გარკვეული უპირატესობაც ექმნებათ ხოლმე. გამონაკლისი არც ეს მერვედფინალური მატჩი იყო, მეტად საინტერესო და დაძაბული რომ გამოდგა.

ტაბარესმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და ორგანიზებულად და ტაქტიკურად სწორად მოთამაშე სამხრეთ კორეის ნაკრებს შემტევი, სამფორვარდიანი ტაქტიკა დაუპირისპირა: ფორლანი ოდნავ სიღრმიდან, ცენტრში თამაშობდა, სუარესი მარცხნივ იყო, ხოლო **ედისონ კავანი** - მარჯვნივ. თუმცა, ეს უფრო პირობითი სქემა იყო, რადგან ურუგვაელ შემტევთა მართლაც მრისხანე სამეული ხშირად ცვლიდა პოზიციას და ნახევარმცველებისგანაც საკმარისი მხარდაჭერა ჰქონდა, განსაკუთრებით, **დიეგო პერესისგან.** თუმცა, კორეელებმა ამ შეხვედრაშიც დაამტკიცეს, რომ მერვედფინალში შემთხვევით არ გასულან და არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, შეხვედრის დასაწყისში აზიელთა ერთადერთ ნომინალურ ფორვარდ **ჩუ-იუნ პარკის** საჯარიმო დარტყმა... რამდენიმე მილიმეტრით მარჯვნივ რომ წასულიყო - ბურთი ურუგვაელთა კარის ძელს მოხვდა!

თუმცა სამხრეთამერიკელებმა მაშინვე საპასუხო შეტევა განახორციელეს და პირველ ჯერზე ფორლანის დარტყმა თუ კორეელთა მეკარემ მოიგერია, სამ წუთში **სუნ-რიონ იუნგი** აშკარად შეცდა პოზიციის შერჩევაში: ფორლანი-კავანი-ფორლანის კომბინაცია სუარესის ზუსტი დარტყმით დამთავრდა! პირველი ტაიმის ბოლომდე ურუგვაელებს კიდევ არაერთი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, ორ შემთხვევაში კი მსაჯის არასწორი გადაწყვეტილებებით დაიჩაგრენ: სუარესი მეკარესთან პირისპირ რჩებოდა, მაგრამ არარსებული თამაშგარე დაუფიქსირეს, შემდეგ კი გერმანელმა არბიტრმა **ვოლფგანგ შტარკმა** ვერ შეამჩნია, რომ საკუთარ საჯარიმოში **ჯუნ-სუნ ლის** ბურთი ხელზე მოხვდა.

მეორე ტაიმში ურუგვაელებმა შეგნებულად დაუთმეს მოედნის ცენტრი მეტოქეს და სწრაფი კონტრშეტევების იმედად იყვნენ; თუმცა სამხრეთ კორეის ნაკრები შეტევაში ისე მიდიოდა, მაქსიმალურად ცდილობდა ფლანგები არ მოეშიშვლებინა. ამასთან, როგორც გუნდის ლიდერს შეეფერება, ისე ათამაშდა **ჯი-სუნ პარკი,** კვლავაც აქტიურობდა ჩუ-იუნ პარკი და საერთოდაც, მეორე ტაიმის საწყისი 25 წუთი აზიელთა უპირატესობით წარიმართა. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ **ჩუნ-იონ ლის** გოლი ლოგიკურიც იყო, ამასთან, ამ ეპიზოდამდე რამდენიმე წუთით ადრე არბიტრს ურუგვაელთა კარში პენალტის დანიშვნაც შეეძლო - კავანი აშკარად არღვევდა წესებს ჩუ-იუნ პარკის წინააღმდეგ.

ანგარიში გათანაბრდა და... ურუგვაის ნაკრებმა კვლავაც დიდი ძალებით შეუტია - სუარესს ერთწუთიან ინტერვალში ორჯერ შეეძლო თავის გუნდის დაწინაურება. თუმცა, ბოლოს მოსახდენი მაინც მოხდა: გასულ სეზონში ევროპის ჩემპიონატებში ყველაზე მეტი გოლის გამტანმა და ცნობილი გრანდების სატრანსფერო სამიზნემ ეფექტური დარტყმით საკუთარ გუნდს მეოთხედფინალის საგზური მოუტანა! კორეელებმა ერთხელაც გაიბრძოლეს, მაგრამ შეცვლაზე შემოსულმა **დონგ-გუკ ლიმ ფერნანდო მუსლერას** ვერ აჯობა...

### საუკეთესო ფეხბურთელი

ლუის სუარესი (ურუგვაი)

**ეს ის შემთხვევაა, როცა არჩევანი საკამათო არავისთვის უნდა იყოს. 23 წლის თავდამსხმელმა მართლაც ზღაპრული მატჩი ჩაატარა და თავის „დუბლით" ურუგვაის ნაკრების წარმატებაში ლომის წვლილი შეიტანა.**

### მატჩის შემდეგ

იუნგ-მო ჰუ (სამხრეთ კორეის მთავარი მწვრთნელი): **„წაგებას არ ვიმსახურებდით - ჩემი გუნდი გააზრებულ ფეხბურთს უჩვენებდა და ბიჭებისთვის სასაყვედურო არაფერი მაქვს. მეორე ტაიმში თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით, მაგრამ უიღბლობამ დაგვალალატა მაშინ როცა მეტოქეს აშკარად გაუმართლა. ამაზე უკეთესად ნამდვილად ვერ ვითამაშებდით, თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ კიდევ ბევრი რამ გვაქვს დასახვეწი".**

ოსკარ ტაბარესი (ურუგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„მეტოქის გოლის შემდეგ უფრო უკეთ ავთამაშდით, თითქოს, დაძაბულობაც მოგვეხსნა; სუარესის ფანტასტიკური გოლი კი ჩვენი უპირატესობის ლოგიკური შედეგი იყო. შესაძლოა, ვინმემ ხმამაღალ განცხადებად ჩამითვალოს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ურუგვაის ნებისმიერი მეტოქისათვის სერიოზული პრობლემის შექმნა შეუძლია, ამ ტურნირისთვის იმდენად კარგად ვართ მომზადებულნი".**

**გია ტუხაშვილი**

# აფრიკული პრესტიჟის ერთადერთი დამცველი

26 ივნისი. რუსტენბურგი. როიალ ბაფოკენგი. 28 646 მაყურებელი

## აშშ–განა 1:1. დ.დ. 1:2

**აშშ:** ჰოვარდი - ჩერუნდოლო, დემერიტი, ბოკანეგრა, ბორნშტეინი - დემპსი, ბრედლი, კლარკი (30. ედუ), დონოვანი - ალტიდორი (91. გომესი), ფინდლი (46. ფილჰაბერი).

**განა:** კინგსონი - პენტსილი, ჯონათან მენსა, ჯონ მენსა, სარპეი (73. ედი) - ინკომი (113. მუნტარი), ანანი, კ. ბოატენგი (78. აპია), აიევი - ასამოა - გიანი.

**გოლები:** 0:1 კ. ბოატენგი (5), 1:1 დონოვანი (62-პენ), 1:2 გიანი (93)

**გაფრთხილება:** კლარკი (7), ჩერუნდოლო (17), ჯონათან მენსა (61), ბოკანეგრა (68), აიევი (90)

**მატჩი დაიწყო:** განა; კარში დარტყმა: 16(8)-14(6); კუთხური: 5-4, ჯარიმა: 11-18; ბურთის ფლობა: 51%-49%.

**არბიტრი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

განა ერთადერთი აფრიკული გუნდია, რომელმაც სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე ჯგუფიდან გასვლა შეძლო, მაგრამ ეს სულაც არ აღმოჩნდა **მილოვან რაიევაცის** გუნდის მაქსიმუმი. შაბათს „შავმა ვარსკვლავებმა" ამერიკელებს მძიმე ბრძოლაში, მაგრამ სავსებით დამსახურებულად გამოჰგლიჯეს ამერიკელებს ხელიდან მეოთხედფინალის საგზური. ეს კი საუკეთესო შედეგია განური ფეხბურთის ისტორიაში. განის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად ოთხი წლის წინ, გერმანიაში იასპარეზა და მერვედფინალამდე მიაღწია, ახლა კი ეს შედეგი უკვე გაუმჯობესებულია და თუ განელებმა 2 ივლისს ურუგვაელებსაც აჯობეს, მუნდიალების ისტორიაში პირველი აფრიკელები იქნებიან, რომლებმაც ოთხ საუკეთესო გუნდში მოხვედრა შეძლეს.

მსოფლიოს ჩემპიონატზე აშშ-ის ეროვნული გუნდიც ღირსეულად გამოვიდა. ისიც ნიშანდობლივია, რომ ამერიკელებმა წინა მუნდიალიც განელებთან მარცხით დაასრულეს - მაშინ მათ ეს უსიამოვნება ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში შეემთხვათ.

შაბათის მატჩი მთლად სანახაობრივი არ ყოფილა, მაგრამ ყოველ წამს იგრძნობოდა დაძაბულობა, რაც თამაშს თავისებურ ელფერს მატებდა და მთლიანობაში, ხარისხიანი შეხვედრაც გამოვიდა. ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე გუნდმა განსაკუთრებულ უპირატესობას მიაღწია. გამარჯვება ორივე მათთგანს შეეძლო, საბოლოოდ, კი მეოთხედფინალში ის გავიდა, ვინც საკუთარი შანსები მეტოქეზე უკეთ გამოიყენა.

განელთა სწრაფმა გოლმა ამერიკელები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. **კევინ-პრინს ბოატენგმა** დაამტკიცა, რომ თავის გუნდს მხოლოდ **მიხაელ ბალაკის** დამტვრევით არ გამოადგა. ახალგაზრდა ნახევარმცველმა მატჩის დებიუტში **რიკარდო კლარკს** მოედნის ცენტრში ბურთი მოჰპარა, უსწრაფესად ირბინა მეტოქის საჯარიმოს მისადგომებამდე და იმის მიუხედავად, რომ ორი კაცის გარემოცვაში იყო, **ტიმ ჰოვარდს** მაინც გაუტანა ახლო დაბალ კუთხეში.

ვერ ვიტყვით, რომ დაწინაურების შემდეგ განელებმა შეგნებულად დათმეს ინიციატივა. აფრიკელებს ანგარიშის სხვაობის გაზრდის რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ამერიკელთა გააქტიურება უფრო თვალში საცემი იყო.

შესვენებამდეც და შესვენების შემდეგაც **ბობ ბრედლის** შეგირდებს რამდენიმე საგოლე შანსი ჰქონდათ, მაგრამ **რიჩარდ კინგსონი** მოწოდების სიმაღლეზე იდგა. რაღა თქმა უნდა, უნაკლოდ დარტყმული ბურთი კარში აუცილებლად შედი და ამერიკელებს შეტევის ბოლო ფაზაში უკეთ თამაშიც შეეძლოთ, მაგრამ განელთა მეკარის შეუდარებელი თამაში მაინც აღნიშვნის ღირსია.

ამერიკელებმა მიზანს თერთმეტმეტრიანით მიაღწიეს. **ჯონათან მენსამ კლინტ დემპსი** წააქცია, პენალტის ნიშნულთან კი **ლენდონ დონოვანი** მივიდა. ამ უკანასკნელს დარტყმამდე მღელვარება სახეზე ეწერა და არცთუ ხეირიანად დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელის გავლით მაინც აღმოჩნდა განელთა კარში.

გათანაბრდა თუ არა ანგარიში, თამაშის ტემპი მომენტალურად დაეცა, თუმცა კინგსონმა ამის შემდეგაც ივაჟკაცა. მთლიანობაში დამატებით დრომდე საქმე მაინც მშვიდად მივიდა, პირველი ოვერტაიმის დებიუტშივე კი **ასამოა გიანმა** გაისროლა და ამერიკელთა კარის ცხრიანში ეფექტურად გაიტანა. ეს გიანის მესამე გოლია მუნდიალზე, მაგრამ პირველი ორი მას პენალტით ჰქონდა გატანილი. განელებმა მონაპოვარი უნაკლოდ დაიცვეს და დამატებითი დრო უშინაარსოდ მიილია.

### საუკეთესო მოთამაშე

რიჩარდ კინგსონი (განა)

**განელთა მეკარემ ჯგუფური ეტაპის მატჩებიც უმაღლეს დონეზე ჩაატარა, გუშინ კი საერთოდ შეუდარებელი იყო. რიჩარდ კინგსონმა ამერიკელთა არაერთი დარტყმა მოიგერია და რომ არა მისი უნაკლო თამაში, განელები მუნდიალის მეოთხედფინალს ნამდვილად ვერ მიაღწევდნენ.**

### მატჩის შემდეგ

ბობ ბრედლი (აშშ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„ძალიან მწარე მარცხი განვიცადეთ. ვიცოდით, რომ განას ძლიერი ნაკრები ჰყავდა, მაგრამ საკუთარი ამოცანები ვერ განვახორციელეთ. საკუთარ თავს თვითონ შევუქმენით პრობლემები, როცა მატჩის დასაწყისში გოლი მივიღეთ. ვამაყობთ იმით, რომ ძლიერი ჯგუფიდან გავედით, მაგრამ მაინც გულდაწყვეტილები ვართ, რადგან მეტის მიღწევაც შეგვეძლო".**

მილოვან რაიევაცი (განის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„მეტისმეტად რთული შეხვედრა ჩავატარეთ. აღფრთოვანებული ვარ ამერიკელთა შესანიშნავი თამაშით. მეოთხედფინალში გასვლის ღირსი ორივე გუნდი იყო, მაგრამ საამისოდ ჩვენ მეტი ძალა აღმოგვაჩნდა. განა მსოფლიოს რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა, ეს უდიდესი მიღწევაა. ჩვენს გუნდს მთელი აფრიკა ქომაგობს და შევეცდებით, კიდევ უფრო მეტი შევძლოთ".**

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა




რობერტ ვიტეკი და არიენ რობენი ყურადღების ცენტრში იქნებიან

1/8 ფინალი

# ჰოლანდია მხოლოდ შედეგზე ფიქრობს

## სლოვაკები წნეხის გარეშე

28 ივნისი. დურბანი. დურბან სთედიუმი. 18:00

**ჰოლანდია-სლოვაკეთი**

სავარაუდო შემადგენლობები

**ჰოლანდია (4-2-3-1):** სტეკელენბურგი - ვან დერ ვილი, ჰეიტინგა, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი - ვან ბომელი, დე იონგი - ჯუიტი, სნეიდერი, რობენი - ვან პერსი.

**სლოვაკეთი (4-2-2):** მუხა - პეკარიკი, შკრტელი, დურიცა, ზაბავნიკი - ვეისი, ჰამშიკი, კუჩკა, სტოხი - ვიტეკი, იენდრიშეკი.

**არბიტრი:** უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მერვედფინალურ ეტაპზე ასეთ წყვილს ვიხილავდით. ჰოლანდიას არა პარაგვაისთან ან იტალიასთან, არამედ სლოვაკეთის უმთავრეს გუნდთან მოუწევს დაპირისპირება. **ვლადიმერ ვეისის** შეგირდებმა მართლაც შეუძლებელი შეძლეს, გადამწყვეტ პაექრობაში იტალია დაამარცხეს და პლეი ოფში გავიდნენ. პროგრამა მინიმუმიც შეასრულეს და მაქსიმუმიც და წესით, ჰოლანდიელებთან ყველანაირი წნეხის გარეშე უნდა იასპარეზონ. შესაძლოა, ამაში იყოს ის ერთადერთი უპირატესობა, რომელიც სლოვაკებს გაცილებით უფრო ძლიერ მეტოქესთან აქვთ. მაშინ, როდესაც ჰოლანდიისგან ყველა უპირობო გამარჯვებას ითხოვს, სლავებს უკვე როგორც გმირებს, ისე ელოდებიან სამშობლოში. სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას ვეისი, რომელმაც ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა:

*„ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რასაც უკვე მივაღწიეთ მუნდიალზე, თუმცა გაჩერებას ჯერ კიდევ არ ვაპირებთ. გვსურს, სამხრეთ აფრიკაში რაც შეიძლება დიდხანს გავჩერდეთ და ჩვენი გულშემატკივრები კიდევ გავახაროთ. მესმის, რომ ეს ურთულესი იქნება, მაგრამ შეუძლებელი ნამდვილად არაფერია. მეორე მხრივ, ჩვენზე ნაკლები ზეწოლაა და ეს ძალიან კარგია. ჩემი შეგირდები ამაღლებულ განწყობაზე არიან და ეს მუხტი ჰოლანდიელებთან პაექრობაში ძალიან წაგვადგება“.*

ჟურნალისტთა ვარაუდით, ვეისი 4-4-2 ტაქტიკას აირჩევს და შეტევაში, **რობერტ ვიტეკთან** ერთად, **იენდრიშეკს** გაამწესებს. სწორედ ასეთი სქემით ითამაშა სლოვაკეთმა იტალიასთან და თუ რა შედეგი მიიღო, ყველას მოგეხსენებათ. შესაბამისად, ტაქტიკური მონახაზის შეცვლის არანაირი საბაბი არ არსებობს. ვიტეკი ყურადღების ცენტრშია, რაც სრულიად ბუნებრივია - ის, რომ სლავები მერვედფინალში არიან, ამაში რობერტის წვლილი უდიდესია. დიდია შანსი, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მასზე ევროპულმა გუნდებმა ნადირობა გამოაცხადონ. თუმცა, ჯერჯერობით ვიტეკი მხოლოდ მუნდიალზეა ორიენტირებული და თქვენ წარმოიდგინეთ, მისი გუნდის ასპარეზობით ბოლომდე კმაყოფილი არ გახლავთ:

*„ბედნიერი ვარ, რომ ჯგუფური ეტაპი გადავლახეთ, მაგრამ ჯერ ზეიმის დრო ნამდვილად არ არის. ჩვენს თამაშში არაერთი ხარვეზია, რომლებიც უნდა აღმოვფხვრათ. იტალიასთან ორჯერ მოვდუნდით და ორივე შემთხვევაში გაშვებული გოლით დავისაჯეთ. ორჯერ ჩავთვალეთ, რომ თამაში მოგებული გვქონდა, რამაც კარგი არაფერი მოგვიტანა. ასეთი რამე აღარ უნდა განმეორდეს“.*

ბერტ ვან მარვიიკი იმ შემადგენლობას ენდობა, რომელსაც პირველივე პაექრობიდან ათამაშებს - თუ, რა თქმა უნდა, **არიენ რობენს** არ ჩავთვლით, რომელიც ტრავმირებული გახლდათ და მხოლოდ ჯგუფური ეტაპის მესამე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. რობენი სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს და სლოვაკებს ფლანგიდან შეუტევს. მეორე ფრთიდან **დირკ კუიტი** შეეცდება თამაშის გამწვავებას, ცენტრფორვარდის პოზიციაზე კი **რობინ ვან პერსი** გაირჯება. ამ უკანასკნელმა პირველი ორი თამაში აშკარად ჩააგდო, თუმცა კამერუნთან გაისარჯა მაღალ დონეზე და წინასწარი ვარაუდით, ძირითად თერთმეტეულში იქნება. ამჯერად, სათადარიგოთა სკამზე რჩება **რაფაელ ვან დერ ვაარტი**, რომელმაც ვან პერსისგან განსხვავებით, ვერც ერთ პაექრობაში ვერ დაგვამახსოვრა თავი.

ვან მარვიიკი მიიჩნევს, რომ მთავარია, მისმა შეგირდებმა მეტოქე სათანადოდ შეაფასონ:

*„ისეთივე შემართებით უნდა ვითამაშოთ სლოვაკეთთან, როგორც მსოფლიო ფეხბურთის ნებისმიერ გრანდთან ვიასპარეზებდით. შესაძლოა, იტალიელები ვერ განეწყვნენ მათთან სათამაშოდ და იმიტომაც დაისაჯნენ. მეტოქე ორგანიზებულ ფეხბურთს თამაშობს და ჰყავს ძალიან სახიფათო ფორვარდები. ისინი ფეხითაც კარგად თამაშობენ და მეორე სართულზეც - ამიტომ ჩვენს მცველებს მაქსიმალურად ყურადღებით მართებთ ყოფნა. რობენი? - კარგ ფორმაშია და იმედია, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენს“.*

ბერტ ვან მარვიიკი კვლავ დაცვაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც იმის მომასწავებელია, რომ ჰოლანდია ფრთხილ ფეხბურთს ითამაშებს. გულშემატკივარი უკვე დიდი ხანია „ნარინჯისფრებისგან“ სანახაობრივ ფეხბურთს ელის, თუმცა ჯერჯერობით, ვან მარვიიკი შეგირდებს მხოლოდ შედეგზე გეშავს. ვან პერსის სიტყვები ამის ნათელი დადასტურებაა:

*„ჩვენი მიზანია, მუნდიალს ბოლომდე შემოვრჩეთ. გვჯერა, რომ ეს ჩემპიონატი ჩვენი იქნება და მიზნამდე ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ. არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, როგორ ფეხბურთს ვითამაშებთ, მთავარია, რომ გავიმარჯვოთ და შემდეგ ეტაპზე გავიდეთ. თუმცა, ამის გაკეთება იოლი არ იქნება, რადგან სლოვაკებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ“.*

მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდია ზეშემტევ ფეხბურთს არ თამაშობს, ყველა ლოგიკით მატჩი მაინც „ნარინჯისფერთა“ ტერიტორიული უპირატესობით უნდა წარიმართოს. აი, რამდენად გარდაიქმნება ეს უპირატესობა სათამაშოში, ამას დრო გვიჩვენებს. ჰოლანდია ფავორიტია, მაგრამ ვნახოთ, მოახდენს თუ არა სლოვაკეთი კიდევ ერთ სენსაციას.

**ლაშა წიკლაური**




ჯგუფური ეტაპის სტატისტიკა

# ინიესტას მეასე გაელვება

მუნდიალის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა 101 გოლი. საშუალოდ 2,10 გოლი შეხვედრაში. შესრულდა ერთი ჰეტ თრიკი (იგუაინი), დაინიშნა 9 პენალტი, რომელთაგანაც 7 გავიდა. მუნდიალს უგოლოდ დაემშვიდობნენ ჰონდურასისა და ალჟირის ნაკრებები. ჯგუფურ ეტაპზე გოლი არ გაუშვიათ პორტუგალიასა და ურუგვაის. ჯგუფური ეტაპის ყველაზე სწრაფი გოლი სტივენ ჯერარდმა გაიტანა - 3 წუთსა და 52 წამში. მოკლედ, ინებეთ ჯგუფური ეტაპის დაწვრილებითი სტატისტიკა...

### საინტერესო ფაქტები

**750** - პარაგვაი-ახალი ზელანდიის მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში 750-ე იყო, ეს შეხვედრა ქალაქ პოლოკვანეში გაიმართა.

**80** - სლოვაკეთთან გადამწყვეტი მარცხი იტალიის ნაკრებისთვის მე-80 იყო მსოფლიოს ჩემპიონატებზე. მხოლოდ ბრაზილიასა და გერმანიას აქვთ გამართული ამაზე მეტი მატჩი მუნდიალებზე.

**36** - წლის წინათ მოხდა, რომ იტალიის ნაკრებმა ვერ შეძლო ჯგუფური ეტაპის დაძლევა. 1974 წელს გერმანიაში „სკუადრა აძურამ“ მოუგო ჰაიტის, ფრე ეთამაშა არგენტინას, მაგრამ წააგო პოლონეთთან და ჯგუფიდან ვერ გავიდა.

**20** - კამერუნის ნაკრები პირველი აფრიკული ქვეყანაა, რომელმაც მუნდიალებზე მე-20 მატჩი გამართა.

**6** - მხოლოდ ექვსი ევროპული ქვეყანა გავიდა ჯგუფური ეტაპიდან, ეს არის მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე უარესი შედეგი.

**100** - მუნდიალზე მე-100 გოლის ავტორი ესპანელი ანდრეს ინიესტა გამოდგა. სულ კი ჯგუფურ ეტაპზე 101 გოლი გავიდა. გოლების 62 პროცენტი მარჯვენა ფეხით გავიდა, 20 - ცაციათი, დანარჩენი თავით.

### ინდივიდუალური

**გოლი**

| | | |
|---|---|---|
| 3 | იგუაინი | არგენტინა |
| 3 | ვილია | ესპანეთი |
| 3 | ვიტეკი | სლოვაკეთი |
| 2 | ა. გიანი | განა |
| 2 | ელანო | ბრაზილია |
| 2 | ლ. ფაბიანო | ბრაზილია |
| 2 | ფორლანი | ურუგვაი |
| 2 | ტიაგო | პორტუგალია |
| 2 | ჰონდა | იაპონია |
| 2 | ჰოლმენი | ავსტრალია |
| 2 | უჩე | ნიგერია |
| 2 | ლი ჯუნ სოო | ს. კორეა |
| 2 | ეტოო | კამერუნი |
| 2 | დონოვანი | აშშ |

**საგოლე პასი**

| | | |
|---|---|---|
| 2 | კაკა | ბრაზილია |
| 2 | მიულერი | გერმანია |
| 2 | ბოკა | კოტ დივუარი |
| 2 | კი სუნ იუენი | ს. კორეა |
| 1 | რობინიო | ბრაზილია |

*(კიდევ 57 ფეხბურთელი 1 საგოლე პასით)*

**კარისკენ დარტყმა**

| | | |
|---|---|---|
| 20 | მესი | არგენტინა |
| 17 | რონალდო | პორტუგალია |
| 16 | ა. გიანი | განა |
| 15 | დემპსი | აშშ |
| 14 | იონ ტაე სე | ჩ. კორეა |

**კარში დარტყმა**

| | | |
|---|---|---|
| 11 | მესი | არგენტინა |
| 8 | იგუაინი | არგენტინა |
| 8 | ა. გიანი | განა |
| 8 | ბირსა | სლოვენია |
| 7 | მფელა | ს. აფრიკა |

*(კიდევ 2 ფეხბურთელი კარში 7 დარტყმით)*

**ხარიხას გაარტყეს**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჟიგიჩი | სერბეთი |
| 1 | ხედირა | გერმანია |
| 1 | სნეიდერი | ჰოლანდია |
| 1 | რონალდო | პორტუგალია |
| 1 | ვილია | ესპანეთი |

*(კიდევ 6-მა ფეხბურთელმა გაარტყა ბურთი ხარიხას)*

**ძელი**

| | | |
|---|---|---|
| 2 | ა. გიანი | განა |
| 2 | მფელა | ს. აფრიკა |
| 2 | მესი | არგენტინა |
| 1 | რონალდო | პორტუგალია |
| 1 | ოკაზაკი | იაპონია |

*(კიდევ 13-მა ფეხბურთელმა გაარტყა ბურთი ძელს)*

**საჯარიმო დარტყმა**

| | | |
|---|---|---|
| 5 | სნეიდერი | ჰოლანდია |
| 5 | ბირსა | სლოვენია |
| 5 | პარკ ჩუ იუნი | ს. კორეა |
| 4 | რონალდო | პორტუგალია |
| 3 | ლამპარდი | ინგლისი |

*(კიდევ 7-მა ფეხბურთელმა დაარტყა 3-ჯერ საჯარიმო)*

**დარტყმის სიზუსტე %-ში**

*(5 და მეტი დარტყმის შემთხვევაში)*

| | | |
|---|---|---|
| 100% | რომარიკი | კოტ დივუარი |
| 75% | ტომასონი | დანია |
| 73% | იგუაინი | არგენტინა |
| 73% | ბირსა | სლოვენია |
| 71% | ჯერარდი | ინგლისი |

**ზუსტი დარტყმა (საჯარიმოდან)**

| | | |
|---|---|---|
| 6 | ტომასონი | დანია |
| 5 | იგუაინი | არგენტინა |
| 5 | ა. გიანი | განა |
| 4 | მფელა | ს. აფრიკა |
| 4 | სანჩესი | ჩილე |

**ზუსტი დარტყმა (საჯარიმოს გარედან)**

| | | |
|---|---|---|
| 8 | ბირსა | სლოვენია |
| 7 | მესი | არგენტინა |
| 6 | რონალდო | პორტუგალია |
| 6 | მონტოლივო | იტალია |
| 5 | ვილია | ესპანეთი |

**სოლორეიდი**

| | | |
|---|---|---|
| 18 | მაიკონი | ბრაზილია |
| 18 | მესი | არგენტინა |
| 17 | რონალდო | პორტუგალია |
| 16 | პოდოლსკი | გერმანია |
| 15 | ბელჰაჯი | ალჟირი |

**ზუსტი პასი მეტოქის საჯარიმოში**

| | | |
|---|---|---|
| 7 | ჯერარდი | ინგლისი |
| 7 | ჩავი | ესპანეთი |
| 6 | ასამოა | განა |
| 6 | რონალდო | პორტუგალია |
| 6 | მესი | არგენტინა |

**თამაშგარე**

| | | |
|---|---|---|
| 5 | ჰესკი | ინგლისი |
| 5 | ველკომი | ჰონდურასი |
| 5 | იოზილი | გერმანია |
| 5 | ნოვაკოვიჩი | სლოვენია |
| 5 | ვან პერსი | ჰოლანდია |

**ბურთის დაკარგვა**

*(მეკარეთა გარდა)*

| | | |
|---|---|---|
| 17 | მიულერი | გერმანია |
| 13 | ჯონსონი | ინგლისი |
| 13 | ხუნე | ს. აფრიკა |
| 12 | ნავასი | ესპანეთი |
| 12 | მაიკონი | ბრაზილია |

**წაგებული ორთაბრძოლა**

| | | |
|---|---|---|
| 10 | რონალდო | პორტუგალია |
| 9 | მატმური | ალჟირი |
| 8 | რიბერი | საფრანგეთი |
| 8 | კაკა | ბრაზილია |
| 7 | რუნი | ინგლისი |

**ჩაჭრა**

| | | |
|---|---|---|
| 15 | სესარი | სლოვენია |
| 12 | ჩო იონ ჰიუნი | ს. კორეა |
| 12 | ჰალიჩე | ალჟირი |
| 11 | იოკიჩი | სლოვენია |
| 11 | შიტუ | ნიგერია |

*(კიდევ ორმა ფეხბურთელმა ჩაჭრა ბურთი 11-ჯერ)*

**ართმევა**

*(გუნდისთვის დაბრუნებული ბურთი)*

| | | |
|---|---|---|
| 10 | ბუგერა | ალჟირი |
| 8 | გრიხტინგი | შვეიცარია |
| 7 | ისაგირე | ჰონდურასი |
| 7 | ჩავესი | ჰონდურასი |
| 7 | ჩო იონ ჰიუნი | ს. კორეა |

**მოგებული ორთაბრძოლა**

| | | |
|---|---|---|
| 8 | ბულერა | ალჟირი |
| 8 | გრიხტინგი | შვეიცარია |
| 7 | ა. პერეირა | ურუგვაი |
| 7 | ფუსილე | ურუგვაი |
| 6 | ლუსიო | ბრაზილია |

*(კიდევ 7 ფეხბურთელმა მოიგო ორთაბრძოლა 6-ჯერ)*

**სეივი**

| | | |
|---|---|---|
| 21 | რი მიონ გუკი | ჩ. კორეა |
| 20 | ენიეამა | ნიგერია |
| 17 | ცორვასი | საბერძნეთი |
| 17 | სორენსენი | დანია |
| 15 | ბენალიო | შვეიცარია |

**გაძევება**

| | | |
|---|---|---|
| 1 | კეჰილი | ავსტრალია |
| 1 | ხუნე | ს. აფრიკა |
| 1 | კიუელი | ავსტრალია |
| 1 | ბეჰრამი | შვეიცარია |
| 1 | კაიტა | ნიგერია |
| 1 | გურკუფი | საფრანგეთი |

**ორი ყვითელი ბარათი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ღეზალი | ალჟირი |
| 1 | ლუკოვიჩი | სერბეთი |
| 1 | ლოდეირო | ურუგვაი |
| 1 | კაკა | ბრაზილია |
| 1 | კლოზე | გერმანია |
| 1 | იაჰია | ალჟირი |
| 1 | ესტრადა | ჩილე |

**დაჯარიმდა**

| | | |
|---|---|---|
| 15 | ფელონი | ახ. ზელანდია |
| 13 | კილენი | ახ. ზელანდია |
| 13 | დიაბი | საფრანგეთი |
| 12 | ჰონდა | იაპონია |
| 12 | ვიდალი | ჩილე |

## მატჩზე დაჯარიმდნენ

| | | |
|---|---|---|
| 17 | ჰონდა | იაპონია |
| 15 | ნაკაზავა | იაპონია |
| 14 | სანჩესი | ჩილე |
| 12 | ალტიდორი | აშშ |
| 12 | სუარესი | ურუგვაი |

## ხელით თამაში

(მეკარეების გარდა)

| | | |
|---|---|---|
| 3 | ვიდალი | ჩილე |
| 3 | სუასო | ჰონდურასი |
| 3 | იაკინი | შვეიცარია |
| 2 | ვან დერ ვაარტი | ჰოლანდია |
| 2 | დი ნატალე | იტალია |

(კიდევ სამმა ფეხბურთელმა ითამაშა ხელით 2-ჯერ)

## პასი

| | | |
|---|---|---|
| 263 | ჩავი | ესპანეთი |
| 249 | მაიკონი | ბრაზილია |
| 247 | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 241 | შვაინშტაიგერი | გერმანია |
| 235 | ჟ. სილვა | ბრაზილია |

## ზუსტი პასი

| | | |
|---|---|---|
| 211 | ჟ. სილვა | ბრაზილია |
| 210 | მაიკონი | ბრაზილია |
| 205 | ჩავი | ესპანეთი |
| 201 | ფ. მელო | ბრაზილია |
| 201 | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |

## პასის სიზუსტე (%)

(150 და მეტი პასის შემთხვევაში)

| | | |
|---|---|---|
| 91% | ლუსიო | ბრაზილია |
| 91% | ფ. მელო | ბრაზილია |
| 90% | ჟუანი | ბრაზილია |
| 90% | პუიოლი | ესპანეთი |
| 90% | ჟ. სილვა | ბრაზილია |

## ჩანოდება

| | | |
|---|---|---|
| 24 | დონოვანი | აშშ |
| 23 | მიულერი | გერმანია |
| 22 | ფორლანი | ურუგვაი |
| 21 | ნავასი | ესპანეთი |
| 20 | რიბერი | საფრან. |

## ზუსტი ჩანოდება

| | | |
|---|---|---|
| 8 | უილკშირი | ავსტრალ. |
| 8 | ჟერემი | კამერუნი |
| 7 | ჩავი | ესპანეთი |
| 7 | ა. აეუ | განა |
| 7 | პეპე | იტალია |

(კიდევ ორმა ფეხბურთელმა ჩაანოდა ზუსტად 7-ჯერ)

## აუტი

| | | |
|---|---|---|
| 40 | ძამბროტა | იტალია |
| 39 | ჯონსონი | ინგლისი |
| 35 | მორელი | პარაგვაი |
| 34 | რამოსი | ესპანეთი |
| 34 | ბრეჩკო | სლოვენია |

## კუთხური

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჩავი | ესპანეთი |
| 15 | კარაგუნისი | საბერძნ. |
| 14 | მესი | არგენტინა |
| 13 | პეპე | იტალია |
| 11 | ჯერარდი | ინგლისი |

(კიდევ სამმა ფეხბურთელმა ჩაანოდა კუთხური 11-ჯერ)

## ზუსტი კუთხური

(ბურთი მიიღო თანაგუნდელმა)

| | | |
|---|---|---|
| 11 | ჩავი | ესპანეთი |
| 8 | მესი | არგენტინა |
| 7 | იოზილი | გერმანია |
| 6 | ჟერემი | კამერუნი |
| 6 | პეპე | იტალია |

## კუთხურის სიზუსტე

(5 და მეტი კუთხურის შემთხვევაში)

| | | |
|---|---|---|
| 83% | ებუე | კ. დ'ივუარი |
| 80% | მ. როდრიგესი | არგენტინა |
| 70% | იოზილი | გერმანია |
| 67% | ვაისი | სლოვაკეთი |
| 60% | ბერი | ინგლისი |

## მოკლე პასის სიზუსტე

(40 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 94% | იებდა | ალჟირი |
| 90% | ებუე | კ. დ'ივუარი |
| 89% | ბელჰაჯი | ალჟირი |
| 89% | ჟილბ. სილვა | ბრაზილია |
| 88% | ა. აეუ | განა |

(კიდევ ორმა ფეხბურთელი გააკეთა მოკლე პასი 88%-იანი სიზუსტით)

## საშ. პასების სიზუსტე

(40 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 100% | სტოიკოვიჩი | სერბ. |
| 98% | ნოიერი | გერმანია |
| 96% | ბოლატი | არგენტინა |
| 94% | ლუსიო | ბრაზილია |
| 94% | სტეკელენბ. | ჰოლანდია |

## გრძელი პას. სიზუსტე

(40 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 78% | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 78% | შვაინშტაიგ. | გერმანია |
| 75% | პონსე | ჩილე |
| 71% | კ. პოულსენი | დანია |
| 70% | პიკე | ესპანეთი |

## გაირბინა

| | | |
|---|---|---|
| 36,22 | ან იონ ჰაკი | ჩ. კორეა |
| 35,87 | ხედირა | გერმანია |
| 35,86 | ტორადო | მექსიკა |
| 35,56 | ბრედლი | აშშ |
| 35,05 | კულინა | ავსტრალია |

## მაქსიმალური სისწრაფე

| | | |
|---|---|---|
| 32,15 კმ/სთ | ერნანდესი | მექსიკა |
| 31,57 კმ/სთ | პაპადოპულ. | საბერ. |
| 31,50 კმ/სთ | კაცურან. | საბერ. |
| 31,10 კმ/სთ | ობინა | ნიგერია |
| 30,93 კმ/სთ | იგუაინი | არგენ. |

## აქტიური ფაზა

| | | |
|---|---|---|
| 30 | ვალერი | ავსტრალია |
| 29 | უილკშირი | ავსტრალია |
| 27 | ან იონ ჰაკი | ჩ. კორეა |
| 26 | იებდა | ალჟირი |
| 26 | ტორადო | მექსიკა |

## გუნდური

### გოლი

| | |
|---|---|
| 7 | პორტუგალია |
| 7 | არგენტინა |
| 5 | ბრაზილია |
| 5 | გერმანია |
| 5 | ჰოლანდია |

(კიდევ ერთი გუნდი 5 გოლით)

### დარტყმა

| | |
|---|---|
| 64 | არგენტინა |
| 57 | ბრაზილია |
| 55 | ესპანეთი |
| 55 | განა |
| 49 | აშშ |

(კიდევ 3 გუნდი 49 დარტყმით)

### კარში დარტყმა

| | |
|---|---|
| 30 | არგენტინა |
| 22 | ინგლისი |
| 21 | ბრაზილია |
| 20 | გერმანია |
| 20 | კოტ დ'ივუარი |

(კიდევ 2 გუნდი კარში 20 დარტყმით)

### დარტყმის სიზუსტე

| | |
|---|---|
| 60% | იაპონია |
| 52% | სლოვენია |
| 48% | ჰოლანდია |
| 48% | ინგლისი |
| 47% | კოტ დ'ივუარი |

### შეტევა

| | |
|---|---|
| 51 | იტალია |
| 50 | ინგლისი |
| 48 | არგენტინა |
| 48 | ესპანეთი |
| 47 | ბრაზილია |

### შეტევა მარცხენა ფლანგიდან

| | |
|---|---|
| 19 | ს. კორეა |
| 18 | იტალია |
| 17 | პორტუგალია |
| 17 | ჩილე |
| 17 | ესპანეთი |

### შეტევა ცენტრიდან

| | |
|---|---|
| 18 | სერბეთი |
| 18 | ინგლისი |
| 18 | არგენტინა |
| 16 | განა |
| 16 | ბრაზილია |

### შეტევა მარჯვენა ფლანგიდან

| | |
|---|---|
| 21 | გერმანია |
| 19 | ესპანეთი |
| 19 | ბრაზილია |
| 18 | იტალია |
| 17 | იაპონია |

### თამაშგარე

| | |
|---|---|
| 18 | ჰონდურასი |
| 16 | ჩილე |
| 14 | გერმანია |
| 13 | სერბეთი |
| 12 | ჰოლანდია |

(კიდევ 2 გუნდი 12 ოფსაიდით)

### სოლორეიდები

| | |
|---|---|
| 75 | კოტ დ'ივუარი |
| 74 | ბრაზილია |
| 69 | გერმანია |
| 66 | არგენტინა |
| 62 | ესპანეთი |

### ზუსტი პასი საჯარიმოში

| | |
|---|---|
| 35 | ესპანეთი |
| 28 | იტალია |
| 25 | ჩილე |
| 25 | კამერუნი |
| 22 | ინგლისი |

### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| 53 | ინგლისი |
| 51 | ალჟირი |
| 46 | სლოვენია |
| 45 | ნიგერია |
| 44 | შვეიცარია |

### მოგებული ორთაბრძოლა

| | |
|---|---|
| 17 | ალჟირი |
| 15 | იტალია |
| 14 | ს. აფრიკა |
| 14 | ჰონდურასი |
| 14 | ჩილე |

### გაძევება

| | |
|---|---|
| 2 | ავსტრალია |

### ორი გაფრთხილება

| | |
|---|---|
| 2 | ალჟირი |

### გაფრთხილება

| | |
|---|---|
| 10 | ჩილე |
| 9 | სლოვენია |
| 8 | სლოვაკეთი |
| 8 | მექსიკა |
| 8 | შვეიცარია |
| 8 | სერბეთი |

### დაჯარიმდა

| | |
|---|---|
| 62 | ავსტრალია |
| 61 | ჩილე |
| 61 | ახ. ზელანდია |
| 59 | შვეიცარია |
| 58 | მექსიკა |

### ხელით თამაში

(მეკარის გარდა)

| | |
|---|---|
| 8 | აშშ |
| 7 | ჩილე |
| 7 | ჰოლანდია |
| 4 | იტალია |
| 4 | მექსიკა |

### ზუსტი პასი

| | |
|---|---|
| 1647 | ბრაზილია |
| 1630 | ესპანეთი |
| 1468 | არგენტინა |
| 1424 | გერმანია |
| 1346 | ჰოლანდია |

### პასის სიზუსტე

| | |
|---|---|
| 84% | ბრაზილია |
| 80% | ესპანეთი |
| 78% | გერმანია |
| 78% | არგენტინა |
| 76% | მექსიკა |

(კიდევ 2 გუნდი 76 პროცენტიანი სიზუსტით)

### ჩანოდება

| | |
|---|---|
| 78 | ესპანეთი |
| 56 | საბერძნეთი |
| 49 | იტალია |
| 44 | საფრანგეთი |
| 43 | კამერუნი |

### კუთხური

| | |
|---|---|
| 29 | ინგლისი |
| 28 | ესპანეთი |
| 26 | იტალია |
| 26 | არგენტინა |
| 23 | საბერძნეთი |

### დისტანცია

| | |
|---|---|
| 337,7 | ავსტრალია |
| 331,4 | იაპონია |
| 331,3 | მექსიკა |
| 328,3 | პორტუგალია |
| 328,1 | შვეიცარია |

## მატჩები

### ყველაზე მეტი დარტყმა

| | |
|---|---|
| 41 | აშშ-ალჟირი |
| 41 | პორტუგალია-ჩ. კორეა |
| 40 | ავსტრალია-სერბეთი |
| 37 | ბრაზილია-ჩ. კორეა |
| 37 | საბერძნეთი-ნიგერია |

### ყველაზე მეტი დარტყმა კარში

| | |
|---|---|
| 19 | ჩ. კორეა-კოტ დ'ივუარი |
| 17 | პორტუგალია-ჩ. კორეა |
| 17 | დანია-იაპონია |
| 15 | საბერძნეთი-ნიგერია |
| 15 | საბერძნეთი-არგენტინა |

### ყველაზე მეტი შეტევა

| | |
|---|---|
| 34 | დანია-იაპონია |
| 33 | აშშ-ალჟირი |
| 33 | ნიგერია-ს. კორეა |
| 33 | ავსტრალია-სერბეთი |
| 33 | საბერძნეთი-ნიგერია |

### სოლორეიდები

| | |
|---|---|
| 54 | პორტუგალია-ჩ. კორეა |
| 50 | ბრაზილია-ჩ. კორეა |
| 49 | გერმანია-სერბეთი |
| 48 | ჩ. კორეა-კოტ დ'ივუარი |
| 45 | საბერძნეთი-ნიგერია |

### ორთაბრძოლა

| | |
|---|---|
| 32 | ინგლისი-ალჟირი |
| 29 | სლოვაკეთი-იტალია |
| 27 | ჩილე-ესპანეთი |
| 27 | პორტუგალია-ბრაზილია |
| 25 | კამერუნი-დანია |

### ყველაზე უხეში თამაში

| | |
|---|---|
| 49 | იაპონია-კამერუნი |
| 48 | საფრანგეთი-მექსიკა |
| 45 | ჩილე-შვეიცარია |
| 40 | განა-ავსტრალია |
| 40 | ბრაზილია-კოტ დ'ივუარი |

### დისტანცია

| | |
|---|---|
| 238,6 | ავსტრალია-სერბეთი |
| 235,0 | ს. აფრიკა-მექსიკა |
| 225,6 | გერმანია-ავსტრალია |
| 224,2 | ესპანეთი-შვეიცარია |
| 220,4 | დანია-იაპონია |

## კასტროლ ინდექსი

### 5 საუკეთესო მეკარე

| | | |
|---|---|---|
| 9.50 | მბოლი | ალჟირი |
| 9.40 | ედუარდო | პორტუგალია |
| 9.17 | ბენალიო | შვეიცარია |
| 8.72 | კავაშიმა | იაპონია |
| 8.68 | ბარი | კოტ დ'ივუარი |

### 5 საუკეთესო მცველი

| | | |
|---|---|---|
| 9.79 | მედელი | ჩილე |
| 9,74 | პონსე | ჩილე |
| 9.69 | ლამი | გერმანია |
| 9.65 | დემიკელისი | არგენტინა |
| 9.62 | ხარა | ჩილე |

### 5 საუკეთესო ნახევარმც.

| | | |
|---|---|---|
| 9.42 | რივეროსი | პარაგვაი |
| 9.31 | ჯერარდი | ინგლისი |
| 9.25 | ა. პერეირა | ურუგვაი |
| 9.12 | ვიდალი | ჩილე |
| 9.10 | ბრედლი | აშშ |

### 5 საუკეთესო ფორვარდი

| | | |
|---|---|---|
| 8.94 | იგუაინი | არგენტინა |
| 8.78 | ლ. ფაბიანო | ბრაზილია |
| 8.69 | მესი | არგენტინა |
| 8.63 | ვიტეკი | სლოვაკეთი |
| 8.58 | ბოსეჟური | ჩილე |

ნიკოლოზ ნეფარიძე

1/8 ფინალი

# ბოლო სიტყვა ჯერ არ უთქვამთ



მარსელო ბიელსა მორიგ სასწაულს გეგმავს

28 ივნისი. იოჰანესბურგი. ელის პარკი. 22:30

**ბრაზილია–ჩილე**

საავარაუდო შემადგენლობები

**ბრაზილია (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, ჟუანი, ბაშტოში - ჟილბერტო სილვა, ფელიპე მელო - ელანო, კაკა, რობინიო - ლუიშ ფაბიანო.

**ჩილე (3-3-1-3):** ბრავო - ხარა, ფუენტესი, კონტრერასი - ვიდალი, კარმონა, ისლა - ფერნანდესი - სანჩესი, სუასო, ბოსეჟური.

**არბიტრი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)

იოჰანესბურგის „ელის პარკზე" კარგად ნაცნობი გუნდების სამხრეთამერიკული დერბი გველის - ბრაზილია და ჩილე ერთმანეთს 66-ედ (!) დაუპირისპირდებიან. არ ვიცით, რა ვუწოდოთ „სელესაოს" უპირატესობას მეტოქეზე - ალბათ, აბსოლუტური: 46 გამარჯვება, 12 ფრე და მხოლოდ 7 მარცხი, ბურთების ფარდობა 152:55-ზე. აი, სწორედ ამხელა უპირატესობის განმტკიცება მოუწევს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს დღეს.

ეს მუნდიალი სამხრეთამერიკელებისაა - ხშირად გაიგონებთ ასეთ ფრაზას. მართლაც, ხუთი სამხრეთამერიკული გუნდიდან ყველამ მოიპოვა მერვედფინალის საგზური (ურუგვაი უკვე მეოთხედფინალშია სულაც). ბრაზილია ისედაც ფავორიტია, ხოლო ჩილეს ნაკრები, რომელსაც არგენტინელი **მარსელო ბიელსა** უდგას სათავეში, სამხრეთ აფრიკა 2010-ის მთავარი აღმოჩენაა.

სხვათა შორის, თამაშის სტილით ეს ორი გუნდი დიდად განსხვავდება, თანაც მოულოდნელია, რომ უფრო დაცვითი სტილის გუნდი ბრაზილიაა, ხოლო შემტევი - ჩილე. რა თქმა უნდა, **დუნგას** ამის გამო ძალიან ხშირად აკრიტიკებენ სამშობლოში, მაგრამ ჯერჯერობით მის სასარგებლოდ მეტყველებს ფეხბურთში მთავარი - ტაბლო. ბრაზილიის ნაკრებმა „სიკვდილის ჯგუფი" მოიგო და ერთი წუთითაც არ გახადა საეჭვო ფავორიტობა.

ბიელსას გუნდი კი ინოვაციურ და თვალსასეირო ფეხბურთს თამაშობს, არგენტინელმა სპეციალისტმა ნაკრებს უცნაური ტაქტიკური სქემა მოარგო ბრწყინვალედ - 3-3-1-3. ამან, სხვა მხრივ მონოტონურ ტურნირს, ჰაეროვანი ორიგინალობა შემატა. ჩილელებმა მაყურებელთა სიმპათიები დაიბევეს. ახლა მთავარია ბიელსამ შეძლოს გუნდს „ბრაზილიის კომპლექსი" მოუხსნას. საქმე მხოლოდ ისტორიულ უპირატესობაში არ არის, დუნგას გუნდმა მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზეც იოლად დაჩაგრა „ლა როხა". **ლუიშ ფაბიანომ** ლამის მარტომ მოუგო ჩილეს სანტიაგოში - 3:0. ბრაზილიაში კი ჯერი **ნილმარზე** მიდგა, მისი ჰეთ თრიკის წყალობით ბრაზილიის ნაკრებმა 4:2 მოიგო.

>> მე-6 გვერდზე

www.britishcentre.ge

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი!
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად!
ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის!

BC BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".



დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს".

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
ალმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915

www.britishcentre.ge

უეინ რუნი და ფაბიო კაპელო

1/8 ფინალი

# ბოლო სიტყვა ჯერ არ უთქვამთ

« მე-5 გვერდიდან

ბრაზილიის ნაკრებს დისკვალიფიკაციამოხდილი **კაკა** უბრუნდება, ის იოლად დაიბრუნებს სასტარტოში ადგილს, რადგან მისმა შემცვლელებმა ვერაფერი გააწყვეს. სავარაუდოდ, მარჯვენა ნახევარმცველი **ელანოც** შეძლებს გამოჯანმრთელებას და თამაშს. ცხადია ისიც, რომ **რობინიო** დაიბრუნებს სასტარტოში ადგილს, რომელიც პორტუგალიასთან მატჩში ნილმარმა დაიკავა. მოკლედ, დუნგა ალადგენს სასტარტო შემადგენლობას, რომელიც დანომრილიც კი ჰყავს - 1-დან 11-ის ჩათვლით.

**ბიელსას** კი დიდი საფიქრალი აქვს, ერთბაშად სამი საკვანძო ფეხბურთელი, რომელთაც დაცვითი ფუნქციები ეკისრებათ, დისკვალიფიცირებულია. მუნდიალზე ერთ-ერთ საუკეთესო წყვილად შერაცხილ **გარი მედელისა** და **ვალდო პონსეს** დუეტი არ იქნება, ორივემ ესპანეთის ნაკრებთან მიიღო მე-2 ყვითელი ბარათი. არ იქნება არც საყრდენი ნახევარმცველი **მარკო ესტრადა**. ბიელსას შეტევაშიც აქვს საკადრო პრობლემა, **უმბერტო სუასო** ტრავმირებულია და საეჭვოა მისი თამაშიც.

„ისტორიულად ეს ის გუნდია, რომლისაც უნდა გვეშინოდეს. ახლანდელი ბრაზილია ბრწყინვალე ნაზავია ძველი ლალი ფეხბურთის და ახალი პრაგმატულის. ახლა კიდევ უფრო რთულია მათთან წარმატების მიღწევა. ჩვენ მაინც ყველაფერს, შეუძლებელსაც კი, გავაკეთებთ, რათა დავამტკიცოთ, რომ ჯერ არ გვითქვამს ბოლო სიტყვა ამ მუნდიალზე. ჩვენი წარმატება მთელი ქვეყნის ბედნიერებაა, კარგად ვათვითცნობიერებთ ამას", - განაცხადა 54 წლის მარსელო ბიელსამ.

„ახლა უკვე გადამწყვეტი ხანაა, 90 წუთის განმავლობაში შეცდომა არ უნდა დავუშვათ, თორემ ეს ძვირად დაგვიჯდება. ჩილე ძალიან კარგი და მზარდი გუნდია, მეტოქეს რამდენიმე კარგი ფეხბურთელი ჰყავს. ძალიან დიდი ჯაფა მოგვიწევს მეტოქის დასამარცხებლად", - ამბობს დუნგა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მუნდიალს მიღმა

# ალეგრის გამოწვევა

იტალიაში ბევრი მიიჩნევს, რომ **მასიმილიანო ალეგრი** არ არის იმ დონის სპეციალისტი, რომელმაც „მილანის" კალიბრის გუნდი უნდა გაწვრთნას. მართალია, ნიჭიერია და გარკვეული წარმატებისთვისაც მიუღწევია, მაგრამ ერთია „კალიარის" დამოძღვრა და მეორე, გრანდში მუშაობა. თავად ალეგრი ენთუზიაზმით არის აღსავსე და მიიჩნევს, რომ მისი ფორმაციის „მილანს" ყველაფრის მოგება შეუძლია:

„ეს დიდი გამოწვევაა, რომელიც მივიღე და დარწმუნებული ვარ, ამას არასდროს ვინანებ. ბევრი მწვრთნელი ისურვებდა ჩემს ადგილას ყოფნას, რადგან „მილანი" დიდი გუნდია, მდიდარი ისტორიით და უდიდესი შესაძლებლობებით. ამასთან, „როსონერის" ძალიან მომთხოვნი გულშემატკივრები ჰყავს, რომლებიც მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას არიან ჩვეულნი. რა არის ჩემი მთავარი მიზანი? - ფეხბურთელებს ახალი მოტივაცია გავუჩინო, რადგან ვგრძნობ, რომ ამ კუთხით მთლად ყველაფერი რიგზე ვერ არის. თუ ჩემი შეგირდები თითოეულ შეხვედრაში მაქსიმალურად დაიხარჯებიან, დარწმუნებული ვარ, რომ არაერთ ტროფეის მოვიგებთ. მეტიც, ჩვენ გვაქვს იმის ძალა, რომ ყველაფერი მოვიგოთ".



მასიმილიანო ალეგრი

ალეგრის ცალკეულ ფეხბურთელებზე დაეკითხნენ, კერძოდ **რონალდინიოსა** და **ალეშანდრე პატოს** წასვლა-არწასვლის საკითხზე. აქვე მისი პასუხი:

„რონალდინიო ფანტასტიკური ფეხბურთელია, რომელსაც მარტოს შეუძლია თამაშის მოგება. მოტივაციასთან დაკავშირებით მას არავითარი პრობლემა არ აქვს, რაც ძალიან მომწონს. გაუჩო მუნდიალზე არ წაიყვანეს და სურს, ყველას დაუმტკიცოს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის ღირსი იყო. მის გასხვისებას ნამდვილად არ ვაპირებთ და ტიფოზებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. რაც შეეხება პატოს, ძალიან ნიჭიერია, გუნდისთვის საჭირო და გარწმუნებთ, არც ის დატოვებს „მილანს". მჯერა, რომ მომავალი სეზონი მის კარიერაში საუკეთესო იქნება".

**ლაშა ნიკლაური**

# იუვენტუსი ბონუჩისა და მარტინესს ადასტურებს

„იუვენტუსს" კიდევ ორი ახალწვეული ჰყავს. „უდინეზედან" **სიმონე პეპეს** გადაბირების შემდეგ „სინიორამ" ცენტრალური მცველი **ლეონარდო ბონუჩი** და „კატანიას" ურუგვაელი გარემარბი **ხორხე მარტინესი** დაიბევა, რომელიც **ოსკარ ტაბარესმა** მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანა. 23 წლის ბონუჩიმ კი „ბარიში" გამოიჩინა თავი და **მარჩელო ლიპიმ** ის სამუნდიალო შემადგენლობაში იახლა. ეს ფეხბურთელები დღეს სამედიცინო შემოწმებას გაივლიან და ოფიციალური იუვენტინოები გახდებიან.

**ლაშა ნიკლაური**

ნამატჩევს...

# კაპელო გადადგომაზე ფიქრობს

ინგლისის ნაკრების თავკაცი **ფაბიო კაპელო** საკუთარ მომავალზე დაფიქრდა. გერმანიასთან სკანდალური და ამავე დროს დამსახურებული (ინგლისური პრესის აზრია) მარცხის შემდეგ არაორდინარული ვითარება შეიქმნა. სახელგანთქმული მწვრთნელის ხელში ინგლისის ეროვნული გუნდი მუნდიალს უკვე მერვედფინალური ეტაპიდან ემშვიდობება, მაშინ, როცა წინა დიდ ტურნირებზე ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლები მეოთხედფინალებში ყრიდნენ ფარ-ხმალს...

კაპელოს კონტრაქტით კიდევ 2 წელი აქვს დარჩენილი. თუმცა ინგლისურ მედიასა და ზოგადად ქვეყნის საფეხბურთო წრეებში გამეფებული განწყობის შემდეგ მას ძალიან გაუჭირდება პოსტზე დარჩენა. ჯგუფური ეტაპიდან (ასე თუ ისე) გასვლის მიუხედავად, პრესამ იტალიელი მწვრთნელი არ დაინდო. არც იყო გასაკვირი, რადგან აშშ-ის, სლოვენიისა და ალჟირის გარემოცვაში ინგლისის ნაკრებს მეორე ადგილზე გასვლა, რბილად რომ ვთქვათ, არ ეკადრება (ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე საფრანგეთისა და იტალიის ნაკრებებთან მიმართებაშიც).

შესაძლოა, ბევრი ელოდა, რომ კაპელო პირდაპირ პრესკონფერენციაზე გააკეთებდა გადადგომის განცხადებას, მაგრამ ასე არ მოხდა. თუმცა მწვრთნელის სიტყვებიდან ჩანს, რომ ის ამ ნაბიჯისგან მაინცდამაინც შორს არ არის.

„მაქვს დრო, რათა ყველაფერი ავწონ-დავწონო და გადაწყვეტილება მივიღო. მაგრამ პირველ რიგში საფეხბურთო ასოციაციის თავმჯდომარეს უნდა შევხვდე. დავბრუნდებით ლონდონში და ვნახავ, ძველებურად მენდობა თუ არა. ახლა ყველაფერზე უნდა ვიფიქრო"...



ფაბიო კაპელო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# სესკი, სესხი და ვიღაც მატყუარა

## ანუ გადავა ფაბრეგასი ბარსელონაში?

ზაფხული ისე არ გავა, ერთი დიდი სატრანსფერო საგა რომ არ შემოგვთავაზოს. ჯერჯერობით მსოფლიოს ჩემპიონატი ჩრდილავს, თორემ ისე ჩანს, რომ ამ ზაფხულის მთავარი სატრანსფერო „სერიალი“ **სესკ ფაბრეგასის** „არსენალიდან“ „ბარსელონაში“ გადასვლა-არგადასვლის ამბავია. თან, ყველაფერი ჩვეულებრივ დაიწყო, ჟანრის კანონების დაცვით: ტაბლოიდებში პირველი ცნობები ასეთი იყო: „მოდი, წამიყვანეთ“ - ამბობდა ფეხბურთელი; ამას მოჰყვა „არსენალის“ რეაქცია - „ჩვენს ფეხბურთელს თავი დაანებეთ“, რასაც მიება და მიება ფეხბურთელის მეგობრების, აგენტების, კლუბების წარმომადგენლების და ძველი თუ სავარაუდო თანაგუნდელების კომენტარები. ერთ დღეს ერთია, მეორე დღეს მეორე... ხშირად საპირისპირო და წინას გამომრიცხავი. მაგრამ, BBC-ის მიმომხილველის **მეტ სლეიტერის** ღრმა რწმენით, ამ კომენტარებისთვის ზედმეტი ყურადღების მიქცევა დიდი შეცდომა იქნებოდა, რადგან სად გადავა ფაბრეგასი, ფულზე გახლავთ დამოკიდებული. უფრო ზუსტად ასე შეიძლება ფორმულირება: შეუძლია „ბარსელონას“ იმდენი ფული შესთავაზოს გამყიდველ მხარეს, რომ მას ფაბრეგასთან განშორებად ულირდეს? თან, გაითვალისწინეთ, რომ ამ შემთხვევაში გამყიდველ მხარეს ფულს ფეხბურთელის შენარჩუნება უჯობს. იმისათვის, რომ ამ კითხვას პასუხი გავცეთ, სლეიტერი კლუბების ფინანსებში, შემადგენლობებსა და პერსპექტივაში ჩახედვას გვთავაზობს.

ერთი შეხედვით, „ბარსასა“ და „არსენალს“, როგორც ბიზნეს-ორგანიზაციებს შორის, დიდი განსხვავება არ არის. ევროპული ფეხბურთის საბუღალტრო ფირმის „დელოიტის“ ბოლო მონაცემებით, მდიდარ კლუბთა ჩამონათვალში „ბარსელონა“ მეორე ადგილზეა, ხოლო „არსენალი“ მეოთხეზე. ამერიკული ბიზნეს-ჟურნალი „ფორბსი“ ოდნავ სხვა მონაცემებს აქვეყნებს, მაგრამ პრინციპული განსხვავება მაინც არ არის: „არსენალი“ მესამეა, „ბარსელონა“ კი მეოთხე. თუმცა, უფრო ღრმა დაკვირვებას მაინც აქვს აზრი - რამდენიმე პრინციპული საკითხი გამოჩნდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „არსენალმა“ ბოლო წლები ახალი სტადიონის ვალის გასტუმრებაში გაატარა. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, კლუბმა დიდი კრედიტი გამოიტანა და შესაბამისად, მწვრთნელის **არსენ ვენგერის** სატრანსფერო შესაძლებლობები შემოსაზღვრა. იქნებ სწორედ ამის ბრალი გახლდათ ის, რომ „მეთოფეებს“ აგერ უკვე ხუთი წელიწადია ჯილდო ველარ მოუგიათ?! ამას დაამატეთ ისიც, რომ კლუბი ვალის გასტუმრებას ჩქარობს, რადგან ცდილობს გადაუხდელობასთან დაკავშირებული ჯარიმებითა და სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით თავი არ დაიმძიმოს. და ასეთ მდგომარეობაში არსენ ვენგერი ახერხებს გუნდი ყოველწლიურად მაღალ დონეზე ათამაშოს, რაც ამტკიცებს, რომ ის შესაძლოა საუკეთესოთა შორის საუკეთესო მწვრთნელიც არის. სანამ კლუბის დირექტორატი ინფრასტრუქტურას ავითარებს, ვენგერი ძლიერ გუნდს ინარჩუნებს და ყველაფერმა ერთად უახლოეს წლებში შესაძლოა დიდი შედეგი მოიტანოს.

ამასობაში, „ბარსელონას“ მოედანზე უდიდესი წარმატებები აქვს და ეს თავის მხრივ უდიდესსავე შემოსავალს იძლევა. თუმცა, ამ შემოსავლების კიდევ უფრო გაზრდაც შეიძლება და მეტიც, თვით „კამპ ნოუს“ რეკონსტრუქციაც კი არის შესაძლებელი - ეს კლუბის ახალმა პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** თავისი პირით თქვა. როგორც კი კატალონიელები თავიანთ სპონსორულ და კომერციულ კონტრაქტებს განაახლებენ, მათი შემოსავალი მართლაც მნიშვნელოვნად გაიზრდება და ეს მიუხედავად იმისა, რომ კლუბი თავად სპონსორობს Unicef-ს, რაც მაისურზე წარწერითაც აქვს აღნიშნული.

„ბარსელონას“ აქვს უდიდესი სატელევიზიო შემოსავალი. ესპანურ პრიმერადივიზიონში ამ „ქერის ორმოთი“ კატალონიელთა გარდა მეორე გოლიათი, მადრიდის „რეალიც“ სარგებლობს, აი, დანარჩენი გუნდებისა კი რა მოგახსენოთ. საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისური პრემიერლიგისგან განსხვავებით ესპანური „ლა ლიგა“ ტელეუფლებას კოლექტიურად, ყველასთვის თანაბარი სარგებლით არ ყიდის. ეს იმას ნიშნავს, რომ „ბარსელონასა“ და „რეალს“ დანარჩენ ესპანურ გუნდებზე გაცილებით მეტი - ამბობენ, რომ ოთხჯერ მეტი - ფული რჩებათ და ამ შემოსავლით ესპანეთის ჩემპიონი „არსენალსაც“ ალემატება. კარგია ეს თუ ცუდი? გააჩნია რისთვის. ბევრი ფიქრობს, რომ ზოგადად ესპანური საკლუბო ფეხბურთისთვის ეს მაინცდამაინც კარგი არ არის.



არსენ ვენგერს სესკ ფაბრეგასის გაშვება ძალიან გაუჭირდება

კიდევ, „ბარსელონასა“ და „არსენალს“ შორის ის განსხვავებაა, რომ ინგლისური გუნდის ვალი გასაგებია, ესპანურის ფინანსური მდგომარეობა კი - ფრიად ბუნდოვანი. კერძოდ, „არსენალს“ რომ სტადიონის კრედიტი აქვს დასაფარი, ეს ყველამ იცის. თანხა წელიწადში დაახლოებით 20 მილიონ გირვანქას უდრის, ვადა 2031 წლამდეა - აქ, ყველაფერი დღესავით ნათელია. დიდი ვალია? იმ ბიზნესისთვის, რომელშიც „არსენალი“ ტრიალებს, სრულიად ნორმალური და მისაღები. აი, კატალონიაში კი ამ მხრივ გაცილებით ბუნდოვნად არის საქმე. სწორედ ამაზე იყო ყველაზე მეტი დავა-კამათი ახლახან ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ, სადაც ხსენებულმა როსელმა გაიმარჯვა. ერთი შეხედვით, ბარსელონელთა ბედს თითქოსდა ძაღლი არ დაჰყეფს - პრეზიდენტმა **ჟოან ლაპორტამ** თითქოსდა ვალი თითქმის არ დატოვა, მოგება კი იცოცხლეთ, მეორე მხრივ კი როსელი ამტკიცებს, რომ ასე სულაც არ არის საქმე. მას სულ სხვა ციფრები მოჰყავს. გაგიკვირდებათ და ლაპორტასა და როსელის მოტანილ რიცხვებს შორის განსხვავება დაახლოებით 500 მილიონი ევროა. რა გამოდის, ამ ორიდან ერთ-ერთი მატყუარაა, არა?

თუმცა, მთლად ასეც არ არის საქმე. ლაპორტა რომ ამბობს, ჩემი ვალი მხოლოდ და მხოლოდ 31 მილიონი ევროაო, სახელმწიფო ბანკისა და იმავდროულად „ბარსას“ სპონსორის La Caxia-ს ვალს გულისხმობს. და, ვინაიდან, კატალონიელებს თავიანთი თანამედროვე ინსტიტუტებიდან ყველაზ ემეტად ეამაყებათ, „ბარსა“ და La Caxia, ძალიან საეჭვოა ბანკმა დასახელებული ფულის გამო კლუბი დაახრჩოს. როსელი კი „ბარსას“ ვალად 506 მილიონ ევროს ასახელებს და ამ თანხაში შეაქვს ყველაფერი, მათ რიცხვში **ტიერი ანრისა** და **ალექსანდრ გლების** ტრანსფერის ფულიც, რომელიც განვადებით, ნაწილ-ნაწილ აქვს გადასახდელი. მაგრამ იმას, რასაც როსელი ასახელებს, უნდა ვუწოდოთ ვალი? ამბობენ, გააჩნია, რომელ ბუღალტერს ჰკითხავთო. ერთი მხრივ ლაპორტა მართალია, როდესაც ვალად მარტო ბანკიდან გამოტანილ კრედიტს მიიჩნევს - სხვა ყველაფერი მიმდინარე ბიზნესხარჯია და მეტი არაფერი. მეორე მხრივ კი ვალია ყველაფერი, რაც გადასახდელი გაქვს...

თუმცა, ამ სტატიისთვის უფრო საინტერესოა, როგორ შეიძლება იმოქმედოს ამ ყველაფერმა „ბარსელონას“ სატრანსფერო პოლიტიკაზე და გაიმეტებს თუ არა კატალონიური კლუბი სესკ ფაბრეგასის ყიდვისათვის საკმარის ფულს.

დავუბრუნდეთ „ბარსელონას“ საპრეზიდენტო არჩევნებს. ლაპორტამ, რომელიც ესპანეთის ჩემპიონს შვიდი წლის განმავლობაში მართავდა, საკუთარი კანდიდატურა აღარ წამოაყენა, მაგრამ უნდოდა თავის ადგილზე თავისი კაცი **ხაუმე ფერერი** დაესვა. მიუხედავად ამ შვიდი წლის განმავლობაში მიღწეული წარმატებებისა და გაჩენილი ამბიციებისა, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და ამომრჩევლებმა ხმა ლაპორტასთან 2005 წელს „ნაჩხუბარ“ ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ როსელს მისცეს - ფერერი ბოლო ადგილზე გავიდა. როგორც ჩანს, ამომრჩეველზე ძალიან იმოქმედა ლაპორტას ჩავარდნამ სატრანსფერო პოლიტიკაში, რასაც როსელი მათ დღენიადაგ ჩასჩიჩინებდა: **ზლატან იბრაჰიმოვიჩი, დმიტრო ჩიგრინსკი, მაქსველი, კეირისონი**... ეტყობა, ბევრისთვის განახლებული „კამპ ნოუს“ იდეაც მომხიბვლელი აღმოჩნდა. და კიდევ... როსელმა პატრიოტულ ნოტებზე ითამაშა - დღევანდელი „ბარსელონა“ ეთნიკურ კატალონიელთა გუნდი არ არის, ის კოსმოპოლიტურიაო. ამიტომაც, ერთადერთი საკითხი, რომელშიც მოქიშპეები ერთმანეთს ეთანხმებოდნენ, კატალონიელი ფეხბურთელის ფაბრეგასის სამშობლოში დაბრუნება გახლდათ.

ბოლო კვირებში ლაპორტასთვის რომ გესმინათ, დაგრჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ ფაბრეგასის საქმე უკვე მოკვარახჭინებულია და ფეხბურთელი „ბარსას“ წევრად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ საქმე-საქმეზე მიდგა და „არსენალმა“ 35 მილიონ ევროზე უარი თქვა. რაც შეეხება როსელს, ის BBC-ისთან ინტერვიუში უფრო ფრთხილი იყო:

*„უპირველეს ყოვლისა, რასაც გავაკეთებ, ის არის, რომ მწვრთნელთან, პეპ გვარდიოლასთან და მის ტექნიკურ გუნდთან ერთად დავჯდები და საკითხს დეტალურად შევისწავლი. თუ ეს ხალხი მეტყვის, რომ მათ ფაბრეგასი სჭირდებათ და ამასთან დავინახავ, რომ „ბარსელონასა“ და „არსენალს“ შორის ამ საკითხზე გარიგება შესაძლებელია, მოლაპარაკებებს მხოლოდ ამ შემთხვევაში გავაგრძელებ. ასე რომ, ფაბრეგასის „ბარსელონაში“ თამაშამდე ჯერ კიდევ მრავალი ნაბიჯია გადასადგმელი“.*

ასე და ამგვარად, შორიდან ისე ჩანს, რომ როსელი ფაბრეგასს მხოლოდ და მხოლოდ ბონუსად აღიქვამს: თუ იქნება კარგია, მაგრამ მასში ზედმეტის გადახდაც არ არის საჭირო. კატალონიაში **დავიდ ვილიას** გადაბირებით უკვე დიდი საქმე გაკეთდა და თუ მას **ფერნანდო ტორესსაც** შეუწყვილებენ...

და ფაბრეგასი?

ფაბრეგასმა, რასაკვირველია, მდგომარეობა ყველაზე კარგად იგრძნო და განაცხადა, ყველაფერი ვენგერთან ერთად უნდა გადავწყვიტო, ყველაფერი ისე იქნება, როგორც მწვრთნელი მირჩევსო. თუ ეს მართლა ასეა, გამოდის, რომ როდის-როდის და ამ ზაფხულს ფაბრეგასი „არსენალიდან“ არსადაც არ წავა.




დიდიე დეშამი

ლივერპული

# შურისძიება, მწვრთნელის და ფულის ძიება

„ლივერპულს“ **რაფა ბენიტესზე** შურისძიება განუზრახავს - გადაუწყვეტია, არგენტინის ნაკრების კაპიტანი **ხავიერ მასკერანო** ყოფილ მწვრთნელს „ინტერში“ კი არ გაატანოს, არამედ „ბარსელონას“ მიჰყიდოს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ფაქტია: იმავე დღეს, როცა მერსისაიდელთა სამწვრთნელო ვაკანსიის დასაკავებლად **დიდიე დეშამის** კანდიდატურა დასახელდა (ეს კი სიახლე გახლდათ) კლუბის ოფისში კატალონიიდანაც მივიდა ფაქსი - „ბარსა“ მასკერანოში 25 მილიონ გირვანქას, ანუ 30,35 მილიონ ევროს იხდისო. სხვათა შორის, ესპანეთის ჩემპიონს ამ თანხის ძებნა-სესხება ნამდვილად არ დასჭირდება - „ბარსელონამ“ სწორედ ახლახან მიჰყიდა „მანჩესტერ სიტის“ **იაია ტურე** 25 მილიონ ფუნტად.

კატალონიელთა გააქტიურების ცნობა, რასაკვირველია, ძალიან ეწყინება „ინტერის“ ახალ თავკაც ბენიტესს, რომელსაც მასკერანო მოედანზე მარჯვენა ხელად მიაჩნია. სწორედ მან იყიდა არგენტინელი 2008 წელს „ლივერპულისთვის“. შეგახსენებთ, რომ მასკერანოსაც კარგა ხანია მერსისაიდიდან წასვლა სურს და ამიტომაც არ მოაწერა კლუბთან ახალ კონტრაქტს ხელი.

ამასობაში, ახლოვდება „ლივერპულის“ ახალი მწვრთნელის დანიშვნის დროც. ფავორიტი მაინც „ფულჰემის“ ბოსი **როი ჰოჯსონია**, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისისა და გერმანიის მერვედფინალური დაპირისპირების შედეგს ელოდა. მიზეზი - **ფაბიო კაპელოს** შეცვლის შემთხვევაში ის შესაძლოა ინგლისელთა ახალ მწვრთნელად დაინიშნოს და მაშინ „ლივერპულს“ სხვა კანდიდატებს შორის ექნება ასარჩევი.

ამასობაში კი, როგორც მოგახსენეთ, დეშამის გვარიც გაისმა - „ლივერპულის“ დირექტორმა **კრისტიან პერსლოუმ** „მარსელში“ დარეკა, რათა გაეგო, რას იტყოდა საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი შესაძლო შეთავაზებაზე. პასუხი „მარსელის“ პრეზიდენტმა **ჟან-კლოდ დასიემ** გასცა:

*„მე მას ზრდილობიანად ავუხსენი, რომ ჩვენი მწვრთნელის გადაბირების იოტისოდენა შანსიც კი არ აქვს. ამაზე ოცნებაც კი არ შეიძლება. „მარსელის“ ხელმძღვანელებს დიდიესთან ნდობით აღსავსე ურთიერთობა გვაქვს. რასაკვირველია, ის არანაირ ცდუნებას არ აჰყვება, თუმცა როდესაც ადამიანი შეიტყობს, რომ მისი გადაბირებით წამყვანი ევროპული კლუბები დაინტერესდნენ, რასაკვირველია, გული სიამოვნებისგან აუძგერდება“.*

„ლივერპულის“ ამერიკელი მეპატრონეები **ტომ ჰიკსი** და **ჯორჯ ჯილეტი** კი წყალს ამღვრევენ - კლუბი უნდა გავყიდოთო, ახალი კამპანია წამოიწყეს. ისინი ვილაც აზიელებს დაკავშირებიან და 800 მილიონ გირვანქას კი აღარ სთხოვენ, არამედ 560-ზეც თანახმანი ყოფილან. 560 მილიონი გირვანქა დღევანდელი კურსით 836 მილიონი დოლარია.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ოლიმპი

# დასახმარებლად... ვანგას მიმართეს

საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“, რომელიც ურეკში მოსამზადებელ ეტაპზე 15 (?!) ფეხბურთელით გაემგზავრა, კიდევ 3 მოთამაშის დამატებას აპირებს და ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპისთვის 18-კაციანი განაცხადის შევსების შანსი უჩნდება. ჩვენი ინფორმაციით, „ოლიმპმა“, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ცენტრალური თავდამსხმელის პოზიცია ითვლება, კენიის ნაკრების ფორვარდი **ალენ ვანგა ვეტენდე** მიიწვია.

25 წლის თავდამსხმელი (დაბადებულია 1985 წლის 26 ნოემბერს, სიმაღლე 186 სმ) ბოლოს აზერბაიჯანის პირველობის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბ „ბაქიში“ თამაშობდა. ის ფიზიკურად ძლიერი და სწრაფია, რუსთაველები კი თავდამსხმელებს სწორედ ამ პარამეტრის მიხედვით ეძებდნენ. მას აზერბაიჯანიდან საქართველოში წამოსვლა ფიქრადაც არ ექნებოდა, „ბაქის“ მთავარ მწვრთნელად თურქი **ჯუნეით ბიჩერი** რომ დაეტოვებინათ - მის ნაცვლად ცნობილი გერმანელი სპეციალისტი, კამერუნის ნაკრებისა და „კარლსრუეს“ ყოფილი დამრიგებელი **ვინფრიდ შეფერი** მიიწვიეს. „ახალმა ცოცხმა“ ძველი ფეხბურთელები გაუშვა და საკუთარი კადრების მიყვანა გადაწყვიტა. თუმცა, „ბაქი“ კენიელს იოლად ვერ ელეოდა, დროს წელავდა და ცდილობდა, გერმანელი ვანგას დატოვებაზე დაეთანხმებინა, მაგრამ შეფერმა მაინც თავისი გაიტანა...

მოკლედ, კენიელი ვანგა უგუნდოდ დარჩა და მენეჯერმა, რომლის სააგენტოც ქართველ ფეხბურთელებთან (**ლექსო კვახაძე, ჯაბა დვალი, ბაქარ გიორგაძე, თორნიკე თარხნიშვილი, ნიკა გუშარაშვილი, გიგა ბეჭვაია, გიორგი გეთიაშვილი**) თანამშრომლობს, ის რუსთავის „ოლიმპს“ შესთავაზა.

პოპულარული „ტრანსფერმარკტის“ ინფორმაციით, ალენ ვანგას სატრანსფერო ფასი 150 ათასი ევროა. ის საქართველოში პირდაპირ ამერიკიდან მოემგზავრება, სადაც კენიის ნაკრები ტურნეს მართავდა. ცნობისთვის, ეროვნულ გუნდში ვანგა იტალიური „ინტერის“ სათადარიგო ცენტრფორვარდის **მაკდონალდ მარიგას** მეწყვილეა. ქვეყნის მთავარ ნაკრებში მას 25 მატჩი (9 გოლი) აქვს ჩატარებული. თამაშობდა ანგოლისა („პეტრო ატლეტიკო“, 35 მატჩი და 9 გოლი) და კენიის კლუბებში, 2007 წელს კენიური „ტუსკერის“ შემადგენლობაში ბომბარდირი გახდა - 23 მატჩში 21 გოლი გაიტანა. 2010 წელს ის აზერბაიჯანულ „ბაქიში“ ჩაირიცხა და ნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მერე კი, რაც მოხდა, უკვე გითხარით.

სავარაუდოდ, ვანგა თბილისში დღეს გამთენიისას ჩამოფრინდება და უკვე სალამოს საქართველოს ჩემპიონს ურეკში შეუერთდება. „კენიაფუტბოლში“ ვანგაზე საინტერესო წერილს მივაკვლიეთ. როგორც ირკვევა, ფეხბურთის თამაში მას მეკარეობით დაუწყია. სკოლის დამთავრების შემდეგ, 2005 წელს მშობლიური ქალაქის კლუბ „ლოვლეში“ ჩაირიცხა, რომელსაც ბიძამისი წვრთნიდა. სამ თვეში ნიჭიერი გოლეადორით ბევრად უფრო შეძლებული მუჰორონის კლუბი დაინტერესდა, სინჯებზეც მიიწვია, მაგრამ ახალ თანაგუნდელთა მხრიდან შანტაჟის შემდეგ, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად (?!) კლუბი დატოვა.

დედამისს ვანგა ჯარისკაცად ან მასწავლებლად წარმოედგინა. ალენმა ჯარი მოიარა, რის შემდეგაც კენიის პრემიერლიგის კლუბში ვალმოხდილი აიყვანეს. ჰპირდებოდნენ კანადაში გადაყვანას, მაგრამ ეს ვარიანტი ჩაეშალა, ისევე როგორც გასინჯვა შვედურ კლუბში. ამ დროს „ტუსკერმა“ მას პირდაპირ კონტრაქტი შესთავაზა და ვანგამ აფრიკაში დარჩენა ამჯობინა. ანგოლურმა „პეტრო ატლეტიკომ“ კი ის 50 ათას დოლარად გამოისყიდა, რაც ამ კალიბრის აფრიკული ქვეყნების მასშტაბით უზარმაზარი სატრანსფერო თანხაა.

ვანგა ანგოლაში ყოფნისას „პეტრო ატლეტიკოს“ საუკეთესო ფეხბურთელი გახდა და ერთადერთი მოთამაშე იყო, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში რომ აცხოვრებდნენ, რასაც ღარიბი ოჯახიდან გამოსული ფეხბურთელი „კენიაფუტბოლს“ სიამაყით უყვება. არადა, სამშობლომ გადაადგილების პრობლემა შეუქმნა - სამხრეთ აფრიკაში გასამართ ტურნირში საასპარეზოდ ვიზა არ მისცა. მიზეზი - 2007 წელს კენიაში ძალადობა გამეფდა და იქაურებს სხვა ქვეყნებში აღარ უშვებდნენ. ვანგას გამო და პროტესტის ნიშნად, ანგოლელებმა ბრაზილიაში საწვრთნელი შეკრება ჩაშალეს. ასეთმა დამოკიდებულებამ კენიელი ფორვარდი ძალიან გაახარა და მიხვდა, რომ „პეტრო ატლეტიკოსთვის“ ბევრს ნიშნავდა...

■ ■ ■

მეორე ფეხბურთელი, რომელიც „ოლიმპმა“ დაიმატა, საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი **რევაზ ქემოკლიძეა**. ბოლოს ის ბოლნისის „სიონში“ გამოდიოდა, ახლა კი რუსთაველებმა 30 წლის გამოცდილი ფეხბურთელი დაცვაში არსებული პრობლემების გამო მიიწვიეს.

ამას გარდა, შესაძლოა, კლუბში **გიორგი ჭელიძეც** ჩაირიცხოს. 26 წლის ნახევარმცველი გასული სეზონის მეორე ეტაპზე თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობდა. რუსთაველები უკვე ურეკში არიან და სეზონისთვის მზადების მეორე ეტაპს გადიან. ქუთაისის „ტორპედოსთან“, ზუგდიდის „ბაიასა“ და ფოთის „კოლხეთთან“ საკონტროლო მატჩები უკვე შეთანხმებულია. ბოლო მომენტში „გაგრასთან“ სპარინგიც გაიჩარხა, თუმცა თარიღი ჯერ არ დაზუსტებულა.



ბურთით ალენ ვანგა ვეტენდე

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო

# ჯერ გოლი არ გაუშვია...

თბილისის „დინამო“ ახალი სეზონისთვის ემზადება. ვიცე-ჩემპიონმა უკვე 3 საკონტროლო შეხვედრა გამართა და სამივეში კარი „მშრალად“ შეინახა. 16 ივნისს რუსთავის „ოლიმპის“ დამარცხების (3:0) შემდეგ, **კახა კაჭარავას** შეგირდებმა ცხინვალის „სპარტაკსაც“ მოუგეს - 2:0. თავი **ლევან კაკუბავამ** (27-ე წუთი) და **გიგა წენგუაშვილმა** (70-ე) გამოიჩინეს.

ბოლო საკონტროლო შეხვედრა კი „დინამომ“ დიღმის ბაზაზე, „35-ე სკოლასთან“ გამართა და კვლავ გაიმარჯვა - 5:0. დუბლები შეასრულეს **მათე ვაწაძემ** და მეორე ტაიმში მის შემცვლელმა **ზვიად მეტრეველმა**, ერთი გოლიც მეტოქის მცველმა საკუთარ კარში გაიტანა.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ლორია (შეყრილაძე), თომაშვილი (კეკელია), კაკუბავა (გავაშელიშვილი), ჩადუნელი (გველესიანი), ოთარაშვილი (წენგუაშვილი), კოშკაძე (ვარდოსანიძე), ფირცხალავა (ედნილსონი), თექთურმანიძე (ზვიადაძე), ჯუისი (სიხარულიძე), ლექვთაძე (ჩხაიძე), ვაწაძე (მეტრეველი).**

როგორც შევიტყვეთ, „დინამო“ დატოვა ნახევარმცველმა **ვაჟა ნემსაძემ** - ის კლუბს კონტრაქტის გაწყვეტაზე შეუთანხმდა. თავდამსხმელი **ზვიად ქანთარია** კი, სავარაუდოდ, ცხინვალის „სპარტაკში“ იჯარით ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# გუშარაშვილი ოლიმპის ნაცვლად ყაზახეთში?

თბილისის „ლოკომოტივის“ მცველის გადაბირება საქართველოს ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს“ სურდა. მოლაპარაკებაც შედგა და ფეხბურთელმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა, მაგრამ საბოლოოდ, საქართველოს ჩემპიონი უარით გაისტუმრა.

როგორც გავიგეთ, უარის მიზეზი ახალი შეთავაზებაა - გუშარაშვილს ყაზახეთის პრემიერლიგის რომელიღაც კლუბი იწვევს. დასანანია, რომ ჩვენი პირველობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ცენტრალური მცველის დაინტერესება ვერც ერთმა ქართულმა კლუბმა, მათ შორის, ქვეყნის ჩემპიონმაც ვერ მოახერხა.

**მერაბ მამულაშვილი**

ბაია

# გაბელია კონსულტანტად

## ახალკაცი საქართველოში დაბრუნდა

გადაწყვეტილია ამბავია - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოთარ გაბელია** ზუგდიდის „ბაიაში“ იმუშავებს. თავდაპირველად, ვრცელდებოდა ხმები, თითქოს, ის მთავარ მწვრთნელად ინიშნებოდა. დაზუსტებული ინფორმაციით, ახალგაზრდულის თავკაცი „ბაიას“ არა მთავარ მწვრთნელად, არამედ, კონსულტანტად დაინიშნა.

ზუგდიდელთა ერთ-ერთი პირველი შენაძენი **რომან ახალკაცია** - ზაქათალის „სიმურგის“ ყოფილი ნახევარმცველი. 29 წლის მოთამაშე ისრაელის ერთ-ერთ კლუბსა და ბოლნისის „სიონში“ მიიწვიეს. ისრაელზე თავი შეიკავა, რადგან ბევრი დეტალი გაურკვეველი იყო. ბოლნისში წასვლა კი თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ ბოლო მომენტში გაბელია დაუკავშირდა და გადაწყვეტილება შეცვალა.

შეგახსენებთ, რომ 2004 წელს ახალკაცი მოსკოვის „ლოკომოტივში“ მიიწვიეს, თუმცა რკინიგზელებში კარიერა ვერ აეწყო და კალინინგრადის „ბალტიკაში“ გადავიდა. 2006 წელს რომანმა თავი აზერბაიჯანულ „ქარვანში“ ამოჰყო, შემდეგ იყო ბაქოს „ოლიმპიკი“ და „სიმურგი“.

ბოლო სეზონი „სიმურგისთვის“ კატასტროფული შედეგით დასრულდა - წინა პირველობის მესამეადგილოსანი საუკეთესო ექვსეულშიც ვერ მოხვდა და გუნდის გადახალისებას სამივე ქართველი შეეწირა - **დავით ბოლქვაძე** რუსთავის „ოლიმპში“ გადავიდა, ახალკაცზე უკვე მოგახსენეთ, უცნობია მხოლოდ „სიმურგის“ კაპიტან **კახა ჩხეტიანის** ბედი.

**მერაბ მამულაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა — მეტოქე

# აქტობეს გიგანტომანია

ყაზახეთში სატრანსფერო პერიოდი 12 ივლისამდე გააგრძელეს, შესაბამისად, იქაურ კლუბებში ცვლილებები ისევ ხდება. მნიშვნელოვანი სიახლეებია „აქტობეს“ შემადგენლობაშიც. მათ უკვე ოფიციალურად, 2 წლით, „ჟეტისუს“ სერბი ფორვარდი **ივან პერიჩი** გადაიფორმეს. ყაზახური მედიის ინფორმაციებით უნდა დავასკვნათ, რომ პერიჩი საინტერესო, თუმცა არასტაბილური თავდამსხმელია - „ჟეტისუში“ პირველ ეტაპზე გამართულ 15 მატჩში მხოლოდ ორჯერ გამოიჩინა თავი. მასზე შედეგიანია „აქტობეს“ ცენტრალური მცველი **სამატ სმაკოვი**, რომელმაც პირველ ეტაპზე 3 გოლის გატანა მოახერხა. პერიჩის მიწვევა მეორე თავდამსხმელის **მურატ ტლეშევის** ცუდი თამაშითაა გამოწვეული. წელს ამ უკანასკნელმაც ზუსტად იმდენი გაიტანა, რამდენიც სერბმა. რა ჩვენი საქმეა, მაგრამ ეს უფრო იმას ჰგავს - თხა გავყიდე, თხა ვიყიდეო...

პერიჩი კი ტრანსფერით კმაყოფილია: *„ისეთი წინადადება მივიღე, უარის თქმა შეუძლებელი იყო, თანაც, „ჟეტისუში“ ჩემი ადგილი ვერ ვიპოვე, არაფერი გამომდიოდა“.*

კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ვასილი იურჩენკომ** სატრანსფერო ჭორ-მართალზე ილაპარაკა: *„ამჟამად მხოლოდ პერიჩი დავიმატეთ. თუმცა მისი მოსვლა ტლეშევის წასვლას არ ნიშნავს. ეს არ მოხდება. ისმის ხმები, თითქოს, ყარაღანდის „შახტიორის“ თავდამსხმელ ანდრეი ფინონჩენკოს ვიწვევდით, რაც არასწორი ინფორმაციაა. მარატ ხაირულინის დაბრუნება კი ნამდვილად გვსურს“.*

ამავე დროს, ცნობილი გახდა, რომ „აქტობეს“ „ოკჟეტპესთან“ **სერგეი ლისენკოვისა** და **იური მოკროუსოვის** გაცვლა ჩაეშალა.

საერთოდ კი, „აქტობეს“ სატრანსფერო სიახლეებიდან გარკვეული დასკვნების გამოტანა შეიძლება - ყაზახეთის ჩემპიონის მთავარი მწვრთნელი **ვლადიმირ მუხანოვი** ათლეტური და ძალისმიერ ფეხბურთის მიმდევარია, სადაც დიდი მნიშვნელობა არა კომბინაციური ფეხბურთს, არამედ ძალისმიერ ორთაბრძოლებსა და „მეორე სართულზე“ ერთფეროვან ჭიდაობას ენიჭება. თუმცა ამგვარი ტაქტიკა ხშირად შედეგის მომტანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოწინააღმდეგე სიმაღლესა და ათლეტიზმში მოიკოჭლებს.

ჩვენი ნათქვამის დასტურად „აქტობეს“ ახალწვეულ პერიჩისა და გუნდის სხვა თავდამსხმელთა შედარებაც გამოდგება - საფეხბურთო სტანდარტით სერბი თავდამსხმელი, ფაქტობრივად, გიგანტია - 190 სმ. დაბლები არც სხვა ფორვარდები არიან - **სერგეი სტრუკოვი** (191 სმ), **მურატ ტლეშევი** (184 სმ) და **ტიტი ესომბა** (178 სმ).

ეს მუხანოვის გემოვნებასა და გუნდის სათამაშო სტილზე მეტყველებს. „ლელოსთან“ საუბარში „ოლიმპის“ მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** ყურადღება სწორედ ამ დეტალზე გაამახვილა. ჩვენი ინფორმაციით, კენიელი თავდამსხმელის **ალენ ვანგას** ჩამოყვანა ამითაა განპირობებული - მახარაძემ ტანმაღალი თავდამსხმელი მოითხოვა, რომელიც მეორე სართულზე კარგად იბრძოლებდა. ბუნებრივია, რუსთაველთა თავკაცი ყაზახეთის ჩემპიონზე სხვა ინფორმაციებსაც აგროვებს და მათი მატჩის ვიდეოჩანაწერის მოპოვებას იმედოვნებს.

დაბოლოს - ასტანის „ლოკომოტივთან“ შინ ნაგებული (1:2) მატჩის შემდეგ „აქტობე“ საშინაო არენაზე ორ მატჩს უმაყურებლოდ ჩაატარებს. მიზეზი - გულშემატკივრების ხულიგნური საქციელი გახდა. ნაგებით უკმაყოფილო ფანების ნაწილმა მსაჯთა ბრიგადას შეურაცხყოფა მიაყენა...

**მერაბ მამულაშვილი**

ასაკობრივი ნაკრებები

# მეოთხედფინალი ვეღარ დაძლიეს

ესპანეთის კუნძულ იბისას საერთაშორისო ტურნირზე ჩვენი 15 და 17-წლამდელთა ნაკრებების წარმატებული ასპარეზობისა და ჯგუფიდან 1/4 ფინალში გასვლის თაობაზე წინა ნომერში გაცნობეთ. სამწუხაროდ, ხსენებულ ტურნირში ჩვენი ფეხბურთელების გამოსვლა პლეი ოფის პირველივე ეტაპზე დასრულდა.

ჯერ 15-წლამდელთა ნაკრებზე ვთქვათ. **გელა შეყილაძის** შეგირდებმა ჯგუფში შთამბეჭდავად იასპარეზეს - სამივე შეხვედრა მშრალად მოიგეს: „სელტიკთან“ - 5:0, ავსტრიულ „რაპიდთან“ 4:0 და ადგილობრივ „პორტმანთან“ 1:0. 1/4 ფინალში კი „ხანგიასთან“ მოუწიათ დაპირისპირებამ და 0:2 წააგეს.

რაც შეეხება 17-წლამდელთა ნაკრებს. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდმა სასტარტო მატჩი „ესპანიოლთან“ მინიმალური ანგარიშით დათმო (0:1), მაგრამ მომდევნო ორივე ტური მოიგო - ავსტრიულ „რაპიდს“ 4:0 სძლია, ხოლო ადგილობრივი „პენია დეპორტივო“ 12:0 გაანადგურა. ჟორჟიკაშვილის ბიჭები 1/4 ფინალში „მალიორკას“ დაუპირისპირდნენ და 0:1 დამარცხდნენ.

**დავით ცაბაძე**

**ლელოელები ვუთანაგრძნობთ კოლეგას კოტე გოგიშვილს დედის გარდაცვალების გამო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიონი

# შვიდი წავიდა, ხუთი დაიმატეს...

## დიდი ცვლილებები ბოლნისელთა გუნდში

ეროვნული ჩემპიონატის ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა ბოლნისის „სიონიც“. **ხვიჩა ქასრაშვილი** გუნდს ჯერჯერობით თბილისში ავარჯიშებს. დღეს-ხვალ „სიონი“ მზადებას უკვე მშობლიურ ქალაქში გააგრძელებს.

ბოლნისელთა გუნდში არაერთი ცვლილებაა. „სიონი“ დატოვეს თავდამსხმელებმა - **ლევან მელქაძემ, გიორგი მაისურაძემ** და **ირაკლი შენგელიამ**, მცველმა **ლევან მერებაშვილმა** და ნახევარმცველმა **გიორგი დეკანოსიძემ**. ამას გარდა, ახალგაზრდა ფორვარდმა **ჯაბა უგულავამ** და გამოცდილმა მცველმა **რევაზ ქემოკლიძემ** ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს“ მიაშურეს. მოგეხსენებათ, იანვრიდან სეზონის ბოლომდე ბოლნისელებმა „ვიტ ჯორჯიადან“ ნახევარმცველი **გიორგი მელქაძე** ინათხოვრეს. ჩემპიონატის დამთავრებასთან ერთად, მისი საიჯარო კონტრაქტის ვადაც ამოიწურა. „სიონს“ მელქაძის დატოვება სურს. კლუბებს შორის თითქმის მიღწეულია შეთანხმება და გიორგი 6 თვით კვლავ ქასრაშვილის გუნდში ითამაშებს. უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ ფოთის „კოლხეთს“ კი ბოლნისელთა მეკარე **მინდია ბობღიაშვილის** გადაბირება სურდა, მაგრამ გოლკიპერმა „სიონში“ დარჩენა გადაწყვიტა.


ხვიჩა ქასრაშვილი

მოკლედ, გუნდიდან 7 ფეხბურთელია წასული. თუმცა „სიონის“ მესვეურები პარალელურად იმაზეც ზრუნავენ, რომ როგორმე კონკურენტუნარიანობა შეინარჩუნონ. „სიონში“ ნორმალური შევსებაა. როგორც ქასრაშვილმა გვითხრა, გუნდს დაემატა ნახევარმცველი **გიორგი ჩივაძე**, რომელმაც გასული სეზონი ცხინვალის „სპარტაკში“ დაასრულა. „სიონშია“ თავდამსხმელი **რევაზ გოცირიძეც**, რომელიც 6 თვე ისრაელში თამაშობდა. ბოლნისელებს დაემატათ აზერბაიჯანში მოასპარეზე მცველი **სერგი ორბელაძე** და ნახევარმცველი **რომან ახალკაცი**. რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, ქვემოქართლურ გუნდს დაუბრუნდა ფორვარდი **მიხეილ ბობოხიძე**. შესაძლოა, გუნდს დაემატოს შემტევი ნახევარმცველი **გიორგი ჭელიძე**, რომელიც გასულ ჩემპიონატში თბილისის „ლოკომოტივის“ ლიდერი იყო. ჭელიძე უკრაინის ერთ-ერთ კლუბში იყო ტესტირებაზე და თუ ამ ქვეყანაში მისი ტრანსფერი არ შედგა, მაშინ სამშობლოში დაბრუნდება და, სავარაუდოდ, „სიონს“ მიაშურებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლნისელებმა 5 ფეხბურთელი დაიმატეს, კლუბის მესვეურებს შემდგომ გაძლიერებაზე ხელი არ აუღიათ.

*„გვინდა, კიდევ გავაძლიეროთ გუნდი და ამაზე აქტიურად ვმუშაობთ. ორსამ ფეხბურთელთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, მაგრამ, სატრანსფერო ინტერესიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ამ მოთამაშეთა ვინაობას ვერ გაგიმხელთ. იმას კი გეტყვით, რომ ნახევარდაცვისა და თავდასხმის ხაზის გაძლიერებაზე ვართ ორიენტირებულნი“*, - აღნიშნა ხვიჩა ქასრაშვილმა „ლელოსთან“ საუბარში.

გაცნობებთ იმასაც, რომ ბოლნისელებმა შეძლეს წამყვანი ფეხბურთელების - **ალექსანდრე გოგობერიშვილის, გივი დიდავას, ლაშა ნოზაძისა** და სხვათა შენარჩუნება. ამ ეტაპისთვის ქასრაშვილის განკარგულებაში შემდეგი მოთამაშეები არიან: **მინდია ბობღიაშვილი, ვლადიმერ ზუხბაია, ლაშა ჭელიძე, სერგი ორბელაძე, მიხეილ კობაური, გივი დიდავა, თემურ რაქვიაშვილი, ალექსანდრე გოგობერიშვილი, ლაშა ნოზაძე, ვლადიმერ უგრეხელიძე, ლევან სანიკიძე, რევაზ გოცირიძე, მიხეილ ბობოხიძე, გიორგი მელქაძე, გიორგი ჩივაძე, რომან ახალკაცი, მურმან ქურასბედიანი, ვილი ისიანი...**

„სიონი“ მზადების პირველ ეტაპს მშობლიურ ქალაქში გაივლის. ბოლნისელებს გეგმაში აქვთ, 20 ივლისიდან ურეკში 10-დღიან მოსამზადებელ შეკრებაზე გამგზავრება. მანამდე კი აღმოსავლეთ საქართველოში საკონტროლო მატჩებს გამართავენ.

დაბოლოს - როგორც ამბობდნენ, ახალი სეზონიდან ბოლნისელთა სპონსორი კომპანია „სოკარი“ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ბოლო ინფორმაციით, „სიონის“ პატრონი კვლავ „მადნეული“ იქნება.

**დავით ცაგაძე**

ამხანაგური მატჩები



# ანანიძემაც და ოდიკაძემაც...

გასულ უქმეებზე სამი ქართველი ლეგიონერი თითო გოლით გამოირჩა. ლაპარაკია მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველ **ჯანო ანანიძეზე**, ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას“ თავდამსხმელ **ოთარ მარცვალაძესა** (ამაზე სხვა მასალაში) და „ინტერის“ შუახაზელ **დავით ოდიკაძეზე**.

ანანიძის „სპარტაკი“ სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას უცხოურ შეკრებაზე აგრძელებს. **ვალერი კარპინის** გუნდმა ამხანაგური მატჩი ნორვეგიის მთავარ ლიგაში მოასპარეზე „ვოლერენგასთან“ 2:4 წააგო. ამ შეხვედრაში ჯანომ სრული 90 წუთი ითამაშა და ეფექტური გოლიც გაიტანა. მოსკოველებმა პირველი ტაიმი 0:3 წააგეს. მეორე ნახევარში, საჯარიმოს მისადგომებთან დანიშნული საჯარიმო დარტყმა ანანიძემ ოსტატურად შეასრულა და სხვაობა ორ ბურთამდე შეამცირა.

მესამე ქართული გოლის ავტორი კი აზერბაიჯანის ჩემპიონ ბაქოს „ინტერის“ ნახევარმცველი დავით ოდიკაძე გახლავთ. ბულგარულ შეკრებაზე მყოფმა **კახა ცხადაძის** გუნდმა „პრავეცისა“ (6:1) და „მინიორის“ (3:1) ძლევის შემდეგ ვრაცის „ბოტევიც“ დაამარცხა - 2:1. ამ შეხვედრაში პირველი გოლი სწორედ ოდიკაძემ შეაგდო. სხვათა შორის, მანვე, ისევე, როგორც **ბაჩანა ცხადაძემ**, გოლი „მინიორსაც“ გაუტანა.

დაბოლოს, უკრაინაში მოასპარეზე ჩვენებურებზეც გამცნობთ. **ბექა გოცირიძისა** და **სანდრო კობახიძის** კრივოი როგის „კრივბასი“ ლუცკის „ვოლინს“ გაეჯიბრა და 0:1 დამარცხდა. გოცირიძემ და კობახიძემ სრული მატჩი ჩაატარეს.

**დავით ცაგაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საკონტროლო მატჩი

# ახალი ტორპედოს პირველი სპარინგი და პირველი გამარჯვება

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულმა და „ვისოლის" ფინანსებით წელგამართულმა ქუთაისის „ტორპედომ" შაბათს „სამტრედიასთან" პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა და პირველი გამარჯვება მოიპოვა. ქუთათურებმა იმერულ ამხანაგურ დერბიში 1:0 მოიგეს. ეს მატჩი ახალი საფეხბურთო სეზონისთვის მზადების პროცესში სამტრედიელებისთვისაც პირველი სპარინგი იყო. შეხვედრამ ადგილობრივ გულშემატკივრებში დიდი ინტერესი გამოიწვია, „ტორპედოს" სტადიონზე 1000- მდე ქომაგი შეიკრიბა. ამ რაოდენობის გულშემატკივარი ამხანაგურ მატჩზე კი არა, უმაღლესი ლიგის მატჩებზეც სანატრელია. შესაბამისად, ადვილი წარმოსადგენია, რა აჟიოტაჟი იქნება ქუთაისში ჩემპიონატის დაწყების შემდეგ.

შეხვედრას „ვისოლის" შეფები - **სოსო** და **ლევან ფხაკაძეებიც** დაესწრნენ. მათთან ერთად იმყოფებოდნენ იმერეთის გუბერნატორი **ლაშა მაქაცარია** და მხარისა და ქალაქის სხვა ხელმძღვანელი პირები. იმერული დერბის მიმართ გაზრდილი ინტერესი ბუნებრივია, ქუთაისურ გუნდში უამრავი ახალწვეულია, რომელთა საქმეში ნახვა გუნდის ახალი მფლობელებისთვის და ქომაგებისთვისაც ერთნაირად საინტერესო იყო. „ტორპედოს" მთავარმა მწვრთნელმა **რამაზ მუმლაძემ** ყველა ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის შანსი. ვიზავის მსგავსად სამტრედიელთა დამრიგებელმა **გელა სანაიამაც** გუნდში მყოფი ყველა მოთამაშე გამოსცადა. მის გუნდშიც საკმაოდ ბევრი სიახლეა. სამტრედიამ ზუგდიდის „ბაიადან" დაიბრუნა ფორვარდი **პაატა ბაკარანძე**, მარტვილის „მერანიდან" დაიმატა შემტევი ნახევარმცველი **დავით ჩხიკვაძე**. ქუთაისელთა წინააღმდეგ ორივე მათგანმა იასპარეზა. მათ გარდა, სანაიას გუნდში არაერთი ახალგაზრდა ფეხბურთელიც გამოჩნდა. ბარემ შემადგენლობებსაც გაგაცნობთ:

„ტორპედო": **მიგინეიშვილი, ჩიკვილაძე, ქარქუზაშვილი, მაჭავარიანი, ფოფხაძე, გურული, ლომაშვილი, დათუნაიშვილი, თარხნიშვილი, ცნობილაძე, ზ. ხაჭიპერაძე**. მეორე ტაიმში შევიდნენ: **კუჭუხიძე, გიგაური, ფარულავა, ბიბილაშვილი, გ. ჩხეტიანი, ლ. კირკიტაძე, ნ. კვასხვაძე, ვაშაკიძე, კვერნაძე, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე.**

„სამტრედია": **ჯინჭარაძე, სოსელია, ხუმარაშვილი, დვალიშვილი, ქორიძე, ბაკურაძე (37. კუპრეიშვილი), ჩომახიძე, ფირცხალავა, ტყემალაძე, ბაკარანძე, გოგიშვილი.** მეორე ტაიმში შევიდნენ: **დევაძე, თელია, კირთაძე, ჭანტურია, ბარამიძე, ნინუა, დ. კირკიტაძე, ჩხიკვაძე, ეცადეიშვილი, გოგია, ბუქულაშვილი.**

პირველ ტაიმში უპირატესობას „ტორპედო" ფლობდა. გოლის გატანის რეალური შანსი გააცუდა **გიორგი დათუნაიშვილმა**, კარგი მომენტი ვერ გამოიყენა ექსსამტრედიელმა **ზაურ ხაჭიპერაძემაც**. სამტრედიელთაგან **ფირცხალავას** ჰქონდა ანგარიშის გახსნის შანსი, მაგრამ ამ ეპიზოდში ტორპედოელები გოლს გადაურჩნენ. მეორე ტაიმში მწვრთნელებმა სათადარიგო ფეხბურთელებს მისცეს თავის გამოჩენის საშუალება. აქტიურად ჩაერთო თამაშში ტორპედოელთა პოტენციური ახალწვეული **ნიკა კვასხვაძე**. მატჩის ერთადერთი გოლი კი 52-წუთზე გავიდა, როცა **ვაშაკიძის** კუთხურს **ბექა ბიბილაშვილი** თავური დარტყმით გამოეხმაურა და სამტრედიელთა სათადარიგო მეკარე **დევაძეს** შანსი არ დაუტოვა.

შეამჩნევდით, რომ მეორე ტაიმში ქუთაისელთა შორის მოსკოვის „ლოკომოტივის" ყოფილმა ფორვარდმა **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ** ითამაშა. ამ ფეხბურთელზე საქართველოში ერთ დროს დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ გუნდიდან გუნდში ხშირმა მოგზაურობამ მის კარიერაზე დამღუპველად იმოქმედა. ახლა „პაჭელო" „ტორპედოში" დამკვიდრებას ცდილობს და თუ მისი პირველი თამაშით ვიმსჯელებთ, ამისთვის დიდი ოფლისღვრა დასჭირდება. მომდევნო ამხანაგურ მატჩს ქუთათურები 30 ივნისს, საკუთარ არენაზე რუსთავის „ოლიმპთან" გამართავენ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ინტერვიუ — რამაზ მუმლაძე

# უცხოეთში სამომავლოდ, ჯერ გუნდი უნდა დავაკომპლექტოთ



**უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული ქუთაისის „ტორპედო" ახალი სეზონისთვის მზადებას აქტიურად განაგრძობს. რამაზ მუმლაძის გუნდში არაერთი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა და როგორც ტორპედოელთა მთავარი მწვრთნელი ამბობს, მატება კიდე იქნება. ახალწვეულებთან ერთად „სამტრედიასთან" ამხანაგურ მატჩში მუმლაძემ იმ ფეხბურთელებსაც მისცა თავის გამოჩენის შანსი, რომლებიც მწვრთნელისთვის თავის მოწონებასა და გუნდში ჩარიცხვას ცდილობენ. ქუთაისელთა გამოცდილ სპეციალისტს იმერული დერბის შემდეგ შევხვდით და გუნდში მიმდინარე პროცესებზე ვესაუბრეთ.**

**- რამდენად კმაყოფილი დარჩით ახალწვეულებისა და საერთოდ გუნდის პირველი ასპარეზობით?**

- „სამტრედიასთან" მატჩი დიდი დატვირთვების ფონზე ჩატარდა. დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს, ფეხბურთელები გადაღლილები არიან, ზოგიერთს ფეხებიც აღარ ემორჩილებოდა. ასეთ ვითარებაში საკმაოდ ნორმალურად ითამაშეს. თანდათან თამაშის ხარისხი უფრო გაუმჯობესდება. გუნდში ბევრი ახალწვეულია, მათ შეთამაშებას დრო სჭირდება და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ „ტორპედო" ახალ სეზონს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს.

**- ალბათ, გუნდის გაძლიერება კვლავ გაგრძელდება...**

- ჯერ კიდევ მიმდინარეობს ფეხბურთელების შერჩევა, დავაკვირდებით, ვის რა შეუძლია და გადაწყვეტილებებს ამის შემდეგ მივიღებთ. გუნდი ჯერ კიდევ დაკომპლექტების პროცესშია. რამდენიმე ფეხბურთელს კიდევ დავიმატებთ და ნელ-ნელა „ტორპედოს" ძირითადი ბირთვიც გამოიკვეთება.

**- „სამტრედიასთან" მეორე ტაიმში თქვენს გუნდში გიორგი („პაჭელო") ჭელიძე გამოჩნდა. ამ ფორვარდის „ტორპედოში" ჩარიცხვის საკითხი გადაწყვეტილია?**

- ჭელიძე ჯერ არ დაგვიმატებია. ნიკა კვასხვაძესთან ერთად მასაც ვაკვირდებით და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მივიღებთ. საერთოდაც, ცოტა ხანში საბოლოოდ გაირკვევა, ვინ დარჩება გუნდში და ვისთან მოგვიწევს გამომშვიდობება.

**- „სამტრედიასთან" შეხვედრაში გამოჩნდა, რომ ამ ეტაპზე „ტორპედოში" თავდასხმის ხაზი ერთ-ერთი პრობლემატურია...**

- როგორც იცით, ახლახან დავიმატეთ ზაურ ხაჭიპერაძე, ამ ბიჭის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ და ვფიქრობ, რომ გაგვაძლიერებს. ხაჭიპერაძეს გაცილებით უკეთ შეუძლია თამაში, ვიდრე ეს სამტრედიასთან გამოჩნდა. თუმცა, კიდევ ერთი კარგი ფორვარდი არ გვაწყენდა...

**- ლაპარაკი იყო „ვიტ-ჯორჯიადან" ვახტანგ კვარაცხელიას გადმოყვანაზე, მისი დამატების საკითხი კვლავ აქტუალურია?**

- არა, კვარაცხელია „ვიტ-ჯორჯიაშია". მისი დამატება გამორიცხულია. რაც შეეხება მეკარე ქვილითაიას, მასზე ვერაფერს გეტყვით, ფაქტია, რომ ჩვენთან არ არის...გუნდის დასაკომპლექტებლად დრო საკმარისი გვაქვს და ცვლილებები კიდევ იქნება. ორკვირიანი შეკრება გვექნება, სადაც ფეხბურთელები უკეთ შეთამაშდებიან და ამის შემდეგ გამოიკვეთება ის ნახაზი, რომლის მიხედვითაც მომავალ სეზონში ვიასპარეზებთ. ჩვენი მიზანია ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

**- „ვისოლის" სახით „ტორპედოს" შეძლებული პატრონი ჰყავს და ალბათ, იმის შესაძლებლობაც გექნებათ, რომ უცხოური შეკრება გაიაროთ. საზღვარგარეთ შეკრებაზე წასვლა ხომ არ იგეგმება?**

- ჯერჯერობით გუნდის დაკომპლექტებაზე ვზრუნავთ და ამ ეტაპზე უცხოური შეკრებისგან თავს ვიკავებთ. სეზონისწინა შეკრებას ქუთაისში ან თბილისში გავივლით, საგაზაფხულო ეტაპისთვის კი აუცილებლად საზღვარგარეთაც მოვემზადებით.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ლეგიონის უქმეები

# მარცვალაძის მორიგი დუბლი

რუსეთის პირველი დივიზიონის მე-18 ტურში **ოთარ მარცვალაძემ** მნიშვნელოვანი მატჩი მოაგებინა „ვოლგას", სოჭში „ჟემჩუჟინას" კარში ქართველმა ფორვარდმა დუბლი შეასრულა და ნიჟნი ნოვგოროდის გუნდმა 2:0 მოიგო. ამ გამარჯვებით ომარ თეთრაძის გუნდმა 26 ქულით მე-7 ადგილზე გადაინაცვლა. შაბათს მარცვალაძემ **ალექსანდრე ჩიხრაძის** კარში 70-ე და 75-ე წუთებზე გაიტანა. მარცვალაძე ბოლოსწინა წუთზე შეცვალეს, ხოლო **ედიკ საჯაიამ** 90 წუთი ითამაშა. ქართველი ლეგიონერის ანგარიშზე 9 გოლი და 3 საგოლე პასია ჩემპიონატში. ამ მატჩში ჩიხრაძემ ისეთი სერიოზული ტრავმა მიიღო, რომ ამჟამადაც საავადმყოფოშია. მარცვალაძე პირველი გოლისას საჯარიმოში შეიჭრა, ჩიხრაძე მოატყუა და ცარიელ კარში გაიტანა, ხუთ წუთში კი უკვე შორეული მანძილიდან აჯობა მას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევროპის ლიგა

# ქართული კვარტეტი ბალკანეთზე იმსაჯებს

ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს ქართველი მსაჯებიც მოემსახურებიან. ჩერნოგორიულ „მოგრენსა" და ანდორას „სანტა კოლომას" შორის პირველი რაუნდის საპასუხო შეხვედრას, რომელიც პირველის მოედანზე ჩატარდება, ქართველი თემიდელები გაუძღვებიან - არბიტრი **დავით ხარიტონაშვილი** იქნება, ასისტენტები კი **ზაზა მენთეშაშვილი** და **გურამ ჩიგოგიძე**. მეოთხე მსაჯის ფუნქციას **ლევან კვარაცხელია** შეასრულებს. შეგახსენებთ, რომ ხარიტონაშვილი და კვარაცხელია ფიფას არბიტრები არიან, მენთეშაშვილსა და ჩიგოგიძეს კი ფიფას ასისტენტების კატეგორია აქვთ მინიჭებული.

**დავით ცაბაძე**

უცნაური ამბავი

# ფეხბურთი კონცერტის ნაცვლად...

რუსთავის „ოლიმპის" ყოფილმა კაპიტანმა **დავით იმედაშვილმა** ლენქორანის (აზერბაიჯანი) „ხაზართან" კონტრაქტი გააფორმა. ქართველი მცველი და მისი გუნდი ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადებიან. ამ რაუნდში „ხაზარს" მოლდოვურ „ოლიმპიასთან" სტუმრად, 1 ივლისს უწევს პირველი მატჩის გამართვა.

„ხაზარი" უკვე მოლდოვაშია და ადგილზე აგრძელებს მზადებას. იმედაშვილის გუნდმა მოლდოველები შოკში ჩააგდო. საქმე ისაა, რომ „ხაზარმა" მოსამზადებლად კიშინიოვის „ზიმბრუს" სტადიონი აირჩია. არადა, ამ არენაზე სახელგანთქმული **ტოტო კუტუნიოს** კონცერტია დანიშნული. ამ კონცერტის ორგანიზატორებს „ზიმბრუს" სტადიონის დირექციამ ბოლო მომენტში უარი უთხრა არენის დათმობაზე, და ეს მაშინ, როცა კონცერტზე დასასწრები ბილეთების (რომლის ფასიც 50-დან 300 ევრომდეა) დიდი ნაწილი უკვე გაყიდულია. იტალიელი პოპ-მომღერლის კონცერტის ორგანიზატორებს სხვა ადგილის მოძებნა დასჭირდათ.

**დავით ცაბაძე**

ქართველი მუნდიალზე

# პეტრიაშვილმა გერმანია-ინგლისს უდირექტორა

სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი საქართველოს ნაკრების გარეშე, მაგრამ... ქართველის მონაწილეობით მიმდინარეობს. გუშინდელი მერვედფინალის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა, როგორც იტყვიან, მსოფლიო ფეხბურთის კლასიკა - ინგლისისა და გერმანიის ნაკრებთა დაპირისპირება იყო. მატჩის დირექტორად ფიფამ **დავით პეტრიაშვილი** დანიშნა, თბილისის „დინამოს" ყოფილი მმართველი დირექტორი და საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს" ამჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტი, რაც უდავოდ საამაყო ფაქტია.

ფიფას 41 წლის ქართველი დირექტორი ფიფას ნდობით სარგებლობს, რაზეც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ მსოფლიოს ჩემპიონატამდე სტადიონების ინსპექტირება (ისევე როგორც მთელ აფრიკაში) სწორედ ქართველ სპეციალისტს მიანდო.

უეფას მედიაოფიცერ **მამუკა კვარაცხელიას** თქმით, პეტრიაშვილი ფიფასა და უეფაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და არაა გამორიცხული, მალე უეფაში სოლიდურ თანამდებობაზეც დააწინაურონ.

**მერაბ მამულაშვილი**

სიახლე თიაქრის მკურნალობაში




საყლაპავის და მუცლის თიაქრების
მკურნალობა ლაპარასკოპული მეთოდით
კონსულტაცია უფასოა
მედ. მეც. დოქტორი თენგიზ ჩართოლანი
ტელ: 77-19-06; 899 56-13-71; 33-78-74 (სახლი)
ჯანმრთელობის სახლი „არამიანცის" საავადმყოფო

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# შინაური ლეგიონერებით ჭიდაობენ

შარშან საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში არ გამართულა. წლეულს ეს მოხერხდა და ძიუდოს აკადემიაში ქვეყნის ყველა რეგიონის 100-მდე მოჭიდავემ იასპარეზა.

ეკონომიკური სიდუხჭირის გამო შეჯიბრება ერთ დღეში უნდა დასრულებულიყო, თანაც ორთაბრძოლები ერთ საჭიდაო სარბიელზე ტარდებოდა, რადგან მუსიკოსთა დასტა ერთია. თითო რეგიონს თითო მოჭიდავე უნდა წარედგინა წონით კატეგორიაში. ასეც მოხდა. მაგრამ ფალავნებით ცნობილმა შიდა ქართლმა 2-3 მოჭიდავე გამოიყვანა, მეტიც, აქაურები სხვა რეგიონის ღირსებასაც იცავდნენ...

წლევანდელ ჩემპიონატში იყო ერთი სიახლე. თუ ადრე 90 კილოგრამს ზევით ყველანი მძიმე წონაში ასპარეზობდნენ, ახლა, სპეციალისტების თხოვნით, შეჯიბრება 100 კილოშიც გაიმართა. სიახლემ გაამართლა. გამოიკვეთა კიდევ ერთი ახალი ტენდენცია. ზოგიერთი რეგიონი, მაგალითად, აჭარა, ფინანსური ნახალისებით თავის გუნდში აჭიდავებს სხვა რეგიონის სპორტსმენებს. ეს დასაშვებია, მაგრამ პარალელურად მათ ადგილობრივი ფალავნების მომზადებაზეც უნდა იზრუნონ, რათა გამართლებულად ჩაითვალოს ძლიერი მოჭიდავეების „სესხება" მეზობლებისგან...

ვერ ვიტყვით, რომ ჩემპიონატზე ვიხილეთ ფიცხელი ბრძოლები და ფანდების კასკადი, თუმცა თითოეული ქულისთვის ან მცირე უპირატესობის მოსაპოვებლად დაძაბული ჭიდილი იყო. მცირე გამონაკლისის გარდა, ჩემპიონატში ერთმანეთს ეპაექრებოდნენ ძიუდოისტ-სამბისტთა კარგად ნაცნობი წყვილები. ამიტომ ბევრ შერკინებაში დამატებით დროის დანიშვნაც გახდა საჭირო, რამდენჯერმე კი ძიუდოს მსგავსად „ჰანტეი" მოიშველიეს, როცა სამი მსაჯი ხელის გაშვერით წყვეტს გამარჯვებულის ბედს...

ხაშურელი **ზურაბ ნოზაძის** (70) ჩემპიონობა ერთგვარი სიურპრიზი იყო. ამ ბიჭმა დამაჯერებლად იბრძოლა მიზნის მისაღწევად. მესამედ გახდა საქართველოს ჩემპიონი **ზვიად ბაზანდარაშვილი** (80), რომელიც დღეს ქართულ ჭიდაობაში ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესოდ ითვლება. მას შარშანდელ ტურნირებში მცირე ჩავარდნები ჰქონდა, წლევანდელ ჩემპიონატზე კი უნაკლო იყო. მეორედ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები **გიორგი ტაბატაძე** (65) და **გიორგი ცოციაშვილი** (100 კგ).

რაც შეეხება მძიმე წონაში მოასპარეზე 2009 წლის საქართველოს ფალავანს **ადამ ოქრუაშვილს**, ნეკნის ტრავმის გამო ფინალში ვერ იჭიდავა და სამბოში ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **ვახტანგ ზოიძე** უბრძოლველად გამოცხადდა გამარჯვებულად. მძიმე წონაში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს პრიზიორებმაც - **ამირან ნაქაძემ** და **მირიან გონჯილაშვილმა**.

პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი **თევდორე აბელაშვილი** (100), ასევე პირველად მოიპოვა ჩემპიონობა **ამირან პაპინაშვილმა** (60), რომელიც საკმაოდ ცნობილი ძიუდოისტია და საქართველოს ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება.

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა სამბოში **მინდია ბოდაველმა** (90) ქართულში ქვემძიმეში (100) იასპარეზა და ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო. ჭიდაობის სხვა სახეობების მსგავსად, ჩემპიონატზე ორ-ორი მესამე პრიზიორი დაჯილდოვეს.

ამ ზაფხულს ქართულ ჭიდაობაში არაერთი ტურნირი ჩატარდება. შემოდგომაზე კი სოფლების პირველობა და საქართველოს ფალავნობა გაიმართება.

**კვარცხლბეკი**

**60 კგ:** 1. ამირან პაპინაშვილი (აჭარა), 2. გიორგი ტყემალაძე (აფხაზეთი), 3. გიორგი ნასყიდაშვილი (იმერეთი), 3. გოჩა გულბათაშვილი (მცხეთა-მთიანეთი).

**65 კგ:** 1. გიორგი ტაბატაძე (გორი), 2. მინდია ლილუაშვილი (იმერეთი), 3. ლევან ქოჩიევი (მცხეთა-მთიანეთი), 3. მიხეილ მეკოკიშვილი (საგარეჯო).

**70 კგ:** 1. ზურაბ ნოზაძე (ხაშური), 2. ბექა ბერიაშვილი (თბილისი), 3. ხვიჩა წიკლაური (ბათუმი), 3. ჯემალ გიგუაშვილი (ხაშური).

**80 კგ:** 1. ზვიად ბაზანდარაშვილი (აჭარა), 2. გოჩა ხუციშვილი (თბილისი) 3. ნოდარ კუდუხაშვილი (გორი), 3. ზაქრო მუმლაური (მცხეთა-მთიანეთი).

**90 კგ:** 1. გიორგი ცოციაშვილი, 2. ხვიჩა ხუციშვილი (ორივე — თბილისი), 3. თამაზ მუთოშვილი (ახმეტა), 3. პაატა ლვინიაშვილი (გორი).

**100 კგ:** 1. თევდორე აბელაშვილი (თბილისი), 2. გიორგი ბოლოთაშვილი (გორი), 3. მინდია ბოდაველი (მცხეთა-მთიანეთი), 3. ონისე ბულაძე (თბილისი).

**+100 კგ:** 1. ვახტანგ ზოიძე (აჭარა), 2. ადამ ოქრუაშვილი (მცხეთა-მთიანეთი), 3. მირიან გონჯილაშვილი (ახმეტა), 3. ამირან ნაქაძე (იმერეთი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

სუმო

ისევ სკანდალი

# რეიტინგი გადაიდო. ბაშო?



ტოჩინოშინი კოტომიცუკის ამარცხებს

წესით და რიგით, დღეს უნდა გამოქვეყნებულიყო სუმოს ახალი რეიტინგ-ლისტი, რომელიც ოფიციალურად დაადასტურებდა **ლევან გორგაძის (ტოჩინოშინი)** კომუსუბად „კურთხევას", ხოლო **თეიმურაზ ჯუღელის (გაგამარუ)** - ელიტელობას, მაგრამ სუმოს ასოციაციამ ბანძუკეს გამოცხადება გაურკვეველი ვადით გადადო. მიზეზი ის სკანდალია, რომელიც სამ კვირაზე მეტია, იაპონიაში მძვინვარებს - ამ ქვეყანაში სპორტის რამდენიმე სახეობაზე შეიძლება ტოტალიზატორში თამაში, უმატესობაზე კი აკრძალულია და ხალხი იატაკქვეშა ტოტალიზატორებს ეტანება, რომელთაც ხშირად იაპონური მაფია იაკუძა განაგებს. ბეისბოლი ქვეყანაში ყველაზე პოპულარული სახეობაა, თუმცა ტოტალიზატორში ფსონების დადება ამ სახეობაზე აკრძალულია. არადა, აღმოჩნდა, რომ ლამის ნახევარი სუმოს სამყარო ფსონებს არალეგალურ ტოტალიზატორებში ჩამოდიოდა...

ყველაზე ცნობილი სუმოისტი, რომელიც ამ ამბებში გაეხვა, ოძეკი **კოტომიცუკია.** სუმოს ასოციაციამ მას უკვე გამოუტანა განაჩენი — იგი ნაგოიას ბაშოს გამოტოვებს. ახლა ლაპარაკია რეკომენდაციაზე, რომლის თანახმადაც კიდევ 16 რიკიშის უნდა დაეკისროს სანქციები (შეიძლება, ანალოგიური). რაც მთავარია, ეს ყველაფერი საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის შედეგად კეთდება, თორემ თავიდან სუმოს ასოციაციამ კოტომიცუკის მიმართ სიტყვიერი გაფრთხილება იკმარა. საქმე იქითკენაც მიდის, რომ, შესაძლოა, კოტომიცუკი საერთოდ მოკვეთონ სუმოდან. თავად ოძეკიმ უკვე შეიტანა განაცხადი სპორტიდან წასვლის შესახებ, თუმცა მის დაკმაყოფილებას არ ჩქარობენ (ასეთ შემთხვევაში მას დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი უნდა გადაუხადონ). ტოტალიზატორის სკანდალში გარეულნი არიან ისეთი სუმოისტები, როგორებიც არიან ყოფილი ოძეკი **მიაბიამა, გოეიდო, ტოიოჰიბიკი** და სხვები.

თანამედროვე სუმოში პირველად მოხდა, რომ რეიტინგის გამოქვეყნების თარიღი გადაიდო. ამბობენ, რომ შეიძლება, არც ნაგოიას ბაშო დაიწყოს დროულად (11 ივლისი) ან სულაც გაუქმდეს. იაპონიის ტელეკომპანია ნჰკ სერიოზულად აპირებს სუმოს ტრანსლაციების შეწყვეტას, ხოლო ფირმა „ნაგატანი ენმა" უკვე გამოაცხადა, რომ აღარ დაასპონსორებს ინდივიდუალურ ორთაბრძოლებს. მოკლედ, სუმოს სამყაროს დიდი კრიზისი ელის. არადა, ახლახან გამოქვეყნებული რეიტინგის მიხედვით, სუმომ ბოლო ათწლეულში პოპულარობით პირველად გაუსწრო ფეხბურთს. ქართველები სკანდალში გარეულები არ არიან და შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ. დღეს სუმოს ასოციაციაში საგანგებო სხდომაა, რომელიც დამნაშავე რიკიშებს სასჯელს გამოუტანს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ძაგნიძე ერთპიროვნულად დაწინაურდა

ოთხი შესაძლებლიდან 3,5 ქულა - ასეთია ქართველი დიდოსტატის **ნანა ძაგნიძის** მონაგარი სომხურ ჯერმუკში, სადაც ქალთა ფიდეს გრან-პრის მეოთხე ტურნირი მიმდინარეობს. გასულ უქმეებზე რიონისპირელმა მოჭადრაკემ ორ შეხვედრაში ქულა-ნახევარი მოაგროვა. მესამე ტურში იგი შავი ფიგურებით ორგზის ევროპის ჩემპიონ **პია კრამლინგს** (შვედეთი) დაუზავდა, გუშინ კი 38-ე სვლაზე **ბაირა კოვანოვა** (რუსეთი) დაამარცხა. შაბათს ტურნირზე კიდევ ერთი პარტია დამთავრდა ყაიმით - ბაირა კოვანოვამ და **მაია ჩიბურდანიძემ** მოაწერეს ზავს ხელი. დანარჩენი პარტიები შედეგიანი აღმოჩნდა: **ჰოუ იფანი** (ჩინეთი)-**ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი) 1:0, **ანტუანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი)-**სიუ იუჰუა** (ჩინეთი) 1:0, **ელინა დანიელიანი** (სომხეთი)-**შენ იანი** (ჩინეთი) 1:0, **მარტა ფიერო** (ეკვადორი)-**ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი) 0:1.

მე-4 ტურში წარმატებას მიაღწია მაია ჩიბურდანიძემ, რომელმაც **მარტა ფიეროს** ძლევას 32 სვლა მოანდომა. ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა ტურნირის რეიტინგ-ფავორიტმა ჰოუ იფანმა - ამჯერად მან ევროპის ჩემპიონ ანტუანეტა სტეფანოვას გააჩერებინა საათი. ქულა გაიყვეს ლილით მკრტიჩიანმა-ტატიანა კოსინცევამ, შენ იანმაპია კრამლინგმა, სიუ იუჰუამ-ელინა დანიელიანმა.

4 ტურის შემდეგ: **ძაგნიძე - 3,5, კოსინცევა - 3, დანიელიანი, მკრტიჩიანი, ჩიბურდანიძე - 2,5, 2,5, ჰოუ იფანი, სტეფანოვა - 2-2, კოვანოვა, კრამლინგი, სიუ იუჰუა, შენ იანი - 1,5-1,5, ფიერო - 0 ქულა.**

დღეს მე-5 ტურში ითამაშებენ: **სტეფანოვა-მკრტიჩიანი, დანიელიანი-ჰოუ იფანი, კრამლინგი-სიუ იუჰუა, კოვანოვა-შენ იანი, ფიერო-ძაგნიძე, კოსინცევა-ჩიბურდანიძე.**

**ვაჟა დანელია**

ცურვა

# დიდ წყალს გემო გაუსინჯეს

თბილისის, რუსთავის, გორის, ჭიათურისა და ბაქოს ასზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა საქართველოს მოცურავეთა ღია ჩემპიონატში, რომელსაც „ოლიმპიკის" საწყლოსნო კომპლექსმა უმასპინძლა. ხალხმრავლობის მიუხედავად, ზოგიერთ დისციპლინაში 2-4 წარმომადგენელი იყო. ზოგიერთში კი ქალებს საერთოდ არ უასპარეზიათ. მაინცდამაინც არც შედეგები იყო სახარბიელო, თუმცა რამდენიმე ჭაბუკმა სპორტსმენმა დამაიმედებლად იცურავა.

— 1994 წლის შემდეგ პირველად გავმართეთ შეჯიბრება 50-მეტრიან აუზში, სპორტსმენები შეუჩვეველნი იყვნენ „დიდ წყალს". მადლობა „ოლიმპიკის" ხელმძღვანელობას, რომელმაც ოთხი დღე უსასყიდლოდ დაგვითმო აუზი ვარჯიშისა და შეჯიბრების ჩასატარებლად, - გვითხრა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი აბზიანიძემ.** - განსაკუთრებით მინდა გამოვყო 15 წლის **თემურ კობახიძე**, რომელსაც „ლაგუნა ვერეზე" მანანა ზამბახიძე ავარჯიშებს. 2-4 წლით უფროსებთან პაექრობაში მან სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. ახალი კლასიფიკაცია შარშან ოქტომბერში დაგვიმტკიცა ჩვენმა ფედერაციამ. იგი საკმაოდ გართულებულია, თუმცა საერთაშორისო მაჩვენებლებს ჩამორჩება. თავი გამოიჩინა 16 წლის ირაკლი ბოლქვაძემაც, რომელმაც 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში პირადი შედეგი გააუმჯობესა.

— **გინდა თქვათ, რომ გიორგი მთვრალაშვილს აჯობა...**

— დიახ, ასეა. მთვრალაშვილი აგვისტოში სინგაპურის მსოფლიოს ახალგაზრდობის პირველ ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებს, ამიტომ პიკისგან ჯერ შორსაა, თანაც წლეულს სკოლას ამთავრებს და გამოცდებისთვის ემზადება.

— **სამომავლოდ რა გაქვთ დაგეგმილი?**

— სამწუხაროდ, ნოემბრის ბოლომდე არაფერი. დეკემბრის შუა რიცხვებში დუბაი „მოკლე წყალზე" მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაზე მხოლოდ ირაკლი რევიშვილი და გიორგი მთვრალაშვილი გაემგზავრებიან. მანამდე კი ტრადიციულ თბილისის მერიის თასს გავათამაშებთ...

ახლა კი საქართველოს ღია ჩემპიონატის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გაგაცნობთ.

**თავისუფალი ყაიდა. 50 მ. ქალები.** 10 მონაწილე. 1. მაია კრიჟანოვსკაია (თბილისი, „ტონუსი", 29,99), 2. გვანცა ხინჩეგაშვილი (გორი, 30,97), 3. მაია ხრიკული (თბილისი, „ლაგუნა ვერე", 31,04). **ვაჟები.** 40 მონაწილე. 1. გიორგი ბუხრიკიძე (გორი, 24,92), 2. დავით სიხარულიძე („ტონუსი", 25,70), 3. ბორის კირილოვი (ბაქო, 26,0). **100 მ. ქალები.** 6 მონაწილე. 1. მაია კრიჟანოვსკაია („ტონუსი", 1.05,66), 2. მაია ხრიკული („ლაგუნა ვერე", 1.06,50), 3. გვანცა ხინჩეგაშვილი (გორი, 1.07,06); **ვაჟები.** 28 მონაწილე. 1. გიორგი ბუხრიკიძე (გორი, 53,81), 2. დავით სიხარულიძე („ტონუსი", 55,33), 3. გიორგი მთვრალაშვილი („ტონუსი", 56,47). **200 მ. ქალები.** 3 მონაწილე. 1. გვანცა ხინჩეგაშვილი (გორი, 2.28,80), 2. სოფიო სალარაძე („ტონუსი", 3,00,23). **ვაჟები.** 13 მონაწილე. 1. ირაკლი რევიშვილი („ტონუსი", 1.59,57), 2. ირაკლი ბოლქვაძე („ტონუსი", 2.02,93), 3. დავით სიხარულიძე („ტონუსი", 2.07,62). **400 მ. ვაჟები.** 4. მონაწილე. 1. ირაკლი რევიშვილი („ტონუსი", 4.15,06), 2. ცოტნე მაისურაძე (რუსთავი, 4.25,65), 3. ნიკა ყაულაშვილი (რუსთავი, 5.29,57). **800 მ.** 3 მონაწილე. 1. ირაკლი რევიშვილი („ტონუსი", 9.07,23), 2. ცოტნე მაისურაძე (რუსთავი, 10.12,87), 3. ნოდარ მარგველაშვილი (რუსთავი, 12.38,24). **1500 მ.** 4 მონაწილე. 1. ცოტნე მაისურაძე (რუსთავი, 19.08,50), 2. ირაკლი ლომიძე (19.29,55), 3. გიორგი შირიაევი (რუსთავი, 21.30,25). **ესტაფეტა, 4X50მ. გოგონები.** 1. „ლაგუნა ვერე" (2.08,76), 2. „ტონუსი" (2.20,37), 3. გორი (2.20,38). **ვაჟები.** 1. „ტონუსი" (1.43,49), 2. გორი (1.46,86), 3. „ლაგუნა ვერე" (1.47,16). **4X100მ. ქალები.** 1. „ლაგუნა ვერე" (5.01,74), 2. გორი (5.29,19). **ვაჟები.** 1. „ტონუსი" (3.52,03), 2. გორი (4.02,30), 3. „ლაგუნა ვერე" (4.02,63).

**გულაღმა ცურვა. 50 მ. ქალები.** 8 მონაწილე. 1. ანა ლომინაძე („ლაგუნა ვერე", 36,86), 2. მარიამ გაფრინდაშვილი (ჭიათურა, 39,63), 3. საიდა კაჯიევა (ბაქო, 39,64). **ვაჟები.** 10 მონაწილე. 1. ბორის კირილოვი (ბაქო, 29,69), 2. დავით ბარდაველიძე („ლაგუნა ვერე", 31,32), 3. გიორგი შირიაევი (რუსთავი, 31,66). **100 მ. ქალები.** 7 მონაწილე. 1. ანა ლომინაძე („ლაგუნა ვერე", 1.21,87), 2. საიდა კაჯიევა (ბაქო, 1.24,84), 3. მარიამ გაფრინდაშვილი (ჭიათურა, 1.25,75). **ვაჟები.** 10 მონაწილე. 1. ბორის კირილოვი (ბაქო, 1.04,14), 2. გიორგი შირიაევი (რუსთავი, 1.08,25), 3. ირაკლი ლომიძე (1.09,73). **200 მ. ქალები.** 6 მონაწილე. 1. ანა ლომინაძე („ლაგუნა ვერე", 2.58,13), 2. საიდა კაჯიევა (ბაქო, 2.58,75), 3. მარიამ გაფრინდაშვილი (ჭიათურა, 3.06,0). **ვაჟები.** 8 მონაწილე. 1. ბორის კირილოვი (ბაქო, 2.17,65), 2. ნიკა კოკელაძე („ლაგუნა ვერე", 2.34,34), 3. ზურაბ ხაბაზი („დილომი", 2.39,89).

**ბრასი. 50 მ. ქალები.** 10 მონაწილე. 1. ეკა კაჭახიძე („ლაგუნა ვერე", 37,93), 2. ოქსანა გატამხანოვა (ბაქო, 39,00), 3. მაია ხრიკული („ლაგუნა ვერე", 40,91). **ვაჟები.** 26 მონაწილე. 1. ირაკლი ბოლქვაძე („ტონუსი", 31,84), 2. ირაკლი შენგელია („ტონუსი", 32,00), 3. გოგა კეკელია („ლაგუნა ვერე", 33,81). **100 მ. ქალები.** 7 მონაწილე. 1. ეკა კაჭახიძე („ლაგუნა ვერე", 1.25,79), 2. ოქსანა გატამხანოვა (ბაქო, 1.27,52), 3. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 1.35,29). **ვაჟები.** 16 მონაწილე. 1. ირაკლი შენგელია („ტონუსი", 1.09,27), 2. ოთარ ხატიაშვილი („ტონუსი", 1.13,06), 3. დავით ბარდაველიძე („ლაგუნა ვერე", 1.20,18). **200 მ. ქალები.** 7 მონაწილე. 1. ეკა კაჭახიძე („ლაგუნა ვერე", 3.06,03), 2. ოქსანა გატამხანოვა (ბაქო, 3.15,24), 3. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 3.23,06), **ვაჟები.** 12 მონაწილე. 1. ირაკლი შენგელია („ტონუსი", 2.31,86), 2. რუსლან ბალშაკოვი (ბაქო, 2.53,75), 3. დავით ბარდაველიძე („ლაგუნა ვერე", 3.02,03).

**ბატერფლაი. 50 მ. ვაჟები.** 6 მონაწილე. 1. თემურ კობახიძე („ლაგუნა ვერე", 27,34), 2. გოგა კეკელია („ლაგუნა ვერე", 28,77), 3. დავით მურჯიკნელი („დილომი, 29,07). **100 მ.** 9 მონაწილე. 1. ოთარ ხატიაშვილი („ტონუსი", 1.00,10), 2. გიორგი ბუხრიკიძე (გორი, 1.00,69), 3. თემურ კობახიძე („ლაგუნა ვერე", 1.00,75).

**კომპლექსური ცურვა, 200 მ.** 8 მონაწილე. 1. ირაკლი ბოლქვაძე („ტონუსი, 2.16,00), 2. გიორგი მთვრალაშვილი („ტონუსი", 2.16,27), 3. დავით სიხარულიძე („ტონუსი", 2.22,45), **400 მ.** 2 მონაწილე. 1. ირაკლი ბოლქვაძე („ტონუსი", 4.48,09), 2. ცოტნე დევდარიანი (რუსთავი, 6.07,72).

**4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა. ვაჟები:** 1. „ტონუსი 1" (4.13,68), 2. „ტონუსი 2" (4.27,21), 3. „ლაგუნა ვერე" (4.27, 87).

**ვაჟა დანელია**

ძიუდო

# მხოლოდ თითო ვერცხლი და ბრინჯაო ტეპლიცედან

EC JUDO CADETS 2010 TEPLICE

ჩეხეთის ქალაქ ტეპლიცეში, გაიმართა კადეტ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე, **რამაზ ჩოჩიშვილის** შეგირდებმა ორი მედალი მოიპოვეს: ვერცხლი და ბრინჯაო. 81 კგ წონით კატეგორიაში **ლაშა ტაველურმა** ფინალში წააგო პოლონელ **მარცინ გმურეკთან.** პოლონელი ევროპის ჩემპიონი იმის წყალობით გახდა, რომ მხოლოდ ერთი გაფრთხილება მიიღო, ტაველურმა კი - ორი. 61 კგ წონაში მოასპარეზე **მიხეილ მეზურნიშვილმა** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მან ეს რეპეშაჟის გავლით შეძლო, მას შემდეგ, რაც ჯგუფში აზერბაიჯანელ **ჰუსეინ რაჰიმლისთან** წააგო. მე-5 ადგილს დასჯერდნენ **უშანგი გასიტაშვილი** (90 კგ), **პავლე ქავთარაძე** (66) და **თამაზ ონიანი** (73). წარუმატებლად გამოვიდნენ **გელა კელეხაშვილი** (50), **ომარ ნიაზაშვილი** (55) და **კარლო ნემსიწვერიძე** (90+). ჩვენებმა ვაჟთა შორის მე-8 გუნდური შედეგი აჩვენეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

# ზაზა ნაკრებს 5 ივლისს შეუერთდება

## ფაჩულია მსოფლიოზე ბრაზილიას ქომაგობს

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტაში" მწვრთნელი შეეცვალა; NBA-ს ფინალი „ლეიკერსმა" მოიგო; მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე ჯგუფური ეტაპი გადალახეს ბრაზილიამ და ესპანეთმა...

აი, ამ საინტერესო ამბებზე მოგვითხრობს საქართველოს ნაკრების კაპიტანი. დავიწყოთ „ატლანტას" მწვრთნელის ცვლილებით:



- მაიკ ვუდსონი ლარი დრიუმ შეცვალა. ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ვარჯიში ჩემთვის საინტერესო იქნება. ლარი 6 წლის განმავლობაში „ატლანტაში" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო, შესაბამისად, მას შესანიშნავად ვიცნობ. იგი სათადარიგოებს გვავარჯიშებდა და კარგად ვიცი მისი მუშაობის სტილი - ჭკვიანი სპეციალისტია, იცის, როგორ წარმართოს თამაში. დარწმუნებული ვარ, მისი ხელმძღვანელობით შეტევაში უკეთესად ვითამაშებთ.

ზაზა „ატლანტას" კაპიტნის საკითხსაც შეეხო. მან შეგვახსენა, რომ **ჯო ჯონსონი** თავისუფალი აგენტია და იმედი გამოთქვა, რომ მომავალ სეზონში იგი ისევ „ჰოქსის" მაისურით ითამაშებს. ფაჩულიამ განმარტა, რომ რთული სეზონის შემდეგ დასვენება აუცილებელი იყო. თუმცა არდადეგები დასრულდა და ვარჯიშს უკვე შეუდგა:

- დროა, დარბაზს დავუბრუნდე, რადგან ამ ზაფხულს საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ერთად რთული მისია მაქვს შესასრულებელი - ევრობასკეტი 2011-ის შესარჩევი ტურნირი გველის. შეიძლება, შინ ჯდომა და საზაფხულო დასვენების გახანგრძლივებაც კარგი იყოს, მაგრამ საქართველოს ნაკრებში თამაში ძალიან მიყვარს და ყოველთვის განსაკუთრებულად ვემზადები. ეროვნულ გუნდს 5 ივლისს შევუერთდები.

მანამდე ზაზას თურქეთში მოუწევს შევლა. სტამბოლში NBA-ს კემპი იმართება („კალათბურთი საზღვრებს გარეშე")...

- თურქეთში ჩასვლა ყოველთვის მიხარია. იქ ექვსი წელი ვთამაშობდი, უამრავი მეგობარი და ქომაგი შევიძინე.

ზაზამ საკუთარი მოსაზრება NBA-ს ფინალთან დაკავშირებითაც დააფიქსირა:

- როგორც იქნა, ფინალური სერია დასრულდა. საოცარი სანახაობა იყო. ჩემპიონის გამოსავლენად შვიდი მატჩი გაიმართა. ერთ დღეს იფიქრებდი, რომ პირველობა „ლეიკერსს" უნდა დარჩენოდა, მეორე დღეს საჩემპიონო თამაშს „ბოსტონი" უჩვენებდა... ფინალურ მატჩებს დაკვირვებით ვუყურებ, ვცდილობ, გავიაზრო, როგორ მოვიქცევით ჩვენ, გადამწყვეტ შეხვედრებში რომ მოგვიწიოს მონაწილეობამ. იმედი მაქვს, ერთხელაც ფინალურ სერიაში ვითამაშებთ...

ბოლოს ზაზა სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს შეეხო. იგი თურმე, იტალიას ქომაგობდა...

- მსოფლიოს ჩემპიონატს სიამოვნებით ვუყურებ. ჩემი ფავორიტი იტალია იყო, მაგრამ აშკარაა, წლეულს ისეთივე ძლიერი გუნდი არ ჰყავთ, როგორიც ოთხი წლის წინათ. დასანანია, რომ იტალიელებმა ნაადრევად დაასრულეს გამოსვლა. ჩემი აზრით, ჩემპიონატზე ორი გამორჩეული გუნდია - ბრაზილია და ესპანეთი. ვფიქრობ, ფიფას თასს ბრაზილიელები ასწევენ. ასევე, მინდა ხაზგასმით ალვნიშნო ამერიკის ნაკრების თავგანწირული თამაში.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ნაკრების მეტოქე

# პორტუგალიამაც ჩამოთვალა

**პოლონეთისა** და ბულგარეთის შემდეგ შესარჩევი ტურნირისთვის მზადებას პორტუგალიელებიც შეუდგნენ. მათმა მწვრთნელმა **მონჩო ლოპესმა** გამოცდილ შემადგენლობას რამდენიმე ახალგაზრდა დაამატა. გუნდშია ნატურალიზებული ახალწვეული **ჰეშიმუ ევანსი**, რომელმაც პორტუგალიელი ცოლი მოიყვანა და მოქალაქეობა ამ გზით მიიღო.

*- ჰეშიმუ ევანსსა და მიგელ გრაჩას შორის ასაკში 12-წლიანი სხვაობაა, თუმცა ვფიქრობ, ისინი ერთმანეთს კარგად შეეწყობიან. ამერიკელი ევანსი დიდი ძალაა – მას ჩვენს ნაკრებში დებიუტი ექნება, - აღნიშნა პორტუგალიელთა დამრიგებელმა.*

საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქე 7 საკონტროლო შეხვედრას გეგმავს: 11 და 12 ივლისს პორტუგალიურ რიო მარში ფინეთის ნაკრებს დაუხვდება, 18 და 19 ივლისს ამავე ქალაქში ისრაელის ეროვნულ გუნდს გაეჯიბრება, ხოლო 23-25 ივლისს საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. პორტუგალიაში სათამაშოდ ჩავლენ უნგრეთი, იორდანია და ანგოლა.

2 აგვისტოს კი ოვარენსეში პორტუგალია ბულგარეთს მიიღებს. სწორედ ამ მატჩით გაიხსნება შესარჩევი ტურნირი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| პორტუგალია | | | |
|---|---|---|---|
| მოთამაშე | სმ | დაბ | გუნდი |
| მარიო ფერნანდესი | 176 | 1982 | მადეირა |
| პედრო პინტუ | 186 | 1988 | ბარეირენსე |
| მიგელ მინავა | 197 | 1983 | ბენფიკა |
| მიგელ გრაჩა | 186 | 1987 | ბარეირენსე |
| კარლოს ანდრადე | 197 | 1978 | პორტუ |
| ხაიმე სილვა | 187 | 1980 | გიმარაეში |
| ჟოაო გომეში | 199 | 1985 | ბრეოგანი (ესპანეთი) |
| ჟოაო სანტოსი | 205 | 1979 | ბენფიკა |
| ჰეშიმუ ევანსი | 198 | 1975 | ბენფიკა |
| ჟორჟე კოელიო | 200 | 1978 | პორტუ |
| მიგელ მირანდა | 205 | 1978 | ოვარენსე |
| ნუნუ კორტესი | 205 | 1982 | ოვარენსე |
| დავიდ გომესი | 200 | 1986 | პორტო |
| ანდრე პინტუ | 200 | 1980 | ოვარენსე |
| ფრანსისკო ჟორდაო | 203 | 1979 | აგოსტო |

*მწვრთნელი: მონჩო ლოპესი*

ჩოგბურთი





# თითქმის უცვლელი სცენარით

## ჩოგბურთელთა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მასპინძლებმა 4 პირველი და ამდენივე მეორე ადგილი დაიკავეს

**გულშემატკივრებს** დიდხანს ემახსოვრებათ „დინამოს" კორტებზე „დათოს და რენას თასის" გათამაშების ფინალური ორთაბრძოლა 16-წლიან ვაჟებში. ერთმანეთს ტურნირზე პირველ და მეორე ნომრებად განთესილი თანაგუნდელები — **მიხეილ ხმიადაშვილი** და **ნიკა დოლიძე** დაუპირისპირდნენ. პირველი ხელი დაძაბულ ბრძოლაში დოლიძემ 7:6 მოიგო. მეორე სეტი ასეთივე ანგარიშით ხმიადაშვილის სასარგებლოდ დასრულდა, თუმცა მან მატჩში საბოლოო გარდატეხის შეტანა ვერ შეძლო და მესამე სეტი ისევ 6:7 დათმო. დოლიძე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეორედაც ავიდა — **ლუკა ფილფანთან** ერთად წყვილებში გადამწყვეტი პაექრობა **გიორგი ჯავახიშვილსა** და **ანდრეი რეჩკის** მოუგო — 6:4, 3:6, 10:5. ამ ასაკის გოგონებში მთავარი პრიზი კვლავ მოსკოველმა **თამარ ფიჩხაძემ** მოიპოვა. ფინალში მან, როგორც თბილისს თასზე, **ანი გოგვაძეს** აჯობა — 6:2, 6:3, სამაგიეროდ, ანიმ **ბარბარე ერისთავთან** ერთად წყვილთა დუელში აიღო რევანში. თბილისელთა დუეტმა ფიჩხაძე და **ალინა ზუბკოვა** (ბელარუსი) დაჯაბნა — 6:3, 7:6.

ერთი კვირის წინათ თბილისის თასზე 14-წლიან ვაჟებში სომეხმა **მიქაელ ავეტისიანმა** პირველ ნომრად განთესილი **შოთა მეფარიძე** დაამარცხა. „დინამოს" კორტებზეც მათმა დაპირისპირებამ გადაწყვიტა პირველი ადგილის ბედი. ავეტისიანმა ამჯერადაც სძლია (6:1, 6:3) ჩვენებურს და მთავარი პრიზი დაიმსახურა. გოგონათა ფინალმა ამჯერად უქართველებოდ ჩაიარა. პირველი ადგილი რუსმა **ოლგა შარიპოვამ** დაიკავა, მან **იანა მინასიანი** (მოლდოვა) დაჯაბნა — 6:2, 7:6. წყვილთა პაექრობები კი ასე დამთავრდა: გოგონები. **მარიამ დგებუაძე, ლიზი ნადიბაიძე** (საქართველო)-**მინა გუნერ კარამერკანი, ეგე თომი** (თურქეთი) 7:5, 7:6. **ვაჟები. მიქაელ ავეტისიანი** (სომხეთი), **ბორის პოკოტილოვი** (რუსეთი)-**მაქსიმ ბულატი** (მოლდოვა), **სტეფანოს ციციპასი** (საბერძნეთი) 6:4, 6:3.

**ვაჟა დანელია**

# ფინალური მარცხი

**ფრანგულ** ქალაქ პერიგოში დასრულდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის ფინალშიც **მაკა ჩახნაშვილმა** (201) ითამაშა. მე-4 ნომრად განთესილი ქართველი 25 წლის ჩეხ **პეტრა ჩეტკოვსკას** შეხვდა (245) იყო. ორი წლის წინათ ჩეტკოვსკა მსოფლიოს 49-ე ჩოგანი იყო, ახლა კი კლასიფიკაციაში უპირატესობა მაკასკენაა, თუმცა, ისევე, როგორც ამ ჩოგბურთელების წინა ორი დაპირისპირება, ესეც ჩეხის გამარჯვებით დასრულდა - 6:2, 1:6, 1:6. ჩვენებურმა 34 სარეიტინგო ქულა მიიღო და, რადგან შარშანდელი შედეგი (მაშინ პერიგოში ნახევარფინალში დამარცხდა) გააუმჯობესა, მსოფლიო კლასიფიკაციის 200-ეულს დაუბრუნდება. ჩახნაშვილი ორშაბათიდან ესპანურ პოსობლანკოში, 50-ათასიან ტურნირში ჩაებმება.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფრენბურთი

საქართველოს პირველობა

# ხუთი ჩვენი და ერთიც სომხეთიდან

**ქუთაისის**, რუსთავის, ბოლნისის, თბილისისა და თეთრი წყაროს გუნდების გარდა, 1994-95 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის ბოლნისში მიმდინარე საქართველოს პირველობაში კონკურსგარეშე სომხეთის 16-წლამდელ გოგონათა ნაკრებიც მონაწილეობს. ტურნირზე „დუშეთსაც" ელოდნენ, მაგრამ გუნდი ბოლნისში ვერ ჩავიდა.

პირველ ტურში „ქუთაისმა", რომლის რიგებშიც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში გამოცდილებამიღებულმა რამდენიმე ფრენბურთელმა იასპარეზა, „რუსთავი" 3:1 დაამარცხა. რუსთაველებმა ქუთათურებს მხოლოდ მესამე სეტში გაუწიეს წინააღმდეგობა - 26:24 დაამარცხეს, დანარჩენი სამი სეტი კი რიონისპირელების იოლი გამარჯვებით დასრულდა (25:8, 25:14, 25:6). ტურნირის მასპინძელმა „ბოლნისმა", რომლის წევრებიც ასევე საქართველოს ჩემპიონატში გამოიწვრთნენ, სომხეთს 3:1 მოუგო. „თბილისმა" თეთრი წყაროს გუნდს სძლია 3:0. საქართველოს პირველობა კიდევ ოთხ დღეს გასტანს და 30 ივნისს გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდებიან, რომლებიც შესაბამისად, მედლებითა და თასებით დაჯილდოვდებიან.

**დავით კოხრეიძე**

*__რედაქციისაგან:__ ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა საქართველოში ფრენბურთის ტრადიციების ასაღორძინებლად. მუშაობა რეგიონებშიც გამოცოცხლდა, მაგრამ აი, დუშელებმა, რომლებსაც საქართველოს პირველობაზე ელოდნენ, ორგანიზატორებს იმედი გაუცრუეს.*

*მიზეზთა გამო, ვერ ჩამოვდივართო, - შემოუთვლიათ. ეს არასერიოზულია. მიზეზი ან არის, ან არ არის, ხოლო თუ არის, სახელიც უნდა დავარქვათ. პასუხს დუშელებისგანაც და ფედერაციისგანაც დაველოდებით.*

საქართველოს თასი


ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო

# თასის ოთხი პრეტენდენტი გაირკვა

**ლელო-არმაზი 30:12**

ლელო (15-9) ყიასაშვილი, თოდუა (ცერცვაძე 40), კორკელია (ანდღულაძე 74), ლომინაძე, ჯოგლიძე (ზაალიშვილი 74), ხიპაშვილი, თოფურია. (1-8) მირცხულავა (პატარაია 76), ჭყონია (გაბელია 76), სუჯაშვილი (ცხოვრებაშვილი 45), ხორბალაძე, ჯალალონია (მაისურაძე 41), კვერნაძე (ჭყოიძე 43), სარდანაშვილი, აზალაძე

*3ლ: ჯოგლიძე, კვერნაძე, ზაალიშვილი. 3გ,3ს: ყიასაშვილი*

არმაზი (15-9) კოტორაშვილი, გაბროშვილი, მიქიაშვილი (ხუციშვილი 41), კაიფაჯიანი (სირაძე 61), ჩხაიძე (ბაქანიძე 68), კიკნაძე, მჟავანაძე. (1-8) ბუკია (ჩომახიშვილი 46), სოსელია, ქართველიშვილი, ესართია (თაგაური 46), ჯიშკარიანი (ჭელიძე 41), კანდელაკი, ი.მინაშვილი (თიგიშვილი 41), ო.მინაშვილი.

*2ს,2ა: კიკნაძე*

მსაჯი: ნ.რობიტაშვილი

საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალურმა შეხვედრებმა სენსაციების გარეშე ჩაიარა. საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი, თბილისის „ლელო" ვარკეთილის მეურნეობის სარაგბო მოედანზე „არმაზს" დაუპირისპირდა და დამაჯერებლად დაამარცხა - 30:12.

ალსანიშნავია, რომ არმაზელებმა ამ გუნდების საჩემპიონატო შეხვედრაშიც მხოლოდ 12 ქულის მოგროვება შეძლეს. „ლელოს" ანგარიშზე კი 34 ქულა იყო.

ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს ძირითადის რამდენიმე წევრი აკლდა. ბუქარესტის ტურნირზე დაშავდნენ და ვერ ითამაშეს მგეზავმა **ლაშა ხმალაძემ** და მესამეხაზელმა **ვიქტორ კოლელიშვილმა**. ასევე ტრავმების გამო დააკლდნენ გუნდს ცხრა ნომერი **გიორგი კაჭარავა** და მეორეხაზელი **ირაკლი დაუშვილი**.

თამაში საკმაოდ მძიმედ დაიწყო. ანგარიში მე-12 წუთზე „არმაზის" მგეზავმა **დავით კიკნაძემ** საჯარიმოთი გახსნა - 3:0. სამ წუთში ლელოელებმა, რომელთა შერკინება სტატიკურ მდგომარეობებში მეტოქისას ბევრად სჯობდა, „არმაზს" ლელო გაუტანეს. რამდენიმეფაზიანი შეტევა გარემარბმა **ალექსანდრე თოდუამ** მარჯვენა ფრთაზე გააგრძელა, ხაზი გაჭრა და ბურთი იქვე მიმყოლ კიდევ ერთ გარემარბ **გოდერძი ჯოგლიძეს** გაატანა, რომელმაც ლელო ძელებს შორის გაიტანა. ყიასაშვილმა გარდასახა - 7:3.

სამწუხაროდ, ტაიმის მიწურულს საქართველოს ნაკრების გარემარბმა ალექსანდრე თოდუამ ფეხი მოიტეხა და, სავარაუდოდ, თამაშს წლის ბოლომდე ველარ შეძლებს.

11 წუთში ყიასაშვილმა საჯარიმოთი სხვაობა შვიდ ქულამდე გაზარდა, თუმცა კიკნაძემ სამ წუთში საჯარიმოთივე უპასუხა - 6:10. როგორც უკვე ვთქვით, „ლელო" მეტოქის შერკინებას აშკარად ჯაბნიდა. 32-ე წუთზე არმაზელთა ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში მათ სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა, თუმცა მეტოქის მიძალებას ვერ გაუძლეს, ბურთის შერკინებიდან დროულად გამოტანა ვერ მოახერხეს, რითაც ლელოელთა მესამეხაზელმა **ვასილ კვერნაძემ** კარგად ისარგებლა: ბურთი მეტოქეს ხელიდან გამოსტაცა და ლელოში გადადო. ყიასაშვილმა გარდასახა - 17:6. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმის ოცი წუთი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. თუმცა 52-ე და 58-ე წუთებზე დავით კიკნაძემ ორჯერ არეკნით გაიტანა და ანგარიშში სხვაობა ხუთამდე შეამცირა - 12:17. „არმაზს" მატჩის გადარჩენის შანსი გაუჩნდა, მაგრამ ლელოელებმა ძალების მობილიზება შეძლეს. მათი თამაში შეცვლაზე შესულმა მორაგბეებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს. შედეგად, კიკნაძის ორ არეკნს ყიასაშვილმა ორი საჯარიმოთი უპასუხა და სხვაობა ისევ 11 ქულამდე გაზარდა - 23:12.

74-ე წუთზე შუამარბი **ნონო ანდღულაძე** და გარემარბი **ზურაბ ზაალიშვილი** შეცვლაზე ერთდროულად შემოვიდნენ. ორ წუთში „ლელოს" მიერ გატანილი მესამე ლელო სწორედ მათი აქტიურობის შედეგია. ლელოელებმა შეტევა საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან წამოიწყეს და ხელდახელ ბურთაობით მეტოქის ჩათვლის მოედნამდე მიაღწიეს. ლელო ზაალიშვილმა მიითვალა, ყიასაშვილმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა - 30:12.

**მეოთხედფინალი**

| | |
|---|---|
| ბათუმი XV - ხარები | 20:18 |
| ლოკომოტივი-აკადემია | 23:3 |
| აია - ვისოლი\ყორჩები | 17:13 |

**ნახევარფინალი.**

1-7 ივლისი

ლელო - აია

ლოკომოტივი - ბათუმი XV

ტესტები

# ტესტები სენსაციით დასრულდა

ივნისის ტესტების ბოლო ტური ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ბობოლათა კრახით დასრულდა. ექვსი ერის წლევანდელმა გამარჯვებულმა, საფრანგეთის ნაკრებმა კი სენსაციური მარცხი განიცადა ბუენოს აირესში არგენტინის ეროვნულ გუნდთან მატჩში - 13:41.

მას შემდეგ, რაც „პუმებმა" შინ ზედიზედ ორჯერ წააგეს ექვსი ერის ერთ-ერთ „მაჩანჩალასთან", შოტლანდიის ნაკრებთან, ძნელად თუ ვინმე ივარაუდებდა, რომ ფრანგები მასპინძლებს ვერ დაამარცხებდნენ. „ლე ბლეს" წირვა საფრანგეთის ჩემპიონატში დაოსტატებულმა, **დავით ქუბრიაშვილის** თანაგუნდელმა, მგეზავმა **ფელიპე კონტეპომიმ** გამოუყვანა. მან გუნდს 31 ქულა შესძინა. ფელიპეს ანგარიშზე ორი ლელო, სამი გარდასახვა და ხუთი საჯარიმოა.

ალსანიშნავია, რომ არგენტინელებმა ფრანგები რეკორდული სხვაობით დაამარცხეს. აქამდე „პუმებს"ყველაზე დიდი ანგარიშით „ლე ბლე" დამარცხებული 2007 წლის მსოფლიო თასის გათამაშებაში ჰყავდათ - 34:10.

არადა, პირველი ტაიმის 30 წუთით თუ ვიმსჯელებთ, სტუმართა გუნდს ასეთი კატასტროფული მარცხი, წესით, არ უნდა განეცადა. არგენტინელები ამ დროისთვის კონტეპომის სამი საჯარიმოს წყალობით სამი ქულის სხვაობით იგებდნენ - 9:6. გადამწყვეტ უპირატესობას „პუმებმა" პირველი ტაიმის მიწურულსა და მეორე ნახევრის საწყის ათ წუთში მიაღწიეს, როცა ჯერ მესამეხაზელმა **ხუან მარტინ ფერნანდეს ლობემ**, ხოლო შემდეგ ფელიპე კონტეპომიმ თითოჯერ დაალელოვეს მეტოქე. არგენტინელთა მგეზავმა ორივე ლელო გარდასახა და ერთი საჯარიმოც მიუმატა - 26:6.

ფრანგები ფრთაშესხმული, იშტაზე მოსული მეტოქის წინაშე უსუსურად გამოიყურებოდნენ. „ლე ბლეს" არსენალში არაფერი აღმოაჩნდა არგენტინელთა მიძალების დასაპირისპირებლად.

*„გაოგნებული ვარ. ასე როგორ დავუძლურდით, ვერ ამიხსნია. გუნდისგან თავგანწირულ ბრძოლას ველოდი აქაც და სამხრეთ აფრიკაშიც, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. ჩემი გუნდი სასაცილოდ გამოიყურებოდა. ეს საშინელება იყო"* - თქვა მატჩის შემდეგ ფრანგთა თავკაცმა **მარკ ლიევრემონმა.**

საკმაოდ ძნელი გამარჯვება იზეიმა ბრისბენში, ირლანდიის ნაკრებთან მატჩში ავსტრალიის ეროვნულმა გუნდმა. ერთი კვირის წინ სიდნეიში ინგლისთან წაგების შემდეგ „ვოლაბების" ახალ, საკმაოდ ნიჭიერ თაობას ბევრი რამ ჰქონდა დასამტკიცებელი.

მართალია, ავსტრალიელებმა თამაში მოიგეს, მაგრამ ძალიან გაუჭირდათ. არადა, „სამყურებს" სულაც არ უთამაშიათ ოპტიმალური შემადგენლობით. მეტიც, პირველი ტაიმის განმავლობაში ანგარიშში წინ მუდმივად სტუმრები იყვნენ. მათმა მგეზავმა **ჯონათან სექსტონმა,** რომელიც **რონან ოგარას** სათადარიგოდ მიიჩნევა, ხუთიდან ხუთივე საჯარიმო გაიტანა და 35-ე წუთისთვის ირლანდია 15:11-ს იგებდა.

ტაიმის ბოლო წუთზე უკვე ავსტრალიელთა მგეზავმა **ქუადე კუპერმა** იყოჩაღა, საკმაოდ ეფექტური ლელო გაიტანა და „ვოლაბებს" ტაიმი მინიმალური სხვაობით - 16:15 მოაგებინა. მეორე ტაიმში სტუმრებმა მონაგარს ვერაფერი შემატეს. ავსტრალიელთა შუამარბმა **მეთ გიტომ** კი ორი საჯარიმოს გატანა მოახერხა და მასპინძლებს საკმაოდ მძიმე გამარჯვება მოუტანა.

წარმატება, ცხადია, კარგი და სასიხარულოა, მაგრამ მატჩის შემდეგ „ვოლაბების" კაპიტან **როკი ელსომის** წარბშეკრული სახის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, გუნდში იმდენი პრობლემაა დაგროვილი, ნამდვილ ნეტარებამდე ჯერ კიდევ შორია.

სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა, რომელმაც ერთი კვირის წინანდელი მატჩისგან განსხვავებით უფრო ძლიერი შემადგენლობით ითამაშა, როგორც მოსალოდნელი იყო, იტალიის ეროვნული გუნდი დიდი ანგარიშით - 55:11 დაამარცხა.

„ბოკემ" გადიდგულებულ „სკუადრა აძურას" შვიდი ლელო გაუტანა, აქედან ორი მგეზავ **მორნი სტეინის** ანგარიშზეა. ამის გარდა, მორნიმ ექვსი გარდასახვა და ორი საჯარიმო გაიტანა (28 ქულა).

ჰემილტონში მორიგი გამარჯვება იზეიმა ახალი ზელანდიის ნაკრებმა. „ოლ ბლექსმა" ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ევროპული სარაგბო ქვეყნის, უელსის ნაკრები 29:10 დაამარცხა. სტუმრებმა მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ნახევარში გასწიეს. ორ ტაიმზე უელსელებს ძალა აღარ ეყოთ.

ერთი სიტყვით, ივნისის ტესტები დამთავრდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩების უმრავლესობა სამხრეთელთა გამარჯვებით დასრულდა.

**ახალი ზელანდია-უელსი 29:10**

ახალი ზელანდია (15-9) მულიაინა, ჯეინი, კაჰუი, სტენლი (რენგერი 55), გუიდფორდი, კარტერი (კრადენი 71), ქოუანი (ვიპუ 48) (1-8) ვუდქოქი (ო.ფრანქსი 56), მეალამუ (დე მალმანჩი 71), ტიალატა, თორნი, დონელი (ტომასონი 44), კაინო, მაკქოუ, რიდი (ვითლოქი 63)

*2ლ: ჯეინი, კრადენი. 2გ: კარტერი, კაჰუი. 5ს: კარტერი*

უელსი (15-9) ბირნი, ჰალფპენი, დევისი, რობერტსი, პრაიდი (ჰარისი 69), ბიგარი (ს.ჯოუნზი 64), ფილიპსი (რ.რისი 66) (1-8) ჯეიმზი, მ.რისი (ბენეტი 66), ს.ჯოუნზი, დევისი, ა.ვინ ჯოუნზი, ჯ.ტომასი, გ.ტომასი, რ.ჯოუნზი (მაკკასკერი 26)

*ლ: რობერტსი. ს: ჰალფპენი. გ: ს.ჯოინზი.*

მსაჯი: ჯონათან კაპლანი (ს.აფრიკა)

**არგენტინა-საფრანგეთი 41:13**

არგენტინა (15-9) როდრიგესი, გონსალესი, ტიესი, კარბალო, კონტეპომი, ვერგალო (1-8) რონკერო (აიერსა 62), ლედესმა (კრევი 65), სკელსო (ფიგალო 56), კარისა, ალბასეტე, ფესია, კამპოსი (ლეგუსამონი 55), ფერნანდეს ლობე

*4ლ: კონტეპომი (2), გონსალესი, ფერნანდეს ლობე. 3გ,5ს: კონტეპომი.*

**საფრანგეთი:** (15-9) პორიკალი, კლერი, მაზარსი (მერმოსი 51), ფრიცი, მალზიო, ტრინდუკი, პარა (იაშვილი 61) (1-8) ბარკელა, სჟარჟევსკი, მასი (პუ 72), პაპე, ნალე (პიერი 50), დუსოტუარი, ბონერი (ლამბოლეი 50), პიკამოლი

*ლ: მალზიო. 2ს: პორიკალი, პარა. გ:პარა*

მსაჯი: სტიუარტ დიკინსონი (ავსტრალია)

**სამხრეთ აფრიკა-იტალია 55:11**

სამხრეთ აფრიკა (15-9) ეპლონი, დე ფილიერსი, ფური, დე იონგი (ულიფიე 51), ჰაბანა (პინარი 58), სტეინი (ჯეიმზი 62), იანუარი (1-8) სტენკამპი, სმიტი (რელეპელე 62), დუ პლესი (ბრ.ბოთა 51), ბაკ.ბოთა (ფან დერ მერვე 58), ბეკერი, ბურხერი (პოტხიტერი 60), ლავი, სპისი

*7ლ: სტეინი (2), დუ პლესი, სპისი, ჰაბანა, ფან დერ მერვე, ბრ.ბოთა. 7გ: სტეინი (6), პინარი. 2ს: სტეინი.*

იტალია (15-9) მაკლინი, სეპე, კანალე, მასი, ბერგამასკო, გოვერი, პიკონე (1-8) პერუჯინი, ონგარო, ჩიტადინი, დელ ფავა, ბორტოლამი, დერბიშირი, ვოსავაი, პარისე

*ლ: სეპე. 2ს: ბერგამასკო.*

მსაჯი: ქის ბრაუნი (ახ.ზელანდია)

**ავსტრალია-ირლანდია 22:15**

ავსტრალია (15-9) ოკონორი, მიტჩელი, ჰორნი (ბეილი 41), გიტო, ეშლი-კუპერი, კუპერი, ბარჯესი (1-8) დეილი (სლიპერი 54), ფაინაგა, მააფუ, მამაი, შარფი, ელსომი, პოქოქი, ბრაუნი

*2ლ: კუპერი, ბარჯესი. 4ს: გიტო (2), ბარჯესი (2)*

ირლანდია (15-9) კირნი (მერფი 53), ბოუი, ოდრისკოლი, ვოლესი, თრიმბლი, სექსტონი, ოლირი (1-8) ჰილი, კრონინი (ვერლეი 70), ბაკლი, ოკალაჰანი, ოდრისკოლი, რონანი, ჯენინგზი, ჰენრი (რადოკი 68)

*5ს: სექსტონი*

მსაჯი: ბრის ლოურენსი (ახ.ზელანდია

გვერდი მოამზადა

**ბესიკ ჯანგავაძემ**


არგენტინა-საფრანგეთი

www.sport.gov.ge

ფორმულა 1

ევროპის გრანპრი

# უსამართლობის ზეიმი?

ვალენსიის ქუჩის ტრასაზე რიგით მესამე ევროპის გრან-პრი ისეთი მოსაწყენი არ გამოვიდა, როგორც ეს წინა ორ სეზონში იყო. ამისთვის, პირველ რიგში, მადლობა უნდა გადავუხადოთ **მარკ უებერსა** („რედ ბული“) და **ჰეიკი კოვალაინენს** („ლოტუსი“), რომლებიც რბოლის დებიუტში საშინელ ავარიაში მოყვნენ (საბედნიეროდ, ორივე პილოტი ტრავმების გარეშე გადაურჩა ამ ინციდენტს).

ყველაზე საინტერესო ის არის - რატომ ებრძოდა ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი უებერი ეტაპის დასაწყისში აუტსაიდერ „ლოტუსის“ პილოტს? ავსტრალიელს სტარტზე მეორე პოზიცია ეკავა თანაგუნდელ **სებასტიან ფეტელის** შემდეგ. სწორედ სტარტიდან დაიწყო უებერის პრობლემები: „რედ ბულის“ პილოტმა ვერ ჩაუკეტა ტრაექტორია **ლუის ჰემილტონს** („მაკლარენი“), რის შემდეგაც „ფერარის“ წყვილიც გაატარა, ხოლო პირველი წრის მსვლელობისას საერთოდ მეათე ადგილამდე ჩამოქვეითდა - მის წინ „უილიამსის“ პილოტები აღმოჩნდნენ. აი, ასეთი სტარტი გამოუვიდა ავსტრალიელს პირველი რიგიდან.

რაც შეეხება ფეტელს, მან გაუძლო ჰემილტონის შეტევას, თანაც ისე, რომ ლუისმა ოდნავ დააზიანა წინა ანტიფრთა (ამ ხარვეზით ბრიტანელმა ფინიშამდე უპრობლემოდ იარა) და თავად მოუხდა **ფერნანდო ალონსოს** („ფერარი“) შეტევების მოგერიება. საბოლოოდ, ბრიტანელმა არ გაუშვა წინ ესპანელი. **ფელიპე მასა** („ფერარი“) მეოთხე ადგილზე გადავიდა, შემდეგ მოდიოდნენ **ჯენსონ ბატონი** („მაკლარენი“), **რობერტ კუბიცა** („რენო“) და „უილიამსის“ წყვილი.

მაგრამ უებერს დავუბრუნდეთ. **ნიკო ჰიულკენბერგის** („უილიამსი“) უკან დარჩენილმა ავსტრალიელმა, პირველ რიგში ბოქსებს მიაკითხა საბურავების შესაცვლელად. მას იმედი ჰქონდა, რომ ამ სვლით რამდენიმე პოზიციას მოიგებდა. ბოქსებიდან გამოსვლისას უებერის წინ ჰეიკი კოვალაინენის „ლოტუსი“ აღმოჩნდა. ურთიერთსაპირისპირო მანევრებით ავსტრალიელი და ფინელი კონსენსუსამდე ვერ მივიდნენ - ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ კოვალაინენმა მოსახვევის წინ ადრე დაამუხრუჭა და უებერის ბოლიდი მეტოქის უკანა მარჯვენა საბურავს დაეჯახა. მარკს შეეძლო რამდენიმე წამი ვალენსიის მოწმენდილი ცის თვალიერებით დამტკბარიყო - „რედ ბულის“ მანქანა ჰაერში ამობრუნდა და ისე დაეცა ძირს, შემდეგ კიდევ ერთი ბრუნი გააკეთა და საბოლოოდ, უებერმა ძველი საბურავების კედელთან დაასრულა რბოლა. საოცარია, მაგრამ ავსტრალიელი საერთოდ არ დაზარალებულა - მან საჭე მაღლა ასწია და დამოუკიდებლად გადმოვიდა მანქანიდან.

ამ საშინელი ინციდენტის შემდეგ ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა და როგორც ყოველთვის, ამან პელოტონში სრული ქაოსი გამოიწვია. ვიღაც მაშინვე ბოქსებისკენ გაეშურა, ზოგიერთმა (ფეტელმა, ჰემილტონმა და ორივე „ფერარიმ“) ეს ერთი წრის შემდეგ გააკეთა, **კამუი კობაიაშიმ** („BMW-ზაუბერი“) კი გადაწყვიტა საერთოდ არ შესულიყო ბოქსებში, რითაც რბოლაში მესამე ადგილზე გადაინაცვლა. თითქოს იგივე ტაქტიკა აირჩია მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა **მიხაელ შუმახერმა** („მერსედესი“), მაგრამ შემდეგ გაუგებარი მიზეზების გამო მაინც შეუხვია მექანიკოსებისკენ და ტრასაზე პრაქტიკულად ბოლო ადგილზე დაბრუნდა. რაღაც წესრიგში ვერ აქვს ტაქტიკასთან დაკავშირებით „მერსედესს“ - ჯერ კანადაში ნახევარი რბოლა აწვალეს გერმანელი ლეგენდა, ახლა კი მეტად საეჭვო სტრატეგია აურჩიეს შუმახერს...

ერთდროული პიტსტოპების შემდეგ ლიდერთა ლოგიკური ოთხეული მივიღეთ - ფეტელი, ჰემილტონი, კობაიაში და ბატონი. მათ უკან მიდიოდნენ **რუბენს ბარიკელო** („უილიამსი“), კუბიცა, **სებასტიან ბუემი** („ტორო როსო“), ალონსო, **ადრიან სუტილი** („ფორს ინდია“) და ჰიულკენბერგი. ყველაზე მეტად „ფერარის“ წარმომადგენლები დაზარალდნენ - ბოქსებში ერთი წრით გვიან შესვლამ ალონსო ქულათა ზონის ბოლოში გადააგდო, მასა კი საერთოდ მე-15 ადგილზე აღმოჩნდა.

თუმცა აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის მომენტი, რომ რბოლის შემდეგ ეტაპის სტიუარდები დიდხანს განიხილავდნენ ერთბაშად 9 პილოტის მოქმედებას, რომლებმაც პეისკარის გამოჩენის შემდეგ ოპერატიულად მოახერხეს ბოქსებში შესვლა. როგორც ჩანს, საქმე ეხება რეგლამენტის რომელიღაც პუნქტის დარღვევას - ან პილოტები ძალიან სწრაფად მოძრაობდნენ უსაფრთხოების რეჟიმში ან იმ მომენტში არ შეიძლებოდა პიტსტოპის ჩატარება...

ლუის ჰემილტონს კი უშუალოდ რბოლის მსვლელობისას მოუხდა სტიუარდებთან ურთიერთობის გარკვევა. მეტად საინტერესო სიტუაცია შეიქმნა: ლუისი პირველ მოსახვევში ორი „ფერარის“ წინ მიდიოდა, როცა ბოქსებიდან ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გავიდა. ჰემილტონმა გარკვეული ხანი პეისკარის გვერდით იარა და ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ მისი გასწრება გადაწყვიტა, ორივე „ფერარი“ კი უკან დარჩა (რამაც შემდეგ მათი ჩამორჩენა გამოიწვია). საბოლოოდ, ჰემილტონი დააჯარიმეს (იმ ადგილას უსაფრთხოების მანქანის გასწრება არ შეიძლებოდა), მაგრამ ეს ზუსტად იმ მომენტში მოხდა, როცა ლუისს კობაიაშის დახმარებით (იაპონელი კონკურენტებს აყოვნდებდა) მეტოქეებთან სოლიდური ჰანდიკაპი ჰქონდა შექმნილი და საჯარიმო პიტსტოპის შემდეგ მაინც მეორე ადგილზე დაუბრუნდა რბოლას. მოკლედ, ალონსომ წესი არ დაარღვია და ფინიშზე მხოლოდ მეცხრე მივიდა, ხოლო წესის დამრღვევი ჰემილტონი - პოდიუმზე ავიდა.



ბუნებრივია, სამართლიანობისთვის ცნობილმა მებრძოლმა ალონსომ ასეთი შედეგი უკომენტაროდ არ დატოვა. *„სამწუხარო ფაქტი მოხდა, მაგრამ ყველაზე ძალიან არა საკუთარი თავისა და გუნდისთვის, არამედ გულშემატკივრების გამო ვწუხვარ, რადგან ისინი ავტოდრომზე მოვიდნენ და ათასგვარი მანიპულაციებით სავსე რბოლა იხილეს,* - განაცხადა ფერნანდომ ფინიშის შემდეგ. - *ჩვენ კარგად მივდიოდით, სტარტის შემდეგ მესამე ადგილზე აღმოვჩნით, შემდეგ ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა და ამან პრობლემა შეგვიქმნა. ჰემილტონმა პეისკარს გაასწრო. ასეთი რამ არასოდეს მინახავს. ჩვენ ერთი მეტრი გვაშორებდა, საბოლოოდ კი მან მეორე ადგილი დაიკავა, მე - მეცხრე. როცა თქვენ ყველაფერს კარგად აკეთებთ და წესებს პატივს სცემთ, მეცხრე ადგილზე რჩებით, ხოლო წესის დამრღვევი მეორე ხდება. სამწუხაროდ, ყველაფერი ჩვენ წინააღმდეგ იყო, მათ კი, როგორც ჩანს, ყველაფრის ნება აქვთ“.*

წესით და რიგით, რბოლის შემდეგ ჰემილტონს შამპანური უნდა გაეყო კობაიაშისთვის - სწორედ იაპონელმა შეაყოვნა დანარჩენი პილოტები და ზუსტად ისეთი ჰანდიკაპი შეუქმნა ლუისს, რომელიც საკმარისი აღმოჩნდა მეორე ადგილის შესანარჩუნებლად. რაც შეეხება სებასტიან ფეტელთან გამარჯვებისთვის ბრძოლას, აქ „მაკლარენის“ სისწრაფე ოდნავ არ აღმოჩნდა საკმარისი.

ბატონმა მესამე ადგილი დაიკავა, კუბიცამ მაინც ვერ მოუნახა გასაღები ბარიკელოს მეოთხე პოზიციისთვის ბრძოლაში. სუტილმა დიდხანს სდია ბუემის და ბოლოს თამამი შეტევით ჩამოართვა შვეიცარიელს მეექვსე ადგილი. მეშვიდე კი სწორედ კობაიაში გახდა. იაპონელმა თავისი შარშანდელი გმირობები გაგვახსენა. მან ბოლო მომენტამდე გადადო პირველი პიტსტოპი და ტრასაზე მეცხრე ადგილზე დაბრუნდა, შემდეგ კი სასწაულები მოახდინა რბილი საბურავებით. აზიელი სწრაფად დაეწია ალონსოს, რომელიც ბუემისთან ბრძოლით იყო გართული და ოპერატიულად გაუსწრო ესპანელს. ბოლო წრის ბოლო მოსახვევში კი კამუიმ არც ბუემის დაუტოვა შანსი და კიდევ ერთი პოზიცია მოიგო. დღის გმირად სწორედ „BMW-ზაუბერის“ პილოტი უნდა მივიჩნიოთ.

„მნიშვნელოვანია, რომ ისევ შევძელით გამარჯვების მოპოვება. ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი შედეგით. ვფიქრობ, გუნდს აქვს სიამაყის საბაბი, მაგრამ საჭიროა მუშაობის გაგრძელება და შემდეგი გრან-პრისთვის კარგად მომზადება. სილვერსტოუნი - ჩვენი საშინაო რბოლაა და ვეცდებით შარშანდელი შედეგის გამეორებას.

და კიდევ: მთავარია, რომ ასეთი მძიმე ავარიის შემდეგ მარკ უებერი თავს ნორმალურად გრძნობს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მანქანა სულ უფრო და უფრო უსაფრთხო ხდება, მაგრამ რისკი მაინც რჩება. რადიოთი შემატყობინეს, რომ მარკი წესრიგში იყო და მეც დავმშვიდდი“, - განაცხადა სებასტიან ფეტელმა, რომელმაც სეზონში მეორე რბოლა მოიგო.

**P. S.** საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ცხრა პილოტი ხუთწამიანი ჯარიმით დაისაჯა. ესენი არიან: ბატონი, ბარიკელო, ჰიულკენბერგი, კუბიცა, ბარიკელო, **ვიტალი პეტროვი** („რენო“), სუტილი, ბუემი, დე ლა როსა და **ვიტანტონიო ლიუცი** („ტორო როსო“).

საბოლოო ოქმში პირველი შვიდი ადგილი უცვლელი დარჩა, ალონსომ ბუემის გაუსწრო და მეცხრედან მერვე პოზიციაზე გადაინაცვლა, **ნიკო როსბერგი** („მერსედესი“) დე ლა როსასა და პეტროვის ზემოთ აღმოჩნდა და გერმანელს მეათე ადგილი მიეკუთვნა.

**ევროპის გრანპრი. IX ეტაპი**

**ვალენსია (57 წრე. 308.883 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:40.29,571 |
| 2(3). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +5,042 |
| 3(7). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +7,658 |
| 4(9). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | +20,627 |
| 5(6). რობერტ კუბიცა (რენო, პოლონეთი) | +22,122 |
| 6(13). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | +25,168 |
| 7(18). კამუი კობაიაში (BMW-ზაუბერი, იაპონია) | +30,965 |
| 8(4). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +32,809 |
| 9(11). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | +36,299 |
| 10(12). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +44,382 |
| 11(16). პედრო დე ლა როსა (BMW-ზაუბერი, ესპანეთი) | +47,414 |
| 12(10). ვიტალი პეტროვი (რენო, რუსეთი) | +48,287 |
| 13(14). ვიტანტონიო ლიუცი (ფორს ინდია, იტალია) | +45,890 |
| 14(5). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +46,621 |
| 15(17). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | +48,329 |
| 16(15). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +48,862 |
| 17(21). ლუკას დი გრასი (ვირჯინი, ესპანეთი) | 1 წრე |
| 18(22). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 2 წრე |
| 19(23). კარუნ ჩანდჰოკი (HRT. ინდოეთი) | 2 წრე |
| 20(24). ბრუნო სენა (HRT F1, ბრაზილია) | 2 წრე |
| 21(19). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 4 წრე |
| 22(8). ნიკო ჰიულკენბერგი (უილიამსი, გერმანია) | 8 წრე |
| 23(2). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | 47 წრე |
| 24(20). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 47 წრე |

**კონსტრუქტორთა თასი**

1. მაკლარენი - 248 ქულა; 2. რედ ბული - 218; 3. ფერარი - 165; 4. მერსედესი - 109; 5. რენო - 89; 6. ფორს ინდია - 43; 7. უილიამსი - 20; 7. ტორო როსო - 10; 9. BMW-ზაუბერი - 7.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

| | ბაჰ | ავს | მალ | ჩინ | ესპ | მონ | თურ | კან | ევრ | ბრიტ 11.07 | გერ 25.07 | უნგ 01.08 | ბელ 29.08 | იტა 12.09 | სინ 26.09 | იაპ 10.10 | კორ 24.10 | ბრა 07.11 | ა-დაბ 14.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 15 | 8 | 8 | 18 | -- | 10 | 25 | 25 | 18 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 127 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 6 | 25 | 4 | 25 | 10 | -- | 18 | 18 | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 121 |
| **ფეტელი** (რედ ბული) | 12 | -- | 25 | 8 | 15 | 18 | -- | 12 | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 115 |
| **უებერი** (რედ ბული) | 4 | 2 | 18 | 4 | 25 | 25 | 15 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 103 |
| **ალონსო** (ფერარი) | 25 | 12 | -- | 12 | 18 | 8 | 4 | 15 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 98 |
| **კუბიცა** (რენო) | -- | 18 | 12 | 10 | 4 | 15 | 8 | 6 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 83 |
| **როსბერგი** (მერსედესი) | 10 | 10 | 15 | 15 | -- | 6 | 10 | 8 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 75 |
| **მასა** (ფერარი) | 18 | 15 | 6 | 2 | 8 | 12 | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 67 |
| **მ. შუმახერი** (მერსედესი) | 8 | 1 | -- | 1 | 12 | -- | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 34 |
| **სუტილი** (ფორს ინდია) | -- | -- | 10 | -- | 6 | 4 | 2 | 1 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 31 |
| **ბარიკელო** (უილიამსი) | 1 | 4 | -- | -- | 2 | -- | -- | -- | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 19 |
| **ლიუცი** (ფორს ინდია) | 2 | 6 | -- | -- | -- | 2 | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 12 |
| **ბუემი** (ტორო როსო) | -- | -- | -- | -- | -- | 1 | -- | 4 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 7 |
| **კობაიაში** (BMW-ზაუბერი) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 7 |
| **პეტროვი** (რენო) | -- | -- | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 |
| **ალგერსუარი** (ტორო როსო) | -- | -- | 2 | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 3 |
| **ჰიულკენბერგი** (უილიამსი) | -- | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი — NHL დრაფტი 2010

# NHL-ში დებიუტანტები დაინაწილეს

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ახალბედების დრაფტი დასრულდა. პირველი ნომრის არჩევის უფლება „ედმონტონ ოილერზს" ჰქონდა, რომელიც ბოლო მომენტამდე მალავდა თავის გადაწყვეტილებას და საბოლოოდ არჩევანი **ტეილორ ჰოლზე** შეაჩერა. საერთო ჯამში, პირველ სამ ნომერს მოულოდნელობა არ მოუტანია. „ბოსტონ ბრუინზს" **ტაილერ სეგინი** ერგო, „ფლორიდას პანტერზმა" მცველი **ერიკ გადბრანსონი** აირჩია.

ამის შემდეგ „კოლამბუსმა" ცოტათი აურია ექსპერტთა პროგნოზებს, როცა 17 წლის ფორვარდი **რაიან იოჰანსენი** აიყვანა, რომელსაც **ჯეისონ სპეცას** ადარებენ. ეს ბიჭი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გამოსასვლელად, ამიტომაც, სავარაუდოდ ერთ წელიწადს ფარმ-კლუბში გააჩერებენ. „აილენდერსმა" მეხუთე ნომრად აირჩია **ნინო ნიდერაიტერი** და ამით ისტორია შექმნა, რადგან NHL-ის დრაფტში შვეიცარიელი ჰოკეისტი ასეთი მაღალი ნომრით არასოდეს აურჩევიათ.

შემდეგ „ტამპა ბეი ლაითნინგის" ჯერი დადგა და ამ გუნდის ახალმა გენერალურმა მენეჯერმა, ლეგენდარულმა **სტივ აიზერმანმა ბრეტ კონოლის** გვარი დაასახელა. ეს ჰოკეისტიც თავდამსხმელია. აღსანიშნავია, რომ კონოლიმ გასულ სეზონში მხოლოდ 16 მატჩი ჩაატარა, რისი მიზეზიც სერიოზული ტრავმა იყო. თუმცა დრაფტის შემდეგ „ტამპას" ახალწვეულმა გამოაცხადა, რომ ჯანმრთელობა სრულ წესრიგში აქვს და „ლაითნინგის" ხელმძღვანელობამ არ უნდა ინერვიულოს.

„ატლანტა ტრეშერზმა" რუსეთის წარმომადგენელს დაადგა თვალი - მოულოდნელად მისი რჩეული გახდა **ალექსანდრ ბურმისტროვი**. ამ რუსს პირველ 15 ჰოკეისტს შორის უწინასწარმეტყველებდნენ ადგილს, მაგრამ ვერავინ იფიქრებდა, რომ ასე მაღალი ნომრით აირჩევდნენ. მესამე ევროპელი ბურმისტროვის შემდეგ აირჩიეს - „მინესოტაში" წავიდა ფინელი **მიკაელ გრანლუნდი**, რომელიც სამშობლოში თამაშობს. ათეულში შეაღწია მცველმა **დილან მაკილრატმა**. ექსპერტები აღნიშნავენ მის მებრძოლ ხასიათსა და ჩხუბისადმი სიყვარულს (მსოფლიოს ჰოკეის ლიგაში ის ლიდერი იყო ჩხუბების რაოდენობით). როგორც ჩანს, „ნიუ იორკ რეინჯერსმა" თავისი რიგები კარგი „პოლიციელით" შეავსო.



მაშ ასე, საუკეთესო ათეული შედგა და მაშინვე თვალში გვეცემა ის, რომ ამ სიაში მხოლოდ ორი მცველია. ამ ამპლუის ორი წარმომადგენელი - **კემ ფლაუერი** და **ბრენდონ გორმლი** რეიტინგის მიხედვით შვიდეულში შედიოდნენ, მაგრამ საბოლოოდ ათეულის მიღმა აღმოჩნდნენ.

ყველა გააოცა „დალას სტარზმა", რომელმაც დრაფტის პირველ რაუნდში თავისი არჩევანი მეკარეზე დახარჯა - მან **ჯეკ კემპბელი** აირჩია. ყველა ამბობს, რომ „ვარსკვლავების" ხელმძღვანელობამ შორეულ პერსპექტივაზე გააკეთა აქცენტი და ეს მეკარე უახლოეს სეზონში ნამდვილად არ გამოჩნდება NHL-ში.

და მხოლოდ მე-12 და მე-13 ნომრებად აირჩიეს ჩვენ მიერ ნახსენები მცველები. ფაულერი „ანაჰაიმ დაქსში" გადავიდა, გორმლზე უფლებები კი ახლა „ფინიქს კოიოტზს" ეკუთვნის.

**დრაფტის ტოპათეული**

1. ედმონტონი - ტეილორ ჰოლი
2. ბოსტონი - ტაილერ სეგინი
3. ფლორიდა - ერიკ გადბრანსონი
4. კოლამბუსი - რაიან იოჰანსენი
5. აილენდერსი - ნინო ნიდერაიტერი
6. ტამპა ბეი - ბრეტ კონოლი
7. კაროლინა - ჯეფ სკინერი
8. ატლანტა - ალექსანდრ ბურმისტროვი
9. მინესოტა - მიკაელ გრანლუნდი
10. რეინჯერსი - დილან მაკილრატი

კალათბურთი

# უეიდი თავისუფალია

„მაიამი ჰიტის" ლიდერმა **დუეინ უეიდმა**, როგორც იქნა დაასრულა მეუღლესთან განქორწინების პროცესი და ახლა შეუძლია ცოლად შეირთოს მსახიობი **გაბრიელ იუნიონი**, რომელთანაც კარგა ხანია რომანი აქვს. უეიდისა და მისი აწ უკვე ყოფილი მეუღლის - **შივონის** გაყრის სასამართლო პროცესი 2007 წლიდან გრძელდებოდა. ისინი რვა წელი ცხოვრობდნენ ერთად და კალათბურთელს შივონისგან ორი შვილი ჰყავს - რვა და ორი წლის ვაჟები. სასამართლოს დასრულების შემდეგ უეიდმა განაცხადა, რომ შვებით ამოისუნთქა და ახლი მისი ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგება.

2010 წლის მაისში შივონმა ყოფილი ქმარი პირდაპირ ბავშვების თვალწინ იუნიონთან „სექსუალურ პრელუდიაში" დაადანაშაულა. ისტორია გაზეთის ფურცლებზე მას შემდეგ მოხვდა, რაც შივონი საპატიმროში აღმოჩნდა - ის ჩიკაგოში სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა. უეიდმა ამის შემდეგ შვილებზე დროებითი მეურვეობის უფლება მიიღო.

სააგენტო AP-ის ცნობით, შივონის ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი აპელაციის შეტანას აპირებს, რადგან მოსამართლემ გაყრის პროცესი იქამდე დაასრულა, სანამ სრულად იქნებოდა მოგვარებული ფინანსური ასპექტები და ბავშვებზე მეურვეობის საკითხი.

■ ■ ■

ამასობაში, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მორიგი გაცვლა განხორციელდა. „ნიუ ჯერსი ნეტსმა" „მილუოკიში" გაუშვა მცველი **კრის დუგლას-რობერტსი**, რის სანაცვლოდაც 2012 წლის დრაფტის მეორე რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო.

23 წლის დუგლას-რობერტსი ბოლო ორი სეზონი იცავდა „ნიუ ჯერსის" ღირსებას. სულ მან ამ კლუბში 111 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 7.9 ქულა და 2.2 მოხსნა დააგროვა. გასული სეზონის მეორე ნახევარში კრისმა მწვრთნელის ნდობა დაკარგა და სათადარიგოთა სკამზე დაჯდა.

# ფერნანდესი ბარსას მიუახლოვდა

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" მცველი **რუდი ფერნანდესი** ევროლიგის გამარჯვებულის - „ბარსელონას" რიგებში გააგრძელებს კარიერას.

ესპანური პრესა ირწმუნება, რომ კატალონიური კლუბის ახალმა პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** ზეპირ შეთანხმებას მიაღწია ესპანელ კალათბურთელთან. დარჩა მხოლოდ ფორმალური საკითხების მოგვარება, რომელიც იოლი საქმეა.

შეგახსენებთ, რომ ადრე წერდნენ ფერნანდესისა და მადრიდის „რეალის" მოსალოდნელ კავშირზე, თუმცა ეს სავარაუდო ტრანსფერი თავად კალათბურთელმა გამორიცხა.

■ ■ ■

საბერძნეთის ნაკრები გახდა მორიგი გუნდი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. ლიტველი **იონას კაზლაუსკასის** 17-კაციან სიაში ვერ ვხედავთ გამოცდილ გამთამაშებელ **ტეო პაპალუკასს**. ამ კალათბურთელმა 2009 წელს დაასრულა საერთაშორისო კარიერა და საზოგადოების თხოვნის მიუხედავად, აღარ აპირებს ნაკრებში თამაშს.

და მაინც, პაპალუკასის გარეშეც ბერძნების შემადგენლობა საკმაოდ მრისხანედ გამოიყურება:

**მცველები**: დიმიტრის დაიმანტიდისი, ვასილის სპანულისი, სტრატოს პეროგლუ, ნიკ კალატესი (ყველა - „პანათინაიკოსი"), ნიკოს ცისისი („მონტეპასკი"), ნიკოს პაპასი („კოლოსოსი");

**ფორვარდები**: კოსტას ცარცარისი, ანტონის ფოცისი (ორივე - „პანათინაიკოსი"), გიორგიოს პრინტეცისი („უნიკახა", ესპანეთი), კოსტას პაპანიკოლაუ, პანაიოტის ვასილოპულოსი (ორივე - „ოლიმპიაკოსი"), კოსტას კაიმაკოგლუ („მარუსი"), კოსტას ვასილიადისი („კსაბეო");

**ცენტრები**: იოანის ბურუსისი, სოფოკლის შორცანიდისი, ლუკას მავროკეფალიდისი (ყველა - „ოლიმპიაკოსი"), იან ვუგიუკასი („პანელინიოსი").

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

TV პროგრამა

**28 ივნისი. ორშაბათი**

**I არხი**

**17:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**17:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. 1/8 ფინალი. ჰოლანდია-სლოვაკეთი (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**22:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. 1/8 ფინალი. ბრაზილია-ჩილე (LIVE).
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

**მზე**

**13:00** იმედის ფსონი.

**რუსთავი 2**

**00:00** საფეხბურთო ღამე.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:30** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ქალები. რუსეთი-ისრაელი.
**09:15** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ფიორენტინა-ლიონი.
**12:00** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**12:45** საერთაშორისო ტურნირი. აუსტრია-ლოკომოტივი (მოსკოვი). ავსტრია.
**14:25** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მანჩესტერ იუნ-ბეშიქთაში.
**16:15** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**17:00** უკრაინის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**12:45** საერთაშორისო ტურნირი. აუსტრია-ლოკომოტივი (მოსკოვი). ავსტრია.
**18:10** საერთაშორისო ტურნირი. მაკაბი (ჰაიფა)-დინამო (ბუქარესტი). ავსტრია (LIVE).
**22:05** საფეხბურთო პროგრამა.
**22:40** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი.
**00:30** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**01:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბორდო-იუვენტუსი.
**03:10** საერთაშორისო ტურნირი. მაკაბი (ჰაიფა)-დინამო (ბუქარესტი). ავსტრია.
**05:10** საფეხბურთო პროგრამა.
**05:45** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ იუნ.

**EUROSPORT**

**10:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**11:00** ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
**11:15** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. მიზანო. სან მარინო.
**12:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ფინალი. ირლანდია-ესპანეთი. ნიონი. შვეიცარია.
**13:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**14:00** ველოსპორტი. მილანი-სან რემო. იტალია.
**15:00** ცურვა. საფრანგეთის ღია პირველობა. I დღე.
**16:15** ცურვა. საფრანგეთის ღია პირველობა. II დღე.
**17:30** ახალი ამბები.
**17:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**17:45** ველოსპორტი. ფლანდრიის ტური. ბელგია.
**20:00** ახალი ამბები.
**20:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**20:15** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ფინალი. ირლანდია-ესპანეთი. ნიონი. შვეიცარია.
**21:00** ახალი ამბები.
**21:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**21:15** ცურვა. საფრანგეთის ღია პირველობა. I დღე.
**22:00** ახალი ამბები.
**22:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**22:15** ცურვა. საფრანგეთის ღია პირველობა. II დღე.
**22:45** მულტისპორტი.
**23:00** პრო-რესტლინგი.
**00:25** მულტისპორტი.
**00:30** ახალი ამბები.
**00:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**01:10** ახალი ამბები.
**01:15** მძლეოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. ვატენშაიდი. გერმანია.
**03:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

შედეგები

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ასირისკა-ფალკენბერგი | 1:1 |
| ტროლჰატანი-სუნდსვალი | 2:3 |
| ჰამარბიუ-ლანდსკრონა | 4:1 |
| **შვედეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| გიოტებორგი-კალმარი | 3:4 |
| ლიუნგსკილე-გეფლე | 0:1 |
| **ისლანდია** | |
| ბრეიდაბლიკი-რეიკიავიკი | 2:1 |
| ფრამი-ჰაუკარი | 0:0 |
| გრინდავიკი-ფილკირი | 1:2 |
| ჰაფნარი-სტიარნანი | 1:3 |
| ვალური-კეფლავიკი | 0:2 |
| **ირლანდია** | |
| სლიგო-სტ. პატსი | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| სოლტჰილი-უექსფორდი | 0:0 |
| ეთლონი-მონეგანი | 4:4 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მორდოვია-ყუბანი | 3:0 |
| ნიჟნი ნოვგოროდი-ხიმკი | 2:0 |
| დინამო (ბრ)-ურალი | 0:2 |
| ვოლგარი-ლუჩ ენერგია | 2:1 |
| როტორი-სკა ენერგია | 0:2 |
| შინიკი-ირტიში | 1:0 |
| ჟემჩუჟინა-ვოლგა | 0:2 |
| კრასნოდარი-კამაზ | 3:2 |
| **ლატვია** | |
| გლაჟმა-მეტალურგსი | 1:4 |
| **ლიტვა** | |
| შიაულიაი-ტაურასი | 0:1 |
| ჟალგირისი-ეკრანასი | 0:1 |
| ბანგა-ვეტრა | 1:1 |
| სუდუვა-ატლეტასი | 3:1 |
| **ბელარუსი** | |
| მინსკი-ბელშინა | 3:1 |
| ნაფტანი-დინამო (ბრ) | 3:1 |
| ნემანი-ტორპედო | 0:0 |
| დნეპრი-შახტიორი | 0:2 |
| პარტიზანი-ბატე | 1:1 |
| ვიტებსკი-დინამო (მნ) | 3:1 |
| **ეკვადორი** | |
| უნ. კატოლიკა-დეპ. კუენსა | 3:1 |
| ოლმედო-მანტა | 1:0 |
| ელ ნასიონალი-დეპ. კიტო | 2:1 |
| **პერუ** | |
| სპორტ ბოისი-ხუან აურიჩი | 1:0 |
| უნ. პერუ-კოლეგიო ნასიონალი | 1:2 |
| სპორტი-ინტი გასი | 3:0 |
| ლეონი-ხოსე გალვესი | 1:1 |
| ალ. ატლეტიკო-ტოტალ ჩალაკო | 3:0 |
| **აშშ** | |
| კოლამბუსი-დი სი იუნაიტედი | 2:0 |
| ტორონტო-ლოს ანჯელესი | 0:0 |
| ჰიუსტონი-კოლორადო | 2:2 |
| კანზასი-ნიუ იორკი | 0:3 |
| ჩივასი-დალასი | 1:2 |

ცურვა

# ფელპსმა ერთი მოიგო და ერთი წააგო

გასულ უიქ ენდზე პარიზში საფრანგეთის ღია პირველობა გაიმართა, რომელიც დიდ ინტერესს იწვევდა იმის გამო, რომ დიდხნიანი პაუზის შემდეგ სარბიელზე გამოჩნდა ლეგენდარული ამერიკელი, 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი **მაიკლ ფელპსი**.

პირველ დღეს ამერიკელმა ორ დისტანციაზე მიიღო მონაწილეობა. 100 მეტრზე თავისუფალ სტილში ფელპსს ხელი მოეცარა და მხოლოდ მეშვიდე შედეგი აჩვენა. გამარჯვება კი მასპინძელმა **ფაბიან ჟილომ** მოიპოვა. ამერიკელმა ეს დამარცხება ცუდ სტარტს დააბრალა.

სამაგიეროდ, ფელპსმა საუკეთესო დრო აჩვენა თავის ერთ-ერთ საყვარელ დისტანციაზე - 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაზე, თუმცა თავისსავე მსოფლიოს რეკორდს 4 წამით ჩამორჩა.

# სუპერმატჩის მოლოდინში



მსოფლიოს პირველ ჩოგან **რაფაელ ნადალს** ზედიზედ მეორე ხუთსეტიანი მატჩის ჩატარებამ მოუწია. ამჯერად ესპანელს პრობლემები გერმანელმა **ფილიპ პეტცშნერმა** შეუქმნა, რომელმაც პირველი სეტის წაგების შემდეგ ორი პარტიის აღება შეძლო. მეოთხე სეტში ნადალმა დასახმარებლად ექიმს უხმო - რაფამ მარჯვენა მუხლის ტკივილი მოიმიზეზა. სამედიცინო ტაიმ-აუტმა ნადალზე კარგად იმოქმედა და მან მაშინვე ბრეიკი გააკეთა, რაც სეტის მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა, თანაც პეტცშნერმა მეტოქეს საქმე გაუადვილა და ბოლოს კიდევ ერთხელ წააგო საკუთარი მოწოდება.

მეხუთე სეტში უკვე გერმანელს დასჭირდა ექიმის შველა. მარცხენა ფეხზე გარკვეული მანიპულაციების შემდეგ, ფილიპმა ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და კინაღამ მეტოქეს მიბაძა, მაგრამ რაფამ შეძლო საფრთხის მოგერიება. გადამწყვეტი აღმოჩნდა მერვე გეიმი. აქამდე საკუთარ მოწოდებებზე დამაჯერებლად მოთამაშე გერმანელმა რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და ნადალმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვა - 5:3. ამის შემდეგ ესპანელმა უპრობლემოდ ჩააწოდა მატჩზე. მერვედფინალში ნადალს **პოლ-ანრი მატიოსთან** უწევს შეხვედრა. ფრანგმა ჰოლანდიელ **ტიემო დე ბაკერს** ისე მოუგო, რომ ოთხ სეტში მხოლოდ ერთი ბრეიკი შეასრულა.

პეტცშნერის დამარცხების შემდეგ ნადალმა გამოაცხადა, რომ არ ითამაშებს 9-11 ივლისს დევისის თასის მეოთხედფინალში, რომელშიც ესპანეთი საფრანგეთის ნაკრებს შეხვდება. რაფას თქმით, მას ორივე მუხლი სერიოზულად აწუხებს, ამიტომაც ამერიკის ღია პირველობისთვის უკეთ მოსამზადებლად უარს ამბობს დევისის თასზე თამაშზე.

დანარჩენი მატჩები ყოველგვარი მოულოდნელობების გარეშე დასრულდა. მხოლოდ **დავიდ ფერერს** დაადგა დიდი ჯაფა **ჟერემი შარდის** დასამარცხებლად. ყველაზე კრიტიკული მომენტი ესპანელს მაშინ ჰქონდა, როცა ფრანგი მატჩზე აწვდიდა, თუმცა ფერერი ამ პრობლემას გაუმკლავდა და შემდეგ საბოლოოდ გატეხა შარდის წინააღმდეგობა. მომდევნო წრეში დავიდს კიდევ უფრო რთული მატჩი ელის შვედ **რობინ სიოდერლინგთან**, რომელიც ფავორიტთაგან ყველაზე სტაბილურ თამაშს აჩვენებს.

მატიოს გარდა მერვედფინალში კიდევ ორი ფრანგი გავიდა, რომლებიც ერთმანეთში გაარკვევენ ურთიერთობას. **ჟო-ვილფრიდ ცონგა** ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილ ესპანელ **ტობიას კამკეს** გაუსწორდა, **ჟულიან ბენეტომ** კი იტალიელი **ფაბიო ფონინი** დაამარცხა. საინტერესოა, რომ ბენეტო უიმბლდონზე ორ წრეზე შორს არ გასულა, თუმცა მას ბადის მხრივ არ უმართლებდა ხოლმე.

მესამე წრის ბარიერი გადალახა ადგილობრივი გულშემატკივრების კერპმა **ენდი მიურეიმ**. ფრანგმა **ჟილ სიმონმა** მუხლის ტრავმის შემდეგ ჯერ ვერ აღიდგინა ძველი კონდიციები და მიურეისთვის იოლად გადასალახი ბარიერი აღმოჩნდა. მთელი მატჩის განმავლობაში სიმონმა მხოლოდ 15 ქულა აიღო მეტოქის გეიმებზე და ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია. ენდის შემდეგი მეტოქე ამერიკელი **სემ კუერი** იქნება, რომელმაც ხუთ სეტში მოუგო ბელგიელ **ქსავიე მალისეს**.

■ ■ ■

ქალებს შორის მერვედფინალში ერთ სუპერმატჩს ვნახავთ - **მარია შარაპოვა** მსოფლიოს პირველი ჩოგნისა და მოქმედი ჩემპიონის **სერენა უილიამსის** წინააღმდეგ.

ამერიკელთან შესახვედრად შარაპოვას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ჩეხი **ბარბარა ზახვალოვასგან**. მარიას მეტოქე ერთი წამით არ კარგავდა კონცენტრაციას და ამის გამო რუს ჩოგბურთელს რისკზე წასვლა უწევდა. ამან კი ბევრი შეცდომაც გამოიწვია.

პირველ სეტში დიდი ხანი თანაბარი ბრძოლა იყო - ვერც ერთი ჩოგბურთელი ვერ ახერხებდა ორი გეიმით წინ გასვლას, თუმცა ყველა გეიმში ანგარიში 40:40-მდე მიდიოდა. მხოლოდ სეტის ბოლოს მოუმატა თამაშს შარაპოვამ და ბოლო ორ გეიმში ზახვალოვამ ვერაფერი დაუპირისპირა მარიას ძლიერ თამაშს - 7:5.

მეორე სეტში გადამწყვეტი აღმოჩნდა მეექვსე გეიმი ჩეხის მოწოდებაზე, როცა შარაპოვა 3:2 იყო დაწინაურებული. ზახვალოვას მუდმივად ბრეიკ-პოინტების მოგერიება უწევდა და კარგა ხანი იცილებდა საფრთხეს თავიდან, მაგრამ მეექვსე ცდაზე შარაპოვამ შეძლო მეტოქის გეიმის აღება და მნიშვნელოვანი ბრეიკის გაკეთება. თუმცა ჩეხი დანებებას არ აპირებდა და მომდევნო გეიმში ბრეიკ-პოინტიც კი მოიპოვა, მაგრამ მარიამ იყოჩაღა, რის შემდეგაც ბარბარამ წინააღმდეგობა შეწყვიტა - 6:3.

გაცილებით იოლად მოიგო თავისი შეხვედრა **სერენა უილიამსმა**. ამერიკელს ამ უიმბლდონზე ერთი საინტერესო ტრადიცია ჩამოუყალიბდა. კერძოდ, მსოფლიოს პირველი ჩოგანი პირველ სეტში აუცილებლად „მშრალი" ანგარიშით იგებს. ასე მოხდა წინა ორ შეხვედრაში და იგივე ბედი ეწია სლოვაკ **დომინიკა ციბულკოვასაც**.

პირველი პარტია სერენამ 18 წუთში მოიგო. ამ სეტში 31-ჯერ გათამაშდა ბურთი და უილიამსმა 25 თავის სასარგებლოდ დაასრულა. მეორე სეტში მართალია ბრძოლა იყო, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ სლოვაკი ჩოგბურთელი თამაშის გადამრჩენი არ გახლდათ. სერენამ მატჩში 19 ეისი მიითვალა და საკუთარ მოწოდებაზე 43-დან 37 ქულა აიღო.

შარაპოვა და უმცროსი უილიამსი მერვედ შეხვდებიან ერთმანეთს. ჯერჯერობით მათი ურთიერთშეხვედრათა ანგარიშია - 5:2 ამერიკელის სასარგებლოდ, თუმცა ბალახზე ერთადერთი შეხვედრა შარაპოვამ მოიგო - ეს 2004 წლის უიმბლდონის ფინალში მოხდა.

დღის მთავარი სიურპრიზი **პეტრა კვიტოვამ** შემოგვთავაზა. ჩეხმა ჩოგბურთელმა ბრძოლას გამოთიშა **ვიქტორია აზარენკა**. თანაც ბელარუსი პირველ სეტში დამაჯერებლად იგებდა - 5:3, მაგრამ შემდეგ მის თამაშში რაღაც მოიშალა და აქედან მოყოლებული გეიმებს მხოლოდ კვიტოვა იგებდა.

კიდევ ერთი მოულოდნელობა იყო მეორე ჩეხი ჩოგბურთელის - **კლარა ზაკოპალოვას** იოლი გამარჯვება **ფლავია პენეტაზე** - 6:2, 6:3, მაგრამ ერთი წრით ადრე კლარას მიერ **არავან რეზაის** დამარცხების შემდეგ, ეს შედეგი სენსაციად არავის მიუჩნევია.

კვირა უიმბლდონზე ტრადიციულად დასვენების დღეა, ორშაბათს კი მერვედფინალური ეტაპის ყველა მატჩი გაიმართება.

■ ■ ■

ერთი დღით ადრე უიმბლდონის მე-18 კორტზე სერიოზული სკანდალი მოხდა, რომელშიც ცნობილი რუმინელი ჩოგბურთელი **ვიქტორ ჰანესკუ** მონაწილეობდა. მისი და გერმანელი **დანიელ ბრანდსის** შეხვედრის მეხუთე სეტში, როცა რუმინელი 0:2-ს აგებდა, ბრანდსის გულშემატკივართა ჯგუფიდან ყვირილი გაისმა.

*„მაყურებელთაგან ვიღაცამ რაღაც დაიყვირა. ფრაზის შინაარსი ჩვენთვის უცნობი დარჩა. ჰანესკუ ამ ადამიანებს მიუახლოვდა და მათი მიმართულებით შეიფურთხა"*, - ამბობს ტურნირის პრესმდივანი. ამის შემდეგ რუმინელმა თავის მოწოდებაზე შეგნებულად დაუშვა ორმაგი შეცდომა. *„შემდეგ მან მაყურებლებს შეაგინა და მატჩი ნაადრევად დაასრულა. ასეთი საქციელი არღვევს სპორტული ქცევის კოდექსს"*, - დაამატა ტურნირის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა.

მატჩის შემდეგ ჰანესკუმ მსაჯისთვის ხელის ჩამორთმევა სცადა, მაგრამ არბიტრმა ყურადღება არ მიაქცია ჩოგბურთელს. შეხვედრის დასრულების ოფიციალურ მიზეზად რუმინელის ფეხის ტრავმა დასახელდა.

საბოლოოდ ჰანესკუ ორგანიზატორებმა 15 ათასი დოლარით დააჯარიმეს. ჩოგბურთელი 7500 დოლარს არასპორტული საქციელისთვის გადაიხდის, ამდენივეს - მატჩის ნაადრევად შეწყვეტისთვის.

■ ■ ■

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ლინდსი დავენპორტმა** პირველი გამარჯვება მოიპოვა მიმდინარე უიმბლდონზე. ამერიკელი თანამემამულე **ბობ ბრაიანთან** ერთად მიქსტში გამოდის.

დავენპორტისთვის ეს იყო პირველი მოგება დიდ სპორტში მესამედ დაბრუნების შემდეგ. ამერიკულმა დუეტმა პაკისტანელი **კიურეშისა** და რუსი **კუდრიავცევას** წყვილი დაამარცხა - 7:6, 6:3.

თუმცა მეორე დღეს დავენპორტმა და ბრაიანმა სამ სეტში წააგეს კანადელი **ნესტორისა** და ამერიკელი **მატეკის** წყვილთან, რომელიც მიქსტში მეექვსე ნომრად იყო განთესილი - 4:6, 6:3, 9:11.

### კაცები

#### 1/16 ფინალი

**ჟულიან ბენეტო (საფ, 32)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:4, 6:1, 4:6, 6:3; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 10)**-ტობიას კამკე (გერ) 6:1, 6:4, 7:6(1); **სემ კუერი (აშშ, 18)**-ქსავიე მალისე (ბელ) 6:7(4), 6:4, 6:2, 5:7, 9:7; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ჟილ სიმონი (საფ, 26) 6:1, 6:4, 6:4; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 6)**-ტომაშ ბელუჩი (ბრა, 25) 6:4, 6:2, 7:5; **დავიდ ფერერი (ესპ, 9)**-ჟერემი შარდი (საფ) 7:5, 6:3, 4:6, 3:6, 7:5; **პოლ ანრი მატიო (საფ)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 7:6(5), 7:6(6), 6:7(8), 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ, 33) 6:4, 4:6, 6:7(5), 6:2, 6:3.

#### 1/8 ფინალი

ფედერერი (1)-მელცერი (16); ბერდიხი (12)-ბრანდსი; ჯოკოვიჩი (3)-ჰიუიტი (15); ლუ-როდიკი (5); ბენეტო (32)-ცონგა (10); კუერი (18)-მიურეი (4); სიოდერლინგი (6)-ფერერი (9); მატიო-ნადალი (2).

### ქალები

#### 1/16 ფინალი

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:0, 7:5; **მარია შარაპოვა (რუს, 16)**-ბარბარა ზახვალოვა (ჩეხ) 7:5, 6:3; **ნა ლი (ჩინ, 9)**-ანასტასია როდიონოვა (ავსტრა) 6:1, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 7)**-სარა ერანი (იტა, 32) 6:3, 6:1; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 3)**-ანასტასია პავლიუჩენკო (რუს, 29) 7:5, 6:4; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 14) 7:5, 6:0; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-ფლავია პენეტა (იტა, 10) 6:2, 6:3; **კაია კანეპი (ესტ)**-ალექსანდრ დულგერუ (რუმ, 31) 6:1, 6:2.

#### 1/8 ფინალი

ს. უილიამსი (1)-შარაპოვა (16); ნა ლი (9)-ა. რადვანსკა (7); ვოზნიაცკი (3)-კვიტოვა; ზაკოპალოვა-კანეპი; კლაისტერსი (8)-ანენი (17); ზვონარევა (21)-იანკოვიჩი (4); პირონკოვა-ბარტოლი (11); გროტი-ვ. უილიამსი (2).

**გია თვალაბეიშვილი**

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www. tqveniurologi.ge

